პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეოთხე წელიწადი

# კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა,
გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი
№ 24, მეორე სართული

რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 საათ.

ტელეფონები (რედაქტორის 14—76
(მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი
ტელეფონი 10—49

ხელისმოწერის ფასი: მუშა-სამსახურეთ—65 კ. დანარჩენებისათვის ქალაქში—85 კ. ქალაქს გარეშე—95 კ. ხელისმომწერნი მიიღებენ „ჩირაღდანს“.
განცხადებები: ნომპარელის სტრიქონი—20 კ. აწყობა ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო 5 მან. დოკუმენტების დაკარგვა—50 კაპ. განცხადებები მიიღება 3 საათამდე.

ექსპედიციის ტელ. 5—48

დღევანდელი ნომერი შეიცავს 6 გვერდს

შაბათი 1 ნოემბერი 1924 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კ. № 251 (1106)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დღიური

— ვარშავაში დაიწყო ახალგაზრდათა კომკავშირის წევრების პროცესი.

— ბუქარესტში გაიხსნა რუმინეთის გლეხთა პარტიის ყრილობა.

— სტამბოლში პურის კრიზისია; ბაზარზე პური გაქრა.

— ინგლისის პროფკავშირების წევრთა რიცხვი თანდათანობით კლებულობს.

— იაპონიის მთავრობა ჯარებს გზავნის ჩინეთში.

# კონსერვატორების გამარჯვება ინგლისში

საპარლამენტო არჩევნების შედეგები ინგლისში საბოლოოდ გამოირკვა: კონსერვატორებმა მიიღეს 400 ადგილი, მუშათა პარტიამ—151, ლიბერალებმა—40.

წინანდელ პალატაში ძალთა განწყობილება შემდეგი იყო: კონსერვატორები—257, მუშათა პარტია—193, ლიბერალები—158.

აქედან ცხადია ის უდიდესი გამარჯვება, რომელიც წილად ხვდა კონსერვატორებს. ახალ პალატაში მათ ერგოთ ადგილების ორი მესამედი. მუშათა პარტიამ მეტად საგრძნობი დამარცხება განიცადა, დაკარგა 40-ზე მეტი ადგილი. ლიბერალები კი თითქმის სავსებით განადგურდენ.

ძალა-უფლება ინგლისში განუზიარებლად გადადის კერზონ-ბალდუინის ხელში.

რით აიხსნება არჩევნების ასეთი შედეგები?—პირველ ყოვლისა ინგლისის პროლეტარიატის კლასობრივი შეგნების სისუსტით. ინგლისის მთელი მოსახლეობის ორ მესამედზე მეტს მუშათა კლასი შეადგენს. თუ ასეთ ქვეყანაში ძალა-უფლებას რეაქციონური ბურჟუაზია ეუფლება, ეს მოწმობს იმას, რომ იქაურ პროლეტარიატს თავის უმრავლესობაში კარგად არა აქვს შეგნებული თავისი მიზნები და არ აქვს გათვალწინებული თავისი განთავისუფლების გზები და საშუალებანი; მას კიდევ აკლია გამარჯვების ნებისყოფა.

მუშათა პარტია, თავისი არქირეფორმისტული და ოპორტიუნისტული ბუნების გამო, არაფერს აკეთებს მშრომელი მასსების კლასობრივი შეგნების ასამაღლებლად, მისი დასარაზმავად რევოლიუციონური ბრძოლისათვის. ხოლო კომუნისტური პარტია ნამდვილად ეხლა გამოდის პოლიტიკურ ცხოვრების სარბიელზე.

მეორე მხრივ—ბრიტანეთის ბურჟუაზია ჯერ კიდევ საკმაოდ ძლიერია. ძლიერია ეკონომიურად. კოლონიებიდან ამოწურვილი ზემოგებიდან ის ნამცეცს უგდებს მუშათა კლასის ზედაფენებს და ამით „აშინაურებს“ მათ.

ბრიტანეთის ბურჟუაზია აგრეთვე ძლიერია ორგანიზაციულად. მის ხელშია სავსებით მთელი სახელმწიფოს აპარატი, რომ არ ვილაპარაკოთ მათ საზოგადოებრივობის სხვა ორგანიზაციულ ფორმებზე. „მუშათა“ მთავრობას არავითარი ცვლილებები არ შეუტანია ბურჟუაზიულ სახელმწიფო აპარატის არამც სტრუქტურაში, არამედ მის პირად შემადგენლობაშიც. მაკდონალდი მართავდა ისეთ სახელმწიფო მექანიზმს, რომლის ყოველი ჭანჭიკი, ყოველი მოხელე ემსახურებოდა კაპიტალისტური წყობილების დაცვის საქმეს და მტრულად იყო განწყობილი მუშათა კლასისადმი.

ამ გარემოებას თავისი გავლენა ჰქონდა არჩევნების შედეგებზე.

ინგლისის ბურჟუაზიას დღემდე თავისი იდეური, სულიერი გავლენის ქვეშ ყავს მუშათა კლასის დიდი ნაწილი. მის განკარგულებაშია აურაცხელი გაზეთები, რომელნიც მილიონობით ვრცელდებიან. მაშინ როცა მუშათა პარტიას ძლივსღა აქვს ერთი გაზეთი, რომელიც ამავე დროს, თავის თავად ცხადია, არ ატარებს ნამდვილ კლასობრივ ხაზს.

ბურჟუაზია იმორჩილებს მუშათა კლასს აგრეთვე სარწმუნოებით, ეკლესიით და მრავალი სხვა საშუალებით, რომელნიც სავსებით იქნენ გამოყენებული არჩევნების დროსაც.

თუმცა მაკდონალდი ინგლისის ბურჟუაზიის საქმეს აკეთებდა, როგორც შინაურ ცხოვრებაში, ისე საერთაშორისო ურთიერთობათა დარგში, მაგრამ მაინც ცხადი იყო, რომ მუშათა კლასის გავლენით,—რომლის რევოლიუციონური შეგნება, თუმცა ნელა მაგრამ მაინც იზრდებოდა,—მას შემდეგში უნდა გადაედგა ზოგიერთი ნაბიჯები მისი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ეს კი მოითხოვდა სოციალურ რეფორმებს და კერძო საკუთრების ინტერესების შეზღუდვას. წინააღმდეგ შემთხვევაში „მუშათა“ მთავრობა დაკარგავდა ყოველგვარ ნდობას მუშათა კლასში და ამდენადვე იგი ზედმეტი გახდებოდა ბურჟუაზიისათვის, რომელიც მისი ხელით ვერ გაატარებდა თავის პოლიტიკას.

უკვე კომუნისტ კემპბელის საქმე და ინგლის-საბჭოთა ხელშეკრულება მაჩვენებელი იყო მაკდონალდის მთავრობაზე მუშათა კლასის ზედმოქმედების.

ბურჟუაზიის შეეშინდა მომავალი ეკონომიური რეფორმების და კაპიტალისტური წყობილების საფუძვლების შელახვის, ამიტომ გადასწყვიტა გაერთიანებული გამოსვლა ძალაუფლების ხელში ასაღებად. ბურჟუაზიის, როგორც კლასის, ინტერესებისათვის, მისმა პოლიტიკურმა პარტიებმა, კონსერვატორებმა და ლიბერალებმა, ან უკეთ—ლიბერალებმა კონსერვატორების სასარგებლოდ, დასთმეს ჯგუფობრივი ინტერესები და არჩევნებში შექმნეს ერთი ბლოკი მუშათა პარტიის წინააღმდეგ. მრავალ საარჩევნო ოლქში ლიბერალებმა მოხსნეს თავიანთი კანდიდატურა კონსერვატორების სასარგებლოდ, სხვებში კი გაერთიანებული სიით გამოვიდნენ, რათა არ დაეყოთ ხმები. მართალია, ასეთმა პოლიტიკამ შეიწირა ლიბერალების პარტია და მისი ლიდერი—ასკვიტი, მაგრამ სამაგიეროთ ბურჟუაზიამ გაიმარჯვა, როგორც კლასმა.

არჩევნების შედეგებზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა აგრეთვე უკანასკნელად გამოქვეყნებულმა ვითომ ამხ. ზინოვიევის წერილმა, რომლის გავრცელებას თვით მაკდონალდის მთავრობამ შეუწყო ხელი. აფერისტებმა კონსერვატორების ბანაკიდან და გარეშე საქმეთა სამინისტროდან ეს წერილი შეთხზეს, რათა დაეშინებიათ მოსახლეობრივი პსიხოლოგიით გამსჭვალული ინგლისელი მოქალაქე კომუნიზმის საფრთხით.

თვით მაკდონალდის მთავრობის ცხრა თვის მუშაობამ სახელი გაუტეხა მას ფართე მასსებში. იგი აღმოჩნდა „უხერხემალო“ მთავრობა, რომელმაც ვერ შესძლო ვერც ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადადგმა, რაიმე შემოქმედებითი უნარის გამოჩენა ფართე მასსის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ყველაფერმა ამან განსაზღვრა „მუშათა“ მთავრობის, მუშათა პარტიის დამარცხება საპარლამენტო არჩევნებში.

რა შედეგი შეიძლება მოყვეს კონსერვატორების მიერ ძალა-უფლების დაბრუნებას, კერზონის კვლავ მოქცევას ინგლისის სახელმწიფოს სათავეში?

არჩევნებმა გაწმინდა, გაამარტივა ინგლისის სოციალურ ძალთა ურთიერთობა. ეს იყო აშკარა კლასობრივი არჩევნები. ინგლისის ბურჟუაზია საჯაროდ გაერთიანდა პროლეტარიატის წინააღმდეგ. ეს გარემოება უეჭველად დიდად შეუწყობს ხელს ბრიტანეთის მუშათა კლასის კლასობრივ შეგნების ზრდას. სინამდვილე, კლასთა ბრძოლის ლოღიკა დააჩქარებს არჩევნებში დამარცხებულ მუშათა კლასის და მუშათა პარტიის ქვედა ფენების გამემარცხენების, გარევოლიუციონერების პროცესს, რომელმაც უნდა გამოიყვანოს ის ბურჟუაზიულ პარლამენტარიზმის ტყვეობიდან.

ამ პროცესში კომუნისტური პარტია უეჭველად გაძლიერდება, პროლეტარული მასსები თანდათან შემოკრბებიან მის გარშემო.

კონსერვატორები, ცხადია, ვერ შესძლებენ, არც მოისურვებენ, მუშათა კლასის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. უფრო გაღრმავდება კლასთა შორის წინააღმდეგობა. აუცილებლად მოსალოდნელია მწვავე კლასობრივი ბრძოლები

კონსერვატორები აგრეთვე ვერ დაამყარებენ მშვიდობიან დამოკიდებულებას კოლონიებთან სადაც ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა უფრო ფართე ხასიათს მიიღებს.

კერძოთ უნდა აღინიშნოს მომავალი დამოკიდებულების საკითხი კერზონის ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის.

ის დრო, როცა ჩვენ კერზონი ულტიმატუმებს გვიგზავნიდა წარსულს ჩაბარდა. ჩვენი მდგომარეობა სრულებით არ არის ისეთი, როგორიც იყო თუ გინდ ერთი წლის წინედ. საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა შეუდარებლად განმტკიცდა. სულ ბოლო დროს ჩვენ გვიცნო საფრანგეთმაც. აგრეთვე უტყუარი ფაქტია ჩვენი შინაური სიმტკიცე, ჩვენი სამეურნეო აღორძინება.

საერთაშორისო ძალთა განწყობილება, თვით ინგლისის ეკონომიური კრიზისი კონსერვატორების მთავრობას საშუალებას არ მისცემს ჩვენ გველაპარაკოს ძველი ტონით.

შესაძლებელია, ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის ნორმალური ურთიერთობის აღდგენის საქმე ბალდვინ-კერზონის წყალობით, გაჭიანურდეს. მაგრამ დრო ჩვენ სასარგებლოდ მუშაობს. ჩვენ შეგვიძლია დაველოდოთ. მხოლოდ ამით პირველ ყოვლისა თვით ინგლისი წააგებს

# 1924—25 წლის ბიუჯეტი

## I

## საბჭოთა კავშირის ბიუჯეტი

20 ოქტომბერს ცენტრ. ალმ. კომ. მეორე სესიაზე ფინანსთა სახალხო კომისარმა, ამხ. სოკოლნიკოვმა, გააკეთა მოხსენება კავშირის საფინანსო პოლიტიკის და მიმდინარე წლის ბიუჯეტის შესახებ. სპეციალური ჟურნალ-გაზეთები უკვე დიდი ხანია ამ საკითხს აშუქებენ; ჩვენ ამ წერილში ახალი ბიუჯეტების მხოლოდ მთავარ მომენტებს შევეხებით.

1924—25 წლის ბიუჯეტი პირველი ბიუჯეტია, რომელსაც საფუძვლად ოქროზე დაყრდნობილი ფულის ნიშანი აქვს, ეს ნიშანი მტკიცეა და მისი საშუალებით ალებ-მიცემაში, სახელმწიფო და კერძო ვაჭრობა-მრეწველობაში ოპერაციები ბევრად უფრო ადვილია, ვიდრე ის იყო გასულ წლის ოქტომბერს. ეს—დიდ მნიშვნელოვანი და დადებითი ფაქტია. უკვე მოხდა ერთგვარი სტაბილიზაცია ჩერვონის მანეთის. აი ამ საფუძვლებით ახალ ბიუჯეტს რეალურ ბიუჯეტს უწოდებენ.

მაგრამ 1924—25 წლის ბიუჯეტს რეალურს კიდევ იმიტომ ეძახიან, რომ ის საფინანსო კომისარიატის გამოკვლევით უნდა გამართლდეს, როგორც თავის შემოსავლის ისე გასავლის ნაწილებში. მართალია მოსავალი 15 პროც. ნაკლებია ვარაუდზე, სოფლის მეურნეობა მეტად მძიმე მდგომარეობას განიცდის, მაგრამ მოსავლის საერთო რაოდენობა და სოფლის მეურნეობის შედარებითი გამოუმჯობესობა კომისარიატს სრულ იმედს აძლევს, რომ სახელმწიფოს წელს მეტი შემოსავალი ექნება. დარგვალებით 1923—24 წლის ბიუჯეტი გამოიხატა 1900 მილიონ მანეთში, მიმდინარე 1924—25 წლის ბიუჯეტი 10 პროც. მეტია წარსულ ბიუჯეტზე და უდრის 2100 მილიონ მანეთს.

აქ საინტერესო და საჭირო გამოირკვეს საკითხი, ბიუჯეტის ზრდასთან მისდევს გადასახადების სიმძიმის ზრდა, თუ პირიქით, ბიუჯეტი იზრდება და გადასახადის სიმძიმე მცირდება. ამხ. რეინგოლდი ამბობს, როდესაც უცხოეთში სესხით აღებული თანხა ბიუჯეტში არ შედის, მაშინ უკანასკნელი წარმოადგენს ნაციონალურ შემოსავლის იმ ნაწილს, რომელიც სახელმწიფო მეურნეობის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლათ იხარჯება. ამნაირად ბიუჯეტში წყდება საკითხი, თუ როგორი რაოდენობითი დამოკიდებულებაა სახელმწიფოს და ხალხის მეურნეობათა შორის.

მიმდინარე წლის ბიუჯეტი აღემატება გასული წლის 10 პროც.-ით ანუ აბსოლიუტურად—200 მილ. მანეთით; ამავე დროს დაახლოვებით გამოანგარიშებულია, რომ მიმდინარე წლის ნაციონალური შემოსავალი 500 მილ. მანეთით მეტი უნდა იქნეს ასეთივე გასული წლის შემოსავალზე. ამნაირად სახელმწიფო თავის ხარჯების დასაფარავად ამ შემოსავლიდან იღებს 40 პროც. რასაკვირველია, ეს ანგარიშები ყველა დაახლოვებითია. საერთოთ 1924—25 წლის ბიუჯეტი თავის რაოდენობით უახლოვდება ნიკოლოზის რუსეთის ბიუჯეტს. თუ მხედველობაში მივიღებთ ტერიტორიის შემცირებას. ამ შესწორებების შემდეგ 1913 წ. ბიუჯეტი უდრიდა დაახლოვებით 2,5 მილიარდ მანეთს, 1924—25 წ. ბიუჯეტი კი უდრის 2,1 მილიარდს, მხოლოდ მათ შორის განსხვავებას აძლიერებს მანეთის სყიდვითი უნარის შეცვლა.

ბიუჯეტი, რასაკვირველია, დღესაც მოსახლეობას ტვირთად აწვება, მაგრამ ეხლანდელი ფინანსიური მდგომარეობა უფრო მტკიცე და მსუბუქია.

ფრიად საგულისხმო შედარება მოჰყავს ამხ. სოკოლნიკოვს, რომელიც ერთ-ერთ უდიდეს გადასახადის სიმძიმის შემცირებას ამტკიცებს. ეს სასოფლო-სამეურნეო გადასახადია. ეს გადასახადი უდრიდა საერთო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის:

1922—23 წ. . . . . 7,5 პროც.
1923—24 წ. . . . . 3,6 პროც.,
და ნავარაუდევია
1924—25 წ. . . . . 3,2 პროც.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის რაოდენობის ზრდა და მთელი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ღირებულებასთან შედარებით მისი თანდათანობით შემცირება, რასაკვირველია, არის იმის მაჩვენებელი, რომ მეურნეობა გამოკეთების გზაზე დგას და გადასახადის სიმძიმე თანდათან მსუბუქი ხდება.

ჯერ შემოსავლის ყველა წყაროები კიდევ კრიტიკულ ხანაშია, მაგრამ მათგან შემოსავალი იზრდება. რკინის გზები და ფოსტა-ტელეგრაფი, საერთო ფარგალში, უკვე სავსებით ფარავს თავის ხარჯებს, მრეწველობა არ თხოულობს დოტაციას და ტოვებს მოგებას 50 მილ. მანეთამდე, ტყის მრეწველობის შემოსავალი გაიზარდა 36 მილ. მანეთიდა, 60 მილ. მანეთამდე.

ასეთია შემოსავლის საერთო სურათი.

გასავალი ზომიერია. ყველა დიდი ხარჯი ტრანსპორტისაა, 780 მილ. მან.,—მაგრამ ის თავის ხარჯებს თვითონ ფარავს. მეორე ალაგი უკავია სამხედრო ხარჯებს, 378 მილ. მან., მაგრამ არც ისაა დიდი, თუ მხედველობაში მივიღებთ მანეთის ყიდვის უნარს. შემდეგ მოსდევს [illegible] არა გაერთიანებული უწყებების და დაწესებულებათა ხარჯები 314 მილ. მანეთს და არაჩვეულებრივი ხარჯები კულტურულ და ეკონომიურ დარგებში ნავარაუდევია—211,5 მილ. მან.

აი 1924—25 წ. ბიუჯეტი, რომელიც წარედგინა დასამტკიცებლად საერთო საკავშირო ცენტრ. აღმას. კომიტეტის სესიას დასამტკიცებლად და რომელიც არის მიმდინარე საბიუჯეტო წლის სახელმწიფო მუშაობის გეგმის გამომხატველი. ეს გეგმა უფრო მტკიცეა და იმედია, რომ ის შესრულებული იქნება. ფინანსიური მდგომარეობა უფრო გარკვეულია: მთელი რიგი სამრეწველო-სატრანსპორტო დაწესებულებათა, რომელნიც შარშან დეფიციტიანი იყო, დღეს უდეფიციტოა და ბევრი მათგანი მოგებასაც ტოვებს, ზოგ დარგში შემოსავალი შესამჩნევად გაიზარდა, ხარჯები კი თანაბრად არ მომატებულა, და ასეთი დადებითი მოვლენის შედეგი არის ის, რომ 1924—25 საბიუჯეტო წელს ემისსია ისპობა, როგორც დეფიციტის დასაფარავი წყარო.

დ. თ.

# საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის ბანკი

(მისი განყოფილებების გახსნის გამო თბილისში და ბაქოში)

დღევანდელი დღე განსაკუთრებულ მოვლენად უნდა ჩაითვალოს ამიერ-კავკასიის ფედერაციის ფინანსიურ-ეკონომიურ ცხოვრებაში: დღეს ერთსა და იმავე დროს როგორც თბილისში, ისე ბაქოში იხსნება საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის ბანკის განყოფილებები.

ეს ბანკი, რომელიც დაარსებული იყო უცხოეთის კაპიტალით 1922 წლის ოქტომბერში „რუსეთის კომერციული ბანკის“ სახელწოდებით შემდეგ გამოსყიდულ იქნა საბჭოთა კავშირის მიერ თავის საკუთრებათ, შეძენილ იქნა ყველა მისი აქციები და მას დაერქვა „საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის ბანკი“; მისი პირველდაწყებითი ძირითადი კაპიტალი (10.000.000) გადიდებულ იქნა 30.000.000 ოქროს მანეთამდე.

როგორც თვით ბანკის სახელწოდება მოწმობს, მის უმთავრეს და უშუალო ამოცანას წარმოადგენს ფინანსების მიწოდება საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობისათვის, რისთვისაც ბანკს დიდი შესაძლებლობა აქვს, როგორც თავისი ძირითადი კაპიტალის სიდიდის შემწეობით, ისე იმითაც, რომ ორი წლის მუშაობის განმავლობაში ბანკმა შესძლო თავისი კორესპონდენტების ქსელის გაფართოება უცხოეთში და დიდი ნდობის მოპოვება როგორც უცხოეთის საქმიან და ფინანსიურ სფეროებში, ისე საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელ ფინანსიურ წრეებს შორის.

ამას გარდა აღნიშნულ ბანკს გადაეცა შორეულ-აღმოსავლეთის, რუსეთ-სპარსეთის, სამხრეთ აღმოსავლეთის და შუა აზიის ბანკების საკონტროლო პაკეტი.

იმ დიდ ნდობას, რომლითაც ეს ბანკი სარგებლობს უცხოეთში, მოწმობს თუნდაც მარტო ის ფაქტი, რომ საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატმა ნება დართო რუსეთის კომერციულ ბანკს პირველს რუსეთის ყველა ბანკებს შორის, გაეხსნა თავისი განყოფილებები უცხოეთში, მაგალითად სტამბოლში. განზრახულია მომავალში გაიხსნას განყოფილებები სხვა ქვეყნებშიაც რათა მოვიზიდოთ უცხოეთის კაპიტალი ჩვენი საექსპორტო-საიმპორტო ოპერაციებისათვის კრედიტების მიწოდების საქმეში.

ამ მიზნით რუსეთის კომერციული ბანკის დირექტორი აწარმოებს მოლაპარაკებას ნიუ-იორკში ამერიკის ბანკებთან; უკვე მიღებულია ცნობა, რომ მოხდა შეთანხმება ამერიკის ერთ-ერთ უდიდეს ბანკთან.

ამიერ-კავკასიის განყოფილებების ამოცანას, ცხადია, შეადგენს ხელის შეწყობა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების საგარეო ვაჭრობისათვის უცხოეთთან და კერძოდ კი აღმოსავლეთთან.

თავისთავად იგულისხმება, რომ ბანკის მუშაობა მჭიდროთა და უშუალოთ იქნება დაკავშირებული ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობასთან და ამიერ-კავკასიის უმაღლეს სამეურნეო საბჭოსთან, აგრეთვე ყველა იმ სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებთან, რომელნიც ეწევიან საგარეო ვაჭრობას. ცალკე პირებსა და კერძო ფირმებსაც შეუძლიათ ისარგებლონ კრედიტით, თუ კი იმათ დაიმსახურეს ნდობა.

თუმცა, როგორც ზემოთ არის აღნიშნული, ბანკის უმთავრეს და პირდაპირ დანიშნულებას შეადგენს ფინანსიური დახმარება საგარეო ვაჭრობისა. მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში იმ უდიდეს მნიშვნელობას, რომელიც მოიპოვა შინავაჭრობის მოგვარების საკითხმა მაშინ გასაგებია თუ ბანკს აზრადა აქვს შინა-ვაჭრობის ფინანსიურ დახმარებისათვის გამოჰყოს ერთი ნაწილი თავის საბრუნავი თანხისა.

რუსეთის კომერციულ ბანკსაც მინიჭებული აქვს განსაკუთრებული უფლება, რომ გაუწიოს ფინანსიური დახმარება ნავთსინდიკატს და ამ მიზნით ახლო მომავლისთვის ბათუმშიაც იხსნება მისი განყოფილება.

რამდენადაც საქართველოს ისეთი საწარმოვო და სასოფლო-სამეურნეო დარგი, როგორც შავი ქვა და მეაბრეშუმეობა, აუცილებლად მჭიდროდ არის დაკავშირებული ექსპორტის საკითხთან, ბანკის განზრახვაა ყოველნაირათ შეუწყოს ხელი მათ განვითარებას. სწორედ ამ მიზნით საქართველოს განყოფილება ბანკის ცენტრალურ გამგეობიდან იღებს საკმაო მოზრდილ თანხას. კერძოდ კი აბრეშუმის ყაჯის ექსპორტისათვის გადადებულია ერთი მილიონი მანეთი.

ამის გარდა ამიერ-კავკასიის განყოფილებათა საოპერაციო გეგმაში შედის ყველა ის ოპერაციები, რაც ნებადართულია წესდებით. მაგალითად ანაბარების მიღება, მიმდინარე ანგარიშების გახსნა სახელმწიფო დაწესებულებათათვის კოოპერატივებისთვის და კერძო პირთათვის როგორც ჩერვონეცების, ისე უცხო ვალიუტის სახით. საზღვარ გარეთ გადაგზავნა და აგრეთვე იქიდან გადმოგზავნა უცხო ვალიუტისა. ყიდვა და გაყიდვა უცხო ვალიუტისა და სხვა ძვირფასი ლითონებისა.

თბილისის განყოფილებას ამჟამად საბრუნავ თანხად გააჩნია 2.000,000 მან. ეს თანხა გაიზრდება თანდათან ოპერაციების განვითარებასთან ერთად. თბილისის განყოფილებას დათმობილი აქვს ერთი საუკეთესო საბანკო შენობა (ყოფილი ა | კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკი) ქვასხოველის ქუჩაზე (ყოფილი ლორის-მელიქოვისა № 5).

მივესალმებით რა საკავშირო საგარეო ვაჭრობის ბანკის ამიერ-კავკასიის განყოფილებათა გახსნას, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მათი მუშაობა გადაიქცევა უმთავრეს ფაქტორად ჩვენი ვაჭრობის მომავალ განვითარებისათვის როგორც ევროპაში, აგრეთვე განსაკუთრებით აღმოსავლეთშიც, რომლის დაუშრეტელ სიმდიდრესაც ისე ხარბათ ეძლაუჭებიან ევროპიელი და ამერიკელი კაპიტალისტები. ამ თვალსაზრისით ამიერ-კავკასიის განყოფილებანი უნდა გადაიქცნენ ჩვენი კავშირის ერთ-ერთ მოწინავე სიმაგრეთ აღმოსავლეთში, რომ ამგვარად ხელი მოუმართოს საბჭოთა კავშირს და აღმოსავლეთის ხალხთა მშრომელების შეკავშირებას.

ბ.

# კონსერვატორებმა გაიმარჯვეს საპარლამენტო არჩევნებში

## მათ გაიყვანეს 400 დეპუტატი; მუშათა პარტიამ დაჰკარგა 40 ადგილი

## ლიბერალებმა დაჰკარგეს 112 ადგილი; მათი ბელადი ასკვიტი ხელს იღებს პოლიტიკურ მოღვაწეობაზე

### მსოფლიო რეაქციონური პრესა აღტაცებულია კონსერვატორების გამარჯვებით.—კონსერვატორები თვითონ არ მოელოდნენ ასეთ გამარჯვებას.—ლიბერალური პარტია სასტიკად დამარცხდა.—ქალებმა ხმა მისცეს კონსერვატორებს.

## კომუნისტების გავლენის ზრდა

ლონდონი. 30 ოქტ. არჩევნების მიმდინარეობა ამტკიცებს, რომ კომუნისტების გავლენა შესამჩნევად იზრდება. ხუთ ოლქში, სადაც ხმები უკვე დათვალეს და სადაც წამოყენებული იყო კომუნისტების კანდიდატურები, უკანასკნელებმა მიიღეს დაახლოვებით 40,000 ხმა. ერთ ოლქში კონსერვატორებმა მიიღეს 12,700 ხმა, კომუნისტებმა 7,500, ხოლო მუშათა პარტიის კანდიდატმა 6,800. ამრიგად აშკარაა, მუშათა პარტიას რომ გამთიშველი პოლიტიკა არ ეწარმოებია, არჩეული იქნებოდა მუშათა პარტიის კანდიდატი.

უშუალოდ კომუნისტმა დეპუტატებმა მიიღეს 10,000 ხმა დასავლეთ ბირმინგამში და აღმოსავლეთ ნოტინგამში.

კომპარტიიდან გამოსული პრაისი დამარცხდა გლუჩესტერში. ნიუბოლდი, რომელიც აგრეთვე გამოვიდა კომპარტიიდან, სრულებით არ ყოფილა დასახელებული კანდიდატად. ელენა ვილკენსტონ არჩეულია მიდლსბურგში, როგორც მუშათა პარტიის კანდიდატი. საარჩევნო კამპანიის დროს ის ყოველივე ძალ-ღონით ცდილობდა დაერწმუნებია ყველანი, რომ ის არ ყოფილა კომუნისტი, მან უარი სთქვა კომპარტიისაგან დახმარების მიღებაზე.

## კონსერვატორების გამარჯვება

ლონდონი. 31 ოქტ. კონსერვატორებმა სულ მოიგეს 149 ადგილი, მუშათა პარტიამ დაჰკარგა—40 ადგილი, ლიბერალებმა კი დაჰკარგეს—110 ადგილი.

კონსერვატორებს, ამგვარად აქვთ უდიდესი—191 ხმის უმრავლესობა ყველა დანარჩენ პარტიების წინააღმდეგ. ასეთი არაჩვეულებრივ გამარჯვებას ინგლისში ადგილი არ ჰქონია 1906 წლის შემდეგ, როდესაც ასეთივე გამარჯვება წილად ხვდათ ლიბერალებს.

არჩეულთა შორის არის მაკდონალდი სამხრეთ უელსიდან, სხვა მინისტრებიდან ხელახლა არჩეული არიან სიდნეი ვებბი და ფილიპ სნოუდენი. გენერალური პროკურორი, [illegible] ხასტინგსი, რომელმაც უარი [illegible] კომუნისტების ჟურნალისტის [illegible] (რამაც გამოიწვია მუშათა მთავრობის დამარცხება), კვლავ იქნა არჩეული, როგორც კონსერვატიული პარტიის კანდიდატი, მაშინ როდესაც წინანდელ არჩევნებში ხასტინგსი გავიდა ლიბერალების ხმებით.

ლოიდ-ჯორჯი არჩეულია კარნარვენის რაიონში, მას მოუხდა ბრძოლა მუშათა პარტიის კანდიდატის პროფესორ ციმბერმანის წინააღმდეგ. ყველა გამოჩენილი კონსერვატორები ხელახლა იქნენ არჩეული გარდა დევიდსონისა, ლანკასტერის საგერცოგოს ყოფილ კანცლერისა. კანდიდატ ქალებს დიდი გამარჯვება არ მოუპოვებიათ. ასკვიტის ქალიშვილმა—ლედი მონ ხენ კარტერმა საარჩევნო ოლქში წარმოთქმულ სიტყვაში განაცხადა, რომ მის მამას განზრახული აქვს ჩამოშორდეს პოლიტიკურ ასპარეზს.

პარასკევს გაიმართა ინგლისის კაბინეტის თათბირი. იმ საკითხის გადასაწყვეტად დაუყოვნებლივ გადადგება მთავრობა, თუ გამოვა თემთა პალატაში 24 ნოემბერს.

## კონსერვატორების იმედები

ლონდონი. 30 ოქტ. არჩევნების შედეგებმა იმედი მისცა კონსერვატორებს, რომ მუშათა მთავრობა აუცილებლად დაეცემა და შესდგება კონსერვატიული მთავრობა.

„მორნინგ პოსტ“ აღნიშნავს მუშათა პარტიის ორგანიზაციის დამსახურებას და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ინგლისის მრეწველობის უმწეო მდგომარეობა და უმუშევრობა წარმოადგენენ ფაქტორებს, რომლებიც ფარულად მუშაობენ რევოლიუციონერების—არსებული წესწყობილების მოწინააღმდეგეების სასარგებლოდ. გაზეთი აღნიშნავს, რომ თუმცაღა კონსერვატორებს აქვთ ჯერ-ჯერობით აბსოლიუტური უმრავლესობა, მაგრამ ბრძოლა კიდევ არ დამთავრებულა.

„ტაიმს“-ი დარწმუნებულია კონსერვატიული პარტიის გამარჯვებაში და მწუხარებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ ასკვიტი დამარცხდა და აიმარჯვა მუშათა პარტიამ კინგსტონში, გერტონში და ბირმინგამში, რომლებიც მუდამ წარმოადგენდენ კონსერვატორების ციხე-სიმაგრეს.

„დეილი ექსპრეს“-ს იმედი აქვს, რომ კონსერვატორები მიიღებენ აბსოლიუტურ უმრავლესობას და ისინი შექმნიან მკვიდრ მთავრობას.

## საბოლოო შედეგები

ლონდონი. 31 ოქტ. კონსერვატორებმა მიიღეს 400 ადგილი, მუშათა პარტიამ—151, ლიბერალურმა პარტიამ—40, უპარტიოებმა—4. კონსერვატორებმა მოიგეს 159 ადგილი, მუშათა პარტიამ დაჰკარგა—45 ადგილი, ლიბერალურმა პარტიამ დაჰკარგა—120 ადგილი.

მაკდონალდის წინაშე ორი შესაძლებლობაა: ან გადადგეს დაუყოვნებლივ, რის შემდეგაც ბალდვინს მიანდობენ კაბინეტის შედგენას, ან მოუცადოს კონსერვატორების მხრივ უნდობლობის რეზოლიუციას პარლამენტის გახსნის შემდეგ. ფიქრობენ, რომ მაკდონალდი, შექმნილ მდგომარეობის გამო, ალბად, გადასწყვეტავს დაუყოვნებლივ გადადგომას. კაბინეტის სხდომა არჩევნების შედეგების განსახილველად გაიმართება 31 ოქტომბერს. ამ სხდომაზე მიღებული იქნება საბოლოო გადაწყვეტილება.

ბალდვინი მადლობას უხდის თავის ამომრჩევლებს და აცხადებს: „არჩევნების შედეგებმა სავსებით გაამართლეს ის რწმენა, რომელიც მე მქონდა ინგლისის ხალხის პოლიტიკურ შეგნებისა და საღ აზროვნებისადმი, იმ დროს, როდესაც ჩვენს წინაშე დასმულია პირველ ხარისხოვანი მნიშვნელობის საკითხი“.

ლიბერალების დამარცხება, საერთო აზრით, გამოწვეულია მისი მომხრეების გადასვლით კონსერვატორების მხარეზე იმ მიზნით, რათა უზრუნველჰყოთ სოციალისტური მთავრობის დამარცხება.

## რას ფიქრობენ ლიბერალები



ასკვითი

ლონდონი. 30 ოქტ. ლიბერალების ლიდერმა ასკვიტმა განაცხადა, რომ ის მიუხედავად დამარცხებისა, თავს არ გაანებებს პოლიტიკურ მოღვაწეობას.

ლონდონი. 30 ოქტ. ლიბერალური პრესა ძალიან უკმაყოფილოა არჩევნების შედეგებით.

ლოიდ-ჯორჯთან ახლო მდგომი „დეილი კრონიკელ“ თავს იკავებს ყოველგვარ კომენტარიებისაგან არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებამდე.

ასკვიტის ორგანო „დეილი ნიუზ“ ამბობს, რომ მუშათა პარტია, როგორც სჩანს, სავსებით დამარცხდა, კონსერვატიული პარტია კი თუნდაც მას უმრავლესობა არ დაურჩეს ახალ პარლამენტში, ყოველშემთხვევაში იმდენად ძლიერი მაინც იქნება, რომ ანგარიში არ გაუწიოს გაერთიანებულ ოპოზიციას“.

„დეილი გერალდ“ თავს იკავებს ყოველგვარ კომენტარიებისაგან.

## არჩევნების შედეგები

ლონდონი. 31 ოქტომბერი. კონსერვატორებმა მიიღეს 886 ადგილი, მუშათა პარტიამ—147, ლიბერალებმა 39.

ლონდონი. 30 ოქტომბერი. 30 ოქტომბერს ნაშუადღევის პირველი საათისთვის არჩეულია: 172—კონსერვატორი, 80—მუშათა პარტიის კანდიდატი, 23—ლიბერალი.

კონსერვატორებმა მოიგეს 60 ადგილი, დაჰკარგეს 6, მუშათა პარტიამ მოიგო 19, დაჰკარგა 37, ლიბერალებმა მოიგეს—7, დაჰკარგეს 46.

მუშათა პარტიის მემარცხენე ფრთის წარმომადგენელი პერსელი დამარცხდა კოვენტრიში.

ლონდონი. 30 ოქტომბერი. არჩევნების შედეგები დღემდის ასეთია: კონსერვატორებმა მიიღეს 330 ადგილი, (მოიგეს 120 ადგილი) მუშათა პარტიამ—125 (დაჰკარგა 36 ა.) ლიბერალებმა—82 ადგილი (დაჰკარგეს 95).

ლონდონი 30 ოქტომბერი. ზოგიერთი სამრეწველო წრეებში ლიბერალებმა დაჰკარგეს 5.000—10.000 ხმამდე. ეს გარემოება და ასკვიტის დამარცხება წარმოადგენს დიდმნიშვნელოვან ფაქტს, ვინაიდან ასკვიტი არავითარ შემთხვევაში არ დასთანხმდებოდა მიეღო მონაწილეობა კონსერვატორების მთავრობაში, რისთქმაც არ შეიძლება ლოიდ-ჯორჯის შესახებ.

# ორი ყრილობა

(ჩვენი მოსკ. კ[illegible]ი კორესპონდენტისაგან)

ამხანად მოსკოვში ორი ყრილობა მიმდინარეობს: ერთია ექიმების სრულიად საკავშირო ყრილობა და მეორე სოფლის პარტიულ უჯრედების მდივანთა სრულიად რუსეთის თათბირი. ორივე ყრილობა განსაკუთრებულ ადგილს დაიჭერს საბჭოთა აპარატის მომავალ მუშაობაში სოფლად.

ექიმი და მასწავლებელი თავიდანვე ქალაქთან შემაერთებელი კულტურული ელემენტი იყო სოფლისათვის. მეფის მთავრობას სოფლის ინტელიგენცია ათვალისწუნებული ჰყავდა. მან იცოდა, რომ სოფლად უკმაყოფილების, წინააღმდეგობის ორგანიზატორი და იდეური ხელმძღვანელი მეტწილად სახალხო მასწავლებელი, ექიმი, ან კიდევ აგრონომი იყო.

თებერვლის რევოლიუციამდე სოფლის ინტელიგენციამ მართლაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა რუსეთის განმანთავისუფლებელ მოძრაობაში. ოქტომბრის შემდეგ—კი მან თითქმის მთელი ფრონტით უკან დაიხია, პირი იბრუნა პროლეტარულ რევოლიუციის შუქისაგან და ნაწილობრივად კონტრ-რევოლიუციის ბანაკში ამოჰყო თავი. ეს ისტორიულად ადვილი ასახსნელია, რადგან სოფლის ინტელიგენტი, განსაკუთრებით-კი წმინდა რუსულ მოსახლეობის გუბერნიებში, ძველი „ნაროდნიკულ“ მოძრაობის კანონიერი, ერთად-ერთი შემკვიდრე იყო და ბოლო ხანებში ესერულ პარტიის დასაყრდნობ ძალას წარმოადგენდა.

მაგრამ მას შემდეგ მრავალ წყალმა გაიარა. შვიდი წლის განმავლობაში ახალი რუსეთი, ახალი სოციალური ურთიერთობა და ახალი პოლიტიკური ძალთა განწყობილება დაიბადა. ცხოვრებამ არ იცნა რუსეთის სინამდვილეში სხვა პოლიტიკური ძალა გარდა კომუნისტურ პარტიისა. ისტორიის ულმობელობამ არარად აქცია რუსეთის რეაქციონური და ყველა ჯურის ოპორტიუნისტული პარტიები.

ოთხ წელზე მეტია, რაც მთელ ანტიკომუნისტურ ფრონტზე შესამჩნევი უკან დახევა ხდება. დღეს საზოგადოებრივ მოღვაწეობის ყოველ დარგში ქვეყნის მთელი სასიცოცხლო ძალებია ჩაბმული.

ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ექიმთა სრულიად საკავშირო ყრილობა.

აქ ყველაზე ნაკლებად აქვს ადგილი პოლიტიკურ წილადობილას და უქმსიტყვაობას.

სოფელი ქალაქს ჩამორჩა უვიცობით. სიბნელითაა მოცული მილიონობით დასახლებული თვალუწვდენელი მიდამოები. ექიმბაშები, მკითხავები, მხაკვრები, ბერ-მონაზვნები და ყველა სახის წურბელები ფრთაშესხმული დათარეშობენ სოფლად. ლოთობა, ანტისანიტარული მდგომარეობა, სიფილისი, ჭლექი და სხვა სოციალური სნეულებანი სულს უხუთავს გლეხურ მასას. აი, მოღვაწეობის ფართო ასპარეზი, სადაც უნდა გააცხოველოს მუშაობა საბჭოთა მედიციამ. აი, ის პრაქტიკული, საჭირბოროტო კითხვები, რომელსაც უყენებს წინ სინამდვილე ჩვენს ექიმებს.

აქ ბევრი ლაპარაკის დრო აღარ რჩება. აქ ბევრი არაფერია სადაო. სამუშაო ყოველ ნაბიჯზე წინ გვეხირება. საჭიროა მხოლოდ შრომა, შრომა დაუღალავი და კეთილსინდისიერი.

ექიმთა ყრილობაც ამ მხრივ მიუდგა კითხვას. მის ყურადღების ცენტრში უმთავრესად სოფელი იდგა, საბჭოთა სოფელი მთელი მისი ავით და კარგით, მთელი მისი ჭირით და ლხინით.

მეორე მხრივ გლეხთა შორის მუშაობის კითხვა ერთად-ერთ მსჯელობის საგანს წარმოადგენს სოფლის უჯრედების სრულიად რუსეთის თათბირზე.

სოფლის უპატრონოთ დარჩენაზე ჩივილი არა ერთხელ გვსმენია რევოლიუციის შემდეგ. ჯერ სრულიად გასაგებ მიზეზების გამო, სოფელი თავისთავად ღარიბია ადგილობრივ მომზადებულ მუშაკებით, და მერე, თუ კი სადმე იყო ასეთი, ისიც ქალაქისკენ გაიხიზნა. ამ გარემოებამ ძალიან შეუწყო ხელი სოფლად ნაძირალა ელემენტების აღვირახსნილობას და შეაფერხა აღმშენებლობითი მუშაობა.

კოოპერაცია, კულტურული მუშაობა, წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია, საკრედიტო ამხანაგობები, ანტირელიგიური პროპაგანდა და მრავალი სხვა დახელოვნებულ დათან რევოლიუციისათვის საიმედო ხელს მოითხოვს სოფლად.

ყველაფერ ამას ხელმძღვანელი და ორგანიზატორი უნდა.

აქედან ცხადია, რომ პარტიის მოუცილებელ და უახლოეს ამოცანას წარმოადგენს სოფლის აპარატის გაჯანსაღება, მისი უფლებრივ ჩარჩოების გადიდება.

ძველმა მთავრობამ დასაბამიდანვე შთაუნერგა ხალხს მართველობის ორგანოებისადმი სიძულვილი. პარტიას ამ მხრივ დიდი სამუშაო უდევს წინ, მან უნდა გაჰფანტოს საუკუნოებით დაგროვილი უნდობლობის გრძნობა, მან უნდა იჩვენოს მშრომელ გლეხობას, რომ საბჭოთა ხელისუფლება მისი პირმშო და ღვიძლი შვილია.

საბჭოთა კავშირის პროლეტარიატს განსაკუთრებულ პირობებში უხდება თავის ისტორიულ დანიშნულების შესრულება. მის გვერდით წვრილ მეურნეობის წარმომადგენელნი ლატაკი და საშუალო გლეხობის მილიონები იბრძვიან. მხოლოდ კავშირი და მჭიდრო თანხმობა გაიყვანს ამ ორ ძალას სამშვიდობოზე. და მოსკოვის დღევანდელი ორი ყრილობაც ამ საქმეს ემსახურება.

აკ. შვინია.

მოსკოვი, 25 ოქტომბერი.

## გერმანიის პოზიცია

**ბერლინი.** 30 ოქტ. კონსერვატორების გამარჯვებას ინგლისის არჩევნებში გაცხოველებულ კომენტარიებს უკეთებს ბერლინის პრესა საკითხს, უმთავრესად, იხილავს სამი თვალსაზრისით: 1) გავლენა, რომელიც შეუძლია მოახდინოს ამ ფაქტმა გერმანიის არჩევნებზე, 2) ინგლის-გერმანიის მომავალი ურთიერთობა, 3) ინგლის საბჭოთა კავშირის მომავალი ურთიერთობა.

„ფოსიშე ცეიტუნგ"-ი დასტირის მაკდონალდის დამარცხებას და სწერს: „გერმანია, რომელსაც მეთაურობენ ნაციონალისტები, ინგლისის კონსერვატიულ მთავრობისაგან უნდა ელოდეს მხოლოდ ერთს, სახელდობრ, პოლიტიკურ ძალდატანებას და ეკონომიურ ბარიერებს“.

სოციალ-დემოკრატები ჯერ-ჯერობით სდუმან და არაფერს არ ამბობენ მაკდონალდის დამარცხების შესახებ.

როგორც მემარჯვენე, ისე მემარცხენე პრესა ერთხმათ წინასწარმეტყველობს, რომ ბალდვინის კაბინეტი საკმაოთ დიდხანს დარჩება სახელმწიფოს სათავეში. ერთხმად წინასწარმეტყველობენ აგრეთვე, რომ ბალდვინის მთავრობა გააუმჯობესებს ინგლის-გერმანიის საერთო-პოლიტიკურ ურთიერთობას. ფიქრობენ, რომ საგარეო პოლიტიკაში ცვლილება არ მოხდება. შიშს იწვევს მხოლოდ ინგლისის მომავალი ეკონომიური პოლიტიკა. უმთავრესათ ეშინიათ ინგლისის პროტექციონული სისტემის, რომლის მიზანი იქნება გერმანიის ექსპორტის შეფერხება.

მიუხედავათ კონსერვატორების გამარჯვებისა, გაზეთები მაინც ფიქრობენ, რომ ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა ნორმალურ კალაპოტში ჩადგება. აღნიშნავენ, რომ ინგლისზე გავლენას მოახდენს საბჭოთა კავშირის ცნობა საფრანგეთის მიერ, და აგრეთვე ის, რომ რუსეთთან დაახლოვება სასარგებლოა ინგლისის ვაჭრობისა და მრეწველობისათვის.

## არჩევნები ადგილობრივ

**ლონდონი.** 30 ოქტ. კონსერვატორებმა მოიგეს ნ ადგილი მანჩესტერში, სადაც მათ ჰქონდათ 10 ადგილი.

მანჩესტერი ყოველთვის ითვლებოდა ლიბერალიზმის ციხე-სიმაგრეთ, რომელიც კონსერვატორების ხელში გადავიდა ომის დროს და ეხლა კი ისევ ამ უკანასკნელებმა დაიპყრეს.

მანჩესტერის და იორკშირის საფეიქრო ოლქებში კონსერვატორებმა აგრეთვე მოიგეს რამდენიმე ადგილი ლიბერალების ხარჯზე და აგრეთვე რამდენიმე ადგილი მუშათა პარტიის ხარჯზე, უმთავრესად იმ ოლქებში, სადაც შარშან ლიბერალები და კონსერვატორები ერთად არ გამოდიოდნენ.

რეიტერის სააგენტოს ცნობა, მთელ რიგ სამრეწველო რაიონებში კონსერვატორების გამარჯვების შესახებ, უნდა იქნას შესწორებული შემდეგნაირად: კონსერვატორებმა გაიმარჯვეს, უმთავრესად, საფეიქრო მრეწველობის ოლქებში, სადაც ჩვეულებრივ ირჩევდენ ლიბერალებს და სადაც მუშათა პარტიას არასოდეს არ შეეძლო გამარჯვების მიღწევა, ვინაიდან აქ მუშები შედარებით უზრუნველყოფილი არიან მატერიალურად.

მუშათა პარტიის გამარჯვება წარსულ არჩევნებში კი შედეგი იყო უმთავრესად იმის, რომ მაშინ იმ ოლქებში იბრძოდა სამი პარტია.

იმ ოლქებში, სადაც ხმები დათვლილია, მუშათა პარტიის კანდიდატებისათვის მიცემული ხმების რიცხვი გაიზარდა 500000-ით შარშანდელ არჩევნებთან შედარებით.

გამონაკლისს შეადგენს ბირმინგამი—წვრილ საწარმოო დაწესებულებათა ქალაქი, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ითვლებოდა კონსერვატიზმის ციხე-სიმაგრეთ. შარშან ბირმინგამში მუშათა პარტიამ მიიღო 64.000 ხმა, წელს 112,000, აქ პირველად იქნა არჩეული მუშათა პარტიის წევრი.

## არჩევნების გამოძახილი

**მოსკოვი,** 31 ოქტ. „როსტას“ თანამშრომელთან საუბრის დროს პროფინტერნის აღმასრულებელ ბიუროს წევრმა, ინგლისის მუშების წარმომადგენელმა ალლისონმა ასე დაახასიათა ინგლისში მომხდარი არჩევნების შედეგები:

„კონსელვატორების გამარჯვება ყოველგვარ მოლოდინს აჭარბებს. მუშათა პარტიის ასე სასტიკად დამარცხება კიდევ უფრო მეტ გაკვირვებას იწვევს. ეხლა სრულიად დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ინგლისის ახალი პარლამენტი იქნება კონსერვატორების ხელში. კონსერვატორებს ეყოლებათ აბსოლიუტური უმრავლესობა.

არჩევნების შედეგები ამტკიცებს არა იმდენად მუშათა პარტიის დამარცხებას, რამდენადაც მისი ლიდერების რეფორმისტულ პოლიტიკის დამარცხებას. ინგლისში აღარ აქვს ადგილი საშუალო პარტიებს. ლიბერალების და მუშათა პარტიის დამარცხება მჭერმეტყველურად ამტკიცებს ამას.

არჩევნების შემდეგ უნდა მოველოდეთ მუშათა პარტიის მარცხნივ გადახრას.

# საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა მტკიცეა

## დე-მონზიმ და ამხ. რაკოვსკიმ ერთმანეთს მისალოცი დეპეშა გაუგზავნეს

## ჩეხო-სლოვაკია ემზადება საბჭოთა კავშირის ცნობისათვის

გერმანიის პრესა საერთოდ კმაყოფილია საფრანგეთის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობით —იტალიის პრესა თავდაჯერილია.—,,შეთანხმება საბჭოთა კავშირთან საფრანგეთისათვის აუცილებელი შეიქნა''.

## ჩეხო-სლოვაკიის პოზიცია

**პრაგა.** 30 ოქტ. ბენეში გამოვიდა პარლამენტში სიტყვით საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ. მან განაცხადა: „მთელს ევროპაში ადგილი აქვს ლტოლვას მშვიდობიანობისაკენ. ამ თვალსაზრისით უნდა შევათასოთ ჩვენ ჩვენი დამოკიდებულება საბჭოთა კავშირის ცნობის საკითხთან. საბჭოთა კავშირის იურიდიული ცნობა ინგლისის და საფრანგეთის მიერ წარმოადგენს მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოვლენას და ამავე დროს ახალი სიტუაციის სიმპტომს. ამის გამო ჩვენც გადავსწყვიტეთ დავიკავოთ ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან. ცნობის საკითხის გამოსარკვევათ ჩვენ უკვე გადავსდგით ნაბიჯები ჩვენთვის საინტერესო ფაქტების მიხედვით. საბჭოთა რუსეთის გარკვეული ცნობა და მასთან ნორმალური ურთიერთობის განახლება წარმოადგენს გავლენების ბუნებრივი განვითარების შედეგს“.

## ეხლა ნანობენ

**პრაგა,** 30 ოქტ. ზომიერ ნაციონალ-დემოკრატების ორგანო აცხადებს, რომ რეალური პოლიტიკის ინტერესები მოითხოვს ჩეხო-სლოვაკიის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობას.

„წინათ,—სწერს გაზეთი,—ჩეხო-სლოვაკიას შეეძლო უფრო ხელსაყრელ პირობებში ეცნო საბჭოთა კავშირი“.

## შთაბეჭდილება გერმანიაში

**ბერლინი,** 30 ოქტ. მთელი ბერლინის პრესა ათავსებს ჩიჩერინის სიტყვას, წარმოთქმულს საბჭოთა კავშირის ცაკის სესიაზე ცნობის გამო და აგრეთვე ცნობის გამოძახილს საფრანგეთის და საბჭოთა კავშირის პრესაში. მაგრამ გაზეთების უმრავლესობა თავს იკავებს კომენტარიებისაგან.

„ფრანკფურტერ ცეიტუნგ“ მოწინავე წერილში აღნიშნავს, რომ საფრანგეთის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობა მოასწავებს ისტორიულ გარდატეხას. „რუსეთის წონა მსოფლიო პოლიტიკაში უფროდაუფრო საგრძნობი ხდება.

კარახანს ეხლაც დიდი გავლენა აქვს ჩინეთის ამბებზე. უეჭველია, რომ მოსკოვში ეხლა უკვე დასმული იქნება საკითხი, თუ რომელი ორიენტაცია აირჩიონ—საფრანგეთის თუ ინგლისის. გერმანიას დამშვიდებით შეუძლია უცქიროს ამბების მომავალ მიმდინარეობას. თუ მიღწეულ იქნა შეთანხმება საფრანგეთსა და რუსეთს შორის, მაშინ მოისპობა რუსეთის ოპოზიცია ერთა ლიგაში გერმანიის შესვლის წინააღმდეგ“.

## დე-მონზის მილოცვა

**პარიზი.** 30 ოქტომბ. დე-მონზიმ და რაკოვსკიმ გაუგზავნეს ერთმანეთს მისასალმებელი დეპეშები. ულოცავს რა დე-მონზის საფრანგეთის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობას, რაკოვსკი თავის დეპეშაში მადლობას უცხადებს იმ დიდი როლისათვის, რომელიც პირადათ მან ითამაშა იმ აქტის წარმატებებით დამთავრებაში, რომელიც იქნება ისტორიული ეტაპი ორივე მეგობრული ხალხის ურთიერთობის განმტკიცების გზაზე.

დე-მონზიმ უპასუხა, რომ მას, ისევე როგორც რაკოვსკის, საბუთი აქვს იფიქროს, რომ მოლაპარაკება დამთავრდება ნაყოფიერად, რასაც შედეგად მოჰყვება სრული მეგობრული ურთიერთობის აღდგენა საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირს შორის.

## ურთიერთობა ლატვიასთან

**რიგა.** 30 ოქტომბ. მინისტრთა საბჭომ დაადგინა მოახდინოს პოლიტიკურ პატიმრების გაცვლა-გამოცვლა საბჭოთა კავშირსა და ლატვიას შორის.

მთავრობას განზრახული აქვს აგრეთვე ახლო მომავალში დაიწყოს მოლაპარაკება ლატვიასა და საბჭოთა კავშირს შორის სავაჭრო ხელშეკრულების დადების შესახებ.

## ყალბი ცნობა

**მოსკოვი.** 31 ოქტ. ფრანგული გაზეთი „ერ-ნუველი“ აქვეყნებს ყალბ ინტერვიუს ჩიჩერინთან საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შესახებ.

ჩიჩერინს არავისთან არ ჰქონია ინტერვიუ ამ თემაზე.

„ინტერვიუ“-ში ლაპარაკია რუსეთზე და არა საბჭოთა კავშირზე, ასე რომ, ალბათ ის „ინტერვიუ“ ეკუთნის 1922 ან 1923 წელს.

## მხიარული ხალხი

**ლონდონი,** 30 ოქტ. „მორნინგ პოსტ“ და „დეილი ტელეგრაფ“ არ უკეთებენ კომენტარიებს საბჭოთა კავშირის ცნობას საფრანგეთის მიერ; ისინი მხოლოდ ათავსებენ ნოტებს, რომლებიც ერთმანეთს გაუგზავნეს საბჭოთა კავშირის და საფრანგეთის მთავრობებმა.

„ტაიმს“ სწერს, რომ ცნობა ააშკარავებს საფრანგეთის პოლიტიკის მთელს შინაარს. „საფრანგეთის მეგობრები ნანობენ, რომ მისმა მთავრობამ ხელი აიღო ბოლშევიზმისადმი უარყოფითი დამოკიდებულების პოლიტიკაზე, რომელშიაც ის შეთანხმებულად გამოდიოდა ამერიკასთან“. გაზეთს უკვირს, რომ ერიოს სჯერა ბოლშევიკების დაპირება, რომ ისინი არ ჩაერევიან საფრანგეთის შინაურ საქმეებში, იმ დროს, როცა საბჭოთა მთავრობამ „გამოიყენა თავისი მიზნებისათვის მაკდონალდი და შემდეგ [illegible] რომელიც მიმართულია ინგლისის იმპერიის დანგრევისაკენ“. გაზეთი წინასწარმეტყველობს, რომ საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკება გაჭიანურდება და უშედეგოდ დამთავრდება, საბჭოთა მთავრობა კი ამ ხნის განმავლობაში გახდება საფრანგეთის პოლიტიკური ცხოვრების გამრყვნელ ცენტრად.

## პრესის აზრი

**რომი.** 30 ოქტ. იტალიის პრესა ფრთხილად უკეთებს კომენტარიებს საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის შორის დიპლომატიურ ურთიერთობის აღდგენის ფაქტს.

გაზეთი „ეპოკა“ სწერს, რომ დოუესის გეგმის მიღების და გერმანიასთან მოლაპარაკების განხილვის შემდეგ (მოლაპარაკება შეეხებოდა გერმანია-საფრანგეთის დიდი სინდიკატის შექმნას ევროპის აღსადგენად) შეთანხმება საბჭოთა კავშირთან აუცილებელი გახდა საფრანგეთისათვის. გაზეთი სწერს, რომ ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა გაუარესდა, ვინაიდან საბჭოთა კავშირი იკრებს თავის გარშემო აღმოსავლეთის ყველა ერებს—ჩინელებს, ინდოელებს, ავღანელებს და ამგვარად აშორებს მათ ინგლისს. საერთაშორისო პოლიტიკის თვალსაზრისით საფრანგეთის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობას, გაზეთის აზრით, აქვს უდიდესი მნიშვნელობა. გაზეთი აღნიშნავს, რომ ერიოს ნოტაში აღნიშნული ვალდებულებები და ხელშეკრულებანი ეხებიან რუმინეთთან ბესარაბიის შეერთებას. გაზეთი ფიქრობს, რომ არც ბესარაბიის და არც საქართველოს საკითხი ხელს არ შეუშლის საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის შეთანხმებას.

# პარტიული ცხოვრება

## საქ. კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის 30 წ. თავისათვის

ძვირფასო ამხანაგებო! მიმდინარე 1924 წ. ნოემბერში სრულდება საქ. კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის არსებობის 30 წელი.

საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი ემზადება ამ დღის აღსანიშნავად იუბილეს მოწყობით.

თბილისის ორგანიზაცია ამიერკავკასია—კავკასიის მასშტაბით ითვლება უძველეს კომუნისტურ ორგანიზაციათ.

ეს კომუნისტური (მაშინ მას ეწოდებოდა სოციალ-დემოკრატიული) ორგანიზაცია ჩაისახა თბილისში სწორედ იმ დროს, როდესაც რუსეთის დიდ სამრეწველო ქალაქებში არსდებოდენ და ირაზმებოდენ რევოლიუციონურ-მარქსისტული ორგანიზაციები.

თბილისის ორგანიზაციის დაარსება იწყება იმ პირველ მარქსისტულ კრების შემდეგ, რომელიც გაიმართა ხესტაფონში 1892 წელს ეგნატე ნინოშვილის ინიციატივით და მიხა ცხაკაიას და სხვ. აქტიური მონაწილეობით. ეს კრება იყო ისეთივე, როგორც მარქსისტ-ინტელიგენტების, „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის საზღვარ-გარეთელი წრე, რომელსაც ხელმძღვანელობდენ პლეხანოვი და ზასულიჩი.

ამ ჯგუფის სულის ჩამდგმელად ითვლებოდა ამხ. ფილიპე მახარაძე. ეს რევოლიუციონურ-მარქსისტული იდეა ვრცელდება აქ მოწინავე მუშათა შორის.

1894 წ. ნოემბრის თვის პირველ რიცხვებში, ამიერ-კავკასიის რკინისგზების თბილისის მთავარ სახელოსნოების მუშებისაგან ეწყობა ყველა არსებულ მარქსისტულ მუშათა წრეების ხელმძღვანელი ერთიანი რევოლიუციონურ-მარქსისტული ცენტრი—ერთგვარი კომიტეტი.

1895 წ., 6 და 7 წლებში ორგანიზაციის ეს პატარა ჩანასახი თანდათან იზრდება და ძლიერდება მარქსისტული ძალებით.

ამით თბილისის ორგანიზაციამ მიიღო დაწყებულ მუშათა მოძრაობის ნამდვილი ხელმძღვანელ კომიტეტის სახე.

აი მოკლეთ საქ. კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის წარმოშობის გაძლიერების და განმტკიცების ისტორია.

ამიტომ საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი და ცკ-ს „პარტისი“ მოუწოდებს ყველა ამხანაგებს დასწერონ მოგონებები და წერილები, რომელიც ეხება თბილისის ორგანიზაციის მუშაობას და სასწრაფოთ, არა უგვიანეს 12 ნოემბრისა, გამოგზავნონ საქართველოს „პარტის“-ში მასალები და დოკუმენტები თბილისის ორგანიზაციის მუშაობის და მოღვაწეობის შესახებ, უმთავრესად ამ ორგანიზაციის პირველ ჩასახვის პერიოდიდან.

იუბილეს დღის შესახებ დამატებით იქნება გამოცხადებული.

საქ. კომპარტიის თბ. კომიტეტის მდივანი რუბენი.

საქ. კომპ. ცკას პარტისის გამგე თალაკვაძე.

## დავეხმაროთ სოფელს

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ცენტრპარტსკოლამ აიღო შეფობა გორის მაზრის ერთ-ერთ ჩამორჩენილ სოფელ სკრაზე.

26 ოქტომბერს ხსენებული სკოლის საშეფო კომისია გაემგზავრა აღნიშნულ სოფელში, რათა გამოერკვია ადგილობრივი მდგომარეობა. კომისიის მისვლისას მოწვეულ იქნა სოფლის გლეხკაცობის საერთო მასსიური კრება, სადაც გაკეთებულ იქნა ცენტრპარტსკოლის წარმომადგენლის ამხ. ალ. გაჩეჩილაძის მიერ მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობაზე და საშეფო კომისიის მნიშვნელობაზე.

კომისიის მისვლას გლეხობა დიდი აღფრთოვანებით შეეგება. გლეხობამ გააცნო კომისიას მათი საჭირო-ბოროტო საკითხები და თხოულობდენ შესაძლებლობის ფარგლებში მაქსიმალურ დახმარებას კულტურულ დარგში.

სოფელ სკრაში შედის ოთხმოცდაათი კომლი. მათი ეკონომიური მდგომარეობა მეტად უნუგეშოა შედარებით სხვა სოფლებთან. ეს აიხსნება მოუსავლობის მიზეზებით.

კულტურული განვითარების დონე გლეხობისა ძლიერ დაბალია. მათში 70 პროც. წერა-კითხვის უცოდინარია. არც კლუბი, არც სამკითხველო მათ არ გააჩნიათ. აქვს სოფელს სკოლა, მხოლოდ ისიც ძლიერ ცუდ პირობებშია.

ხსენებულ სოფელში საკმაო რიცხვი მოიპოვება კომუნისტებისა, რომლებიც 1921 წელს კომპარტიის გამწმენდ კომისიაში გამორჩენილან და უჯრედი დაშლილა, რაიც აიხსნება უჯრედის უყურადღებობის გამო, რისთვისაც თხოულობენ როგორმე უჯრედის კვლავ აღდგენას. ამას აუცილებლად უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება.

ერთი სიტყვით საჭიროა გაცხოველებული მუშაობის წარმოება ამ ჩამორჩენილ კუთხეში როგორც კულტურულ, ისე პოლიტიკურ სფეროში, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე ამ სოფლის გლეხობის ეკონომიურათ ხელის მომართვის საქმესაც.

ალ. თორაძე.

## პარტმუშაობა სამტრედიაში

ხუთშაბათს 23 ოქტომბერს რკინის გზის მუშათა კლუბში შესდგა გაერთიანებული კრება სამი უჯრედისა. თავმჯდ. არჩეულ იქნა ამხ. ვასო კვანტალიანი, მდივნათ კი ავქს. გვაზიძე.

დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: მოხსენება რაიკომის თავის ექვსი თვის მუშაობის შესახებ.

ვრცელი და შინაარსიანი მოხსენება გააკეთა ამხ. ილ. სტურუამ, რომელმაც დაწვრილებით აღნიშნა ის მუშაობა, რომელიც აწარმოვა რაიკომმა ამ ხნის განმავლობაში. „თუ სამტრედიის რაიონი შეგნებულათ შეხვდა იმ ავანტიურას, რომელიც მოაწყვეს მენშევიკებმა, ამაში დიდი მუშაობა მიუძღვის რაიკომსო“, სთქვა მომხსენებელმა.

მოხსენების ირგვლივ გაიმართა კამათი, სადაც ამხანაგები მიუთითებდენ ზოგ დეფექტებზე და მის გამოსწორებას მოითხოვდენ. ბოლოს მიღებულ იქნა რეზოლიუცია და რაიკომის მუშაობაც დამაკმაყოფილებლათ იცნეს.

სან-კანი.

## ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირი

### კომკავშირის მუშაობა ფასანაურის რაიონში

(დუშეთის მაზრა)

ფასანაურის რაიონში არსებობს საქ. ახალ. ლენინისტური კომკავშირის ოთხი გლეხური უჯრედი.

მთელ რაიონში კომკავშირის წევრთა რიცხვი უდრის 45-ს, ხოლო კანდიდატების 2-ს, ყოველ უჯრედებში კვირაში ერთხელ ხდება პოლიტწრის მეცადინეობა. პოლიტ-წრის მეცადინეობას ხელს უშლის სოფლის უჯრედებში მომზადებული ხელმძღვანელის უქონლობა და მასთან დაკავშირებით სათანადო ლიტერატურის უქონლობა.

უჯრედების ჩვეულებრივი სხდომები ხდება ორკვირაში ერთხელ, რასაც სისტემატიურად ესწრება რაიკომის მდივანი და კეთდება მოხსენებები სხვადასხვა პოლიტიკურ საკითხებზე.

ავტორიტეტი კომკავშირელებისა გლეხ-კაცობაში კარგია. კომკავშირელები მუშაობენ კოოპერატივებში თემის საბჭოში და ხელმძღვანელობენ სამკითხველოსაც. ასე; რომ კომკავშირელები აქტიურ მონაწილეობას იღებენ ამ კუთხის გათვიცნობიერებისა და აღორძინების საქმეში. სამაზრო კომიტეტის ხელმძღვანელობა ადგილობრივ ორგანიზაციების სავსებით დამაკმაყოფილებელია.

რაც შეეხება ჩვენი რაი-ორგანიზაციების ნაკლულოვანებებს, უნდა აღინიშნოს შემდეგი: ქალიშვილობა ჩვენს რიგებში სრულიად არ მოიპოვება, რასაც აუცილებლად უნდა მიექცეს ყურადღება. საჭიროა, რომ ფასანაურის რაიონში იქნეს გაგზავნილი ქალთა განყოფილებიდან ინსტრუქტორი ქალებს შორის მუშაობის საწარმოებლად.

კავშირი პარტიასთან სუსტია, მოიკოჭლებს და ამის მიზეზია ის გარემოება, რომ ამ ჟამად ფასანაურის რაი-პარტკომში არავინ არ არის მომუშავე. საჭიროა, ყოველ მიზეზს გარეშე ამასაც მიექცეს ჯეროვანი ყურადღება სამაზრო პარტკომის მიერ, რათა რაიპარტკომში გამოყენებული, მიმაგრებული იქნას მომზადებული ამხანაგი.

გაზეთის მხრივაც მთელ რაიონში სიმშილობაა, სამკითხველოებს აღარ მოსდით გაზეთი „კომუნისტი“ და ამგვარად მოკლებული ვართ ყოველგვარ ახალ ცნობებს, კომკავშირის რაიკომს მოსდის მხოლოდ გაზ. „სპარტაკი“ დუშეთის სამაზრო კომიტეტიდან ისიც დაგვიანებით ზოგი №-ბი კი გზაში იკარგება.

მიზანშეწონილი იქნებოდა, რომ გაზეთები გამოწერილი ყოფილიყო პირდაპირ თბილისიდან, რომლებსაც უშუალოთ მივიღებდით ფოსტის საშუალებით.

გრ. ნადარეიშვილი.

## ქუთაისის პირველ საფეხურის პარტსკოლაში

ამ ჟამად ქუთაისში არის პირველი საფეხურის პარტსკოლა, სადაც სულ ირიცხება ას ოცდა თუთხმეტი მოწაფე. ეს მოწაფეები დაყოფილია ხუთ ჯგუფათ, რომელნიც მეტად კარგ პირობებში იმყოფებიან მატერიალური უზრუნველყოფის მხრივ. მხოლოთ ერთი, რაც ძლიერ აწუხებს და საგრძნობ ნაკლულოვანებას შეადგენს ჩვენი პარტსკოლისას არის ის, რომ მოწაფეებს არ აქვთ სახელმძღვანელობები.

ეს იწვევს მათ გაზარმაცებას. მაგრამ ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ამ გარემოებას ვისგანაც ჯერ არს მიექცევა ჯეროვანი ყურადღება და პარტსკოლას გადმოეგზავნება ის წიგნები რომლებიც მას უმთავრესად ესაჭიროება.

ამასთანავე ერთად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ოქტომბრის პირველ რიცხვებში ამ სასწავლებელს მოემატა 9 კაცი სვანეთიდან, რაც მეტად სასიხარულოდ და სასიამოვნოთ უნდა ჩაითვალოს ჩვენთვის, ვინაიდან მათ მოაშორის იმ სკოლას, სადაც იზრდებიან მხოლოთ კომპარტიის წითელი დროშის დარაჯები.

აქვე უნდა ვაღიაროთ, რომ პარტსკოლის გამგე ამხ. [illegible], ფრიად დამაკმაყოფილებლად უხელმძღვანელებს აქ მყოფ მოწაფეებს და განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მათ დისციპლინალურ მხარეს.

გრიგოლ სირბილაძე.

## მენშევიკ-ბანდიტების მსხვერპლის ხსოვნას

### ამხ. სერგო ჩხაიძე

26 ოქტომბერს ჩვენი პარტიის რიგებს კვლავ გამოაკლდა და ბრძოლის ველზე დაეცა მენშევიკ ბანდიტების გამოსროლილი ტყვიით ამხ. სერგო ჩხაიძე.

ვინ იყო ამხ. სერგო?

ამხ. სერგო იყო ჩვენი პარტიის არალეგალური მომუშავე აკანის თემში.

ჯერ საქართველოში მენშევიკების ბატონობის დროს ამხ. სერგო ითვლებოდა აკანის თემში ერთ-ერთ საუკეთესო მომუშავეთ და თავის გარშემო აკავშირებდა და [illegible] გლეხკაცობას კომუნისტური პარტიის დროშის ქვეშ.

გასაბჭოების პირველ დღიდან კი ამხ სერგოს ჩვენ ვხედავთ რევკომის და შემდეგ აღმასკომის თავმჯდომარეთ. მთელი თავისი მუშური, რევოლიუციონური ძალღონე ამხ. სერგომ შესწირა თავის პატარა სოფლის კეთილდღეობას. მისი პირადი ინიციატივით ბევრი რამ გაკეთდა აკანის თემში ხალხსაც უყვარდა ის და ამიტომ იყო რომ, მთელი სამნახევარი წლის განმავლობაში ირჩევდა მას ხელისუფლების სათავეში.

ხალხს ის უყვარდა როგორც ენერგიული მუშაკი და მას არც იცილებდა.

28 აგვისტოს მენშევიკური ავანტიურისტულ გამოსვლების დროს, როდესაც მას თავს დაესხნენ მძინარეს და დაუძახეს „ჩაბარდით, მთელი საქართველო ჩვენს ხელშია“ ამხ. სერგო მათ თავისი პატარა კოხიდან [illegible] სროლით უპასუხებდა. მაშინ [illegible], როდესაც ტყვიები შემოაკლდა მათ გამოექცა და მეორე დღესვე ჩვენთან მოვიდა ოზურგეთში და ჩვენთან ერთად ღებულობდა აქტიურ მონაწილეობას ავანტიურის ლიკვიდაციაში. შემდეგ კი ის ისევ თავის თემში დაბრუნდა სამუშაოთ.

26 ოქტომბერს ამხ. სერგო ოთხი კომუნარების თანხლებით თავს დაესხა ბანდიტების შეიარაღებულ ჯგუფს სადაც ის მოკლულ იქნა ბანდიტების ხელით გასროლილი ტყვიით. ეს არის ტყვია გასროლილი გახრწნილი მენშევიკური პარტიის მიერ ჩვენი პარტიის სოფლის მომუშავე ამხანაგების წინააღმდეგ.

მაგრამ თვითეულ კომუნარის დაღვრილი სისხლი, გამოიწვევს ათეულ და ასეულ მსხვერპლს ავანტიურისტების ბანაკიდან...

ამხ. სერგოს სახით კი ჩვენ დავკარგეთ საუკეთესო, სოფლათ მომუშავე თავდადებული ამხანაგი.

კ. ბარამიძე.

# მენშევიკური გამოსვლების შედეგები და გაკვეთილები

VII. გამოსვლების შედეგები. მონანიება. რევოლიუციონური ძალების მოქმედება. გლეხების სტიქიური მოძრაობა აზნაურებისა და თავადების წინააღმდეგ კახეთში და ქართლში

ეხლა შევეხოთ იმას, თუ რა შედეგები მოყვა ავანტიურას და როგორ უყურებდა მას მოსახლეობის ძირითადი მწარმოებელი კლასები, ე. ი. მუშათა კლასი და გლეხობა.

მუშათა კლასი ამ შეშფოთებულ დღეებში სადარაჯოზე იდგა.

ჩვენს პარტიას თამამათ შეუძლია სთქვას, რომ მან მტკიცეთ დაიპყრო მუშათა კლასი

სამწუხაროთ, ჩვენი ქვეყანა მდიდარი არ არის მუშებით, მაგრამ იქ, სადაც ასეთები არიან—თბილისში, ბათომში, ფოთში, სოხუმში, ხაშურში, სამტრედიაში და სხვაგან იქ სამაგალითო წესრიგი სუფევდა და მუშები იცავდენ საბჭოთა ხელისუფლებას; ისინი სასწრაფოთ მიდიოდენ იმ რაიონების დასახმარებლათ, სადაც ადგილი ჰქონდა გამოსვლებს.

მუშათა ცენტრებში კი მტერმა ვერ გაბედა გამოსვლა, რადგან იცოდა, რომ მას უმოწყალოთ გაანადგურებდენ.

მუშების სულიერი განწყობილება საუცხოვო იყო და უპარტიოები საბჭოთა ხელისუფლებისაგან მოითხოვდენ მოწინააღმდეგის სასტიკათ დასჯას.

რაც შეეხება გლეხობას, იქ, სადაც გამოსვლებს ადგილი ჰქონდა და გლეხების უმნიშვნელო ნაწილი ჩათრეული იყო ავანტიურაში, იქ ეხლა გლეხები ინანიებენ თავის შეცდომებს.

ჩვენ ჩამოვიარეთ ეს მაზრები და დავრწმუნდით, რომ გლეხები [illegible] განსთქვამენ მომხდარი [illegible] გამო და ამბობენ, რომ [illegible] სასტიკათ მოატყუეს. წინავალი რაიონებში უპარტიო გლეხები გამოსვლების დროს იარაღით ხელში იცავდენ საბჭოთა ხელისუფლებას, ისინი თავშესაფარს აძლევდენ ჩვენს ამხანაგებს და დახმარებას უწევდენ საბჭოთა ხელისუფლებას ბანდიტებთან ბრძოლაში.

იმ გლეხებს კი, რომლებიც ბანდიტებს მოტყუილებით ან იძულებით გამოყავდათ და აბამდენ ავანტიურაში, გაუცრუვდათ იმედები. ზოგიერთმა მგრძნობიერმა გლეხებმა ვერ გაუძლეს ამ სირცხვილს და თავი მოიკლეს. ასეთ შემთხვევებს ადგილი ჰქონდა გურიაში და ზუგდიდის მაზრაში.

სოფ. ზომლეთში (გურია) ერთმა გლეხმა თავი ჩამოიღრჩო, მეორემ კი თავი მოიკლა.

მათ დასტოვეს ასეთი შინაარსის წერილები:

**კონსტანტინე ვადაჭკორია** სწერს: „განცხადება მთავრობის წინაშე!

მე როგორც უბრალო მუშა ვსჯი ჩემს თავს. ამ საქმის მე არაფერი ვიცოდი, ვინაიდან მას ჩემდაუხებურად წავაწყდი: მივდიოდი გზაში სხვაგან, თურმე საქმე დაწყებული იყო და არ მომცეს აშვალება ჩემს საქმეზე წავსულიყავი. მე, როგორც ოჯახის მოყვარე კაცი მირჩევნია ჩემს სახლში მოვიკლა თავი. ფუ იმას. ვინც მე ასე მომაშორა ამ სოფელს. ჩემი ძმა კასიანე, ნამდვილი კომუნისტი, გაარჩევს ჩემს საქმეს. იარაღის მოყვარე არ ვყოფილვარ თავიდან, თორემ უფრო ვაჟკაცური კი იქნებოდა იარაღით სიკვდილი, ვინემ თავის ჩამოხრჩობა“.

**ილიკო დუმბაძის წერილი** (სამი ტყვია იკრა პირში ჯერ კიდევ ცოცხალია). „ნათესავებო და ამხანაგებო, ცოლო, [illegible] ნაშრომო, გემშვიდობებით და ხაზს უსვამ ჩემს სიცოცხლეს. 44 წლის კაცს ჯერ კიდევ არ მიშავდა. მე მოტყუებულმა სხვებისგან გავაკეთე დიდი შეცდომა ვერ გაუწიე ანგარიში ასეთ დიდ საქმეს, როგორიც შეუგნებელი პოლიტიკაში. ადრე გავიგე რომ ვიყავი მოტყუებული, მაგრამ რაღას ვიქდი, საქმე წავახდინე. ჩემი ქვეყანაზე ყოფნის გამოსავალი გზა არ იყო. დღეს ვეღარ უმაგრდები ასეთ დანაშაულობის ყურებას, ჩემს თავს უნდა უმტერო. მე ბრმა იარაღი გაკვირებული მუშა უმჯობესად ვსცანი დავისვენო სამუდამოდ. თქვენ იცით, რომ არ ვიყავი მუშის პირობაზე მთლად დაკარგული მოღალატე, მაგრამ მოვსტყუვდი სასტიკად და ამის შემდეგ აღარ შემიძლია უმზირო იმ ხალხს, რომლებიც შევაწუხეთ ჩვენი გაუგებრობით. იცით თქვენ, რომ მე შემეძლებოდა თუ არა ასეთი საქმის რაიმე, მაგრამ ძალამ გამიდენა წინ და გვაკეთებინა ის, რაც მათ მათ სურდათ“.

5 სექტ. 1924.

აი ეს მაგალითები გვიმტკიცებენ, თუ მონანიების როგორი პროცესი ხდება გლეხობაში.

გურიიდან ჩამოსული ამხანაგები აღნიშნავენ, რომ იქ ადგილი აქვს აშკარა გარდატეხას და თუ ჩვენ ამას გამოვიყენებთ და ვაწარმოებთ მოხერხებულ მუშაობას, მაშინ რამოდენიმე ხნის შემდეგ ყველა ის გლეხები, რომლებიც მენშევიკებს გაყვნენ გურიაში, ჩვენს მხარეზე გადმოვლენ.

მონანიების და გარდატეხის ასეთს სურათს ადგილი ჰქონდა იმ მაზრებში, სადაც გამოსვლები მოხდა; იმ რაიონებში კი, სადაც ადგილი არ ჰქონია გამოსვლებს, განსაკუთრებით კახეთში—ჩვენ ვამჩნევთ სხვანაირ სურათს: აქ გამოსვლებით აღშფოთებული გლეხობა ამხედრდა თავადებისა და აზნაურების წინააღმდეგ

კახეთში და ქართლში ადგილი ჰქონდა ორიგინალურ მოვლენას: თავადებს და აზნაურებს სურდათ გლეხების ამხედრება ჩვენს წინააღმდეგ, მაგრამ გამოვიდა ნამდვილი გლეხური აჯანყება თვით მათ წინააღმდეგ.

კახეთის და ქართლის გლეხობის საუკუნოებრივმა სიძულვილმა მემამულეების მიმართ ეხლა თავი იჩინა მთელი თავისი სიძლიერით, შიძინებული ძალები აღსდგენ და კახეთის გლეხობა შეიძრა.

კახეთში დაიწყო თავადების და აზნაურების განდევნა მათ სახლებიდან და მამულებიდან. გლეხები ერეკებიან მათ და იკავებენ მათ სახლებს და მამულებს.

ვის წინააღმდეგ აღსდგენ კეტებით გლეხები?

ისინი გარჩევით მოქმედობდენ და ერეკებოდენ იმ თავად აზნაურთა გვარებს, რომლებმაც განსაკუთრებით თავი ისახელეს თავისი მხეცური მოქმედებით და რომლებიც დღესაც იმით ყოყოჩობენ, რომ მათ ძარღვებში განსაკუთრებული, თავადური სისხლი სჩქეფს.

იყო შემთხვევა, როდესაც ერთმა გლეხის ქალმა ხანჯალი ჩასცა და მოკლა თავადი იმისათვის, რომ წინ გაუვლიფა, აწამა და შემდეგ გააუპატიურა ის.

იყო შემთხვევები, როდესაც გლეხებმა ქვებით ჩაქოლეს, თურმე, თავადები და აზნაურები.

ეს იყო გლეხების სტიქიური მოძრაობა სიღნაღის და თელავის მაზრებში, ნაწილობრივ გორის მაზრაშიც.

მთავრობის მოწოდებაში ნათქვამი იყო, რომ იმ აზნაურებს და სხვებს, რომლებიც უკანასკნელი დროის განმავლობაში გაიქცენ თავის სახლებიდან გლეხების სტიქიური მოძრაობის გამო, შეეძლოთ უკან დაბრუნება. მაგრამ გლეხებს, რომლებმაც გარეკეს აზნაურები და თვითონ დაიკავეს მათი სახლები, ამის გაგონებაც კი არ სურდათ.

ორჯერ გაგზავნა მთავრობამ ავტორიტეტული ამხანაგებისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც ადგილობრივ უნდა გამოერკვია ამ საქმის ყველა გარემოებები და ის, შეიძლებოდა თუ არა აზნაურების თუნდაც ერთი ნაწილის დაბრუნება.

გლეხებში ამან ერთგვარი უკმაყოფილება გამოიწვია; მათ კატეგორიულათ განაცხადეს, რომ არ დაუშვებენ აზნაურების დაბრუნებას, რადგან ასეთ შემთხვევაში მათი მშვიდობიანი შრომა უზრუნველყოფილი არ იქნება და ამიტომ აზნაურებთან და თავადებთან ცხოვრება ერთ ტერიტორიაზე მათ არ სურთ.

ერთმა გლეხმა კრებაზე პირდაპირ განაცხადა:

„დეე აზნაურებმა და თავადებმა—ბანდიტ ჩოლოყაშვილის მეგობრებმა—მოგვარონ და ჩააბარონ ის საბჭოთა ხელისუფლებას და მაშინ ჩვენ შეიძლება გადავსინჯოთ საკითხი ზოგიერთ აზნაურების დაბრუნების შესახებ“.

როგორ მოქმედობდენ გამოსვლების დროს ყველა ჩვენი წითელი ძალები და პარტიული ორგანიზაციები?

უპირველეს ყოვლისა, უნდა შევეხოთ საქართველოს წითელ არმიას.

პარიტეტულ კომიტეტის წევრებს იმედი ჰქონდათ, რომ თუ ქართული ნაწილები მათ მხარეზე არ გადავიდოდენ, ყოველ შემთხვევაში, ეროვნული გრძნობის გამო, არც მათ წინააღმდეგ გაილაშქრებდენ.

მაგრამ ამაში ისინი სასტიკათ მოსტყუვდნენ.

იმ ზომების წყალობით, რომლებიც მიღებული იყო ამხ. ს. ორჯონიკიძის მონაწილეობით ჯერ კიდევ გამოსვლებამდი, შესაძლებელი გახდა ქართული არმიის მეთაურთა შემადგენლობის გაწმენდა და იქიდან 300-დი მეთაურის გამორიცხვა, რომელთა მაგივრათ წამოყენებული იყვენ წითელი კომანდირები; წითელარმიელთა მასა კი საიმედო იყო. ქართული წითელი ნაწილები, რომლებიც ჯერ კიდევ ახალგაზრდები და ბრძოლაში გამოუცდელები არიან, მენშევიკური ავანტიურის დროს „მოინათლენ“ ბრძოლაში, ისინი საუცხოვოთ იბრძოდენ და მათ სავსებით გაამართლეს მუშურ-გლეხური არმიის სახელწოდება.

ამას კი დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, რადგან ქართულმა ჯარებმა დაამარცხეს ქართული კონტრრევოლიუცია.

საქართველოს კომპარტიის ამოცანა ეხლა სწორეთ იმაში მდგომარეობს, რომ ამაღლებული იქნეს ქართული წითელი არმიის ავტორიტეტი მთელი მოსახლეობის თვალში; ჩვენ მას მეტი სიყვარულით, მზრუნველობით და მეტი ყურადღებით უნდა მოვეპყრათ, ვიდრე ეს აქამდი იყო.

პირველ რიგებში ყველგან გმირულათ იბრძოდენ ჩვენი კომკავშირელები, რომლებმაც საქმით დაამტკიცეს, რომ მათი სახით იზრდება ნამდვილი ახალგაზრდური საუკეთესო თაობა, რომელიც არაფრით არ არის დაკავშირებული ნაციონალისტურ და სხვაგვარ ცრუმორწმუნოებასთან და ტრადიციებთან.

მრავალ ადგილებში მათმა თავდადებულმა და გმირულმა ბრძოლამ იხსნა მდგომარეობა, ისინი გადასცურავდენ მდინარეებს და ატყობინებდენ მახლობელ რაიონებს გამოსვლების დაწყების შესახებ, ისინი კვდებოდენ, მაგრამ არ ყრიდენ იარაღს.

რაც შეეხება ჩვენი პარტიული ორგანიზაციების მოქმედებას, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ამის შესახებ უნდა ითქვას შემდეგი:

ქალაქების პროლეტარულმა ორგანიზაციებმა (თბილისი, ბათომი, ფოთი) დაამტკიცეს ის, რომ ისინი მჭიდროთ შეკავშირებული არიან,მათ ბრწყინვალეთ დაიჭირეს გამოცდა.

თბილისის ორგანიზაციამ იმ წამსვე გაგზავნა კომუნარების რაზმები თბილისის მაზრის სხვადასხვა რაიონებში, გორის და ბორჩალოს მაზრებში, ბათომის კომუნარები სასწრაფოთ გაემგზავრენ გურიის დასახმარებლათ, ფოთელმა კომუნარებმა კი მიაშურეს სამეგრელოს

როგორც საერთო წესი, კომუნისტები განსაკუთრებით ზოგიერთ რაიონებში, სადაც იყვენ ძველი გამოცდილი პარტიული ამხანაგები საუცხოვოთ იბრძოდენ; თავგამოდებით იბრძოდენ აგრეთვე უპარტიო გლეხები პოლიტიკური წრეების წევრები (მაგალითად, ქუთაისის და რაჭის მაზრაში.) რაც შეეხება ყოფილ მენშევიკებს, გამოსვლებმა დაამტკიცეს, რომ მრავალი მათგანი როგორც მუშები, ისე გლეხები (ზოგიერთი გამონაკლისით და ისიც, უმთავრესათ, გურიაში), განსაკუთრებით კი მუშები, გულწრფელათ გამოვიდენ მენშევიკური პარტიიდან და მთლიანათ ერთგული დარჩენ მუშათა კლასის და კომპარტიის.

ეს ამტკიცებს იმას, რომ პარტიის პოლიტიკა ყოფილ მენშევიკების მიმართ აბსოლიუტურათ სწორი აღმოჩნდა და ჩვენ მომავალშიაც ამ სწორი გზით უნდა ვიაროთ; ჩვენ უნდა განვავრცოთ მუშაობა ყოფილ მენშევიკებს შორის იმ მიზნით, რომ ჩავაბათ ისინი პრაქტიკული მშენებლობის საქმეში.

რაც შეეხება ჩვენი პარტიული ორგანიზაციების მდგომარეობას, აქ ყველა ზემონათქვამიდან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ ყველა ისინი, რომლებმაც სულმოკლეობა და სიმხდალე გამოიჩინეს, რკინის ცოცხით უნდა იქნენ განდევნილი პარტიიდან. პარტიიდან გამორიცხულები კი და უპარტიოები პოლიტწრეების წევრები, რომლებიც ამ შეშფოთებულ დღეებში ჩვენთან იყვენ, მიღებული უნდა იქნენ პარტიაში.

აუცილებელია მიღებული იქნეს ზომები იმისათვის, რომ ჩვენი პარტია სათანადოთ მომზადებული იქნეს სამხედრო საქმის ცოდნის მხრივ. საჭიროა აგრეთვე მიღებული იქნეს ზომები იმისათვის, რომ ის შემაერთებელი ძაფები, რომლებიც კომუნისტს აკავშირებენ ანტი-საბჭოთა ელემენტებთან საქართველოში, საბოლოოთ გაწყვეტილი იქნეს.

მ. კახიანი.

# თბილისის აღ ასკომის ჯანმრთელობის განყოფილების მოქმედება

(1924 წ. 1 ენკენისთვემდე)

1924 წელი აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილებისათვის წარმოადგენს ახალ ხანას. შეიცვალა გეზი მისი მოქმედებისა როგორც ქალაქში, ისე მაზრაში და შესაფერისად გადახალისდა განყოფილების ორგანიზაცია.

**მედ. დახმარების ქვეგანყოფილება**

ძირითადი თავისი ამოცანიდან ჯანმრთელობის განყოფილებამ დაისახა მუშა-მოსამსახურეთა ჯანმრთელობის დაცვა. ამ მიზნით განყოფილებამ მოაწყო სპეციალური ორგანო მუშა-მოსამსახურეთა მოსავლელათ. ეს ორგანო—დაზღვეულთათვის მედიკო-დახმარების ქვე-განყოფილებაა, რომელიც გადმოყვანილი იქნა ჯანსახკომისარიატიდან.

**სამეურნეო-ადმინისტრატიული საბჭო**

იმ მიზნით, რომ ხალხის ჯანმრთელობის დაცვის საქმეებში ჩაერიოს მშრომელთა რაც შეიძლება მეტი მასსა, ჯანმრთელობის განყოფილებამ თავის საექიმო დაწესებულებებში დააწესა სამეურნეო-ადმინისტრატიული საბჭოები, სადაც მშრომელთა წარმომადგენლები ღებულობენ ფართო მონაწილეობას.

**აფთიაქები.**

საექიმო დაწესებულებებს და მცხოვრებთათვის მედიკამენტების მიწვდენის საქმის გასაუმჯობესებლად განყოფილებამ მიიღო თავის გამგებლობაში მთელი რიგი აფთიაქებისა ქალაქში და სოფლებში და ამის მოსაგვარებლად მოაწყო განსაკუთრებული ორგანო—აფთიაქთა სამმართველო.

**სან-განათლების ქვეგანყოფილება**

ვინაიდან მცხოვრებთა გაჯანსაღებისათვის უმთავრესი მნიშვნელობა აქვს სამუშაო და საცხოვრებელ პირობების გაჯანსაღებას და ამავე დროს ამ საქმის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ მცხოვრებთა თვითშეგნებით, ჯანმრთელობის განყოფილებამ დაინახა საჭიროთ მოეწყო სან-განათლების ქვეგანყოფილება, რომელნიც შეაგნებინებენ მცხოვრებთ სანიტარულ-ჰიგიენურ პირობების გაუმჯობესების აუცილებლობას და სარგებლობას.

**აგარაკები**

რათა მუშა-მოსამსახურეებს ესარგებლათ მკურნალობის სხვადასხვა მეთოდებით, კერძოთ კლიმატიური მკურნალობით, განყოფილებამ მიიღო თავის გამგებლობაში მაზრაში არსებული საავარაკო ადგილები და მათი მოსაწყობლად და ხელმძღვანელად დაარსა საკურორტო ქ | განყოფილება.

**საექიმო ნაწილი**

ჯანგანყოფილება მცხოვრებთ საექიმო დახმარებას აწევდის თავისი საექიმო ნაწილის და დაზღვეულთა მედ-დახმარების ქ | განყოფილების საშუალებით. ამ ნაწილის გამგებლობაში იმყოფება სამი საავადმყოფო 650 საწოლით და ერთი ინსტიტუტი, ამხ. კამოს სახელობის, პროფესიონალურ სენთა შესწავლა-გამოსაკვლევათ და გარდა ამისა კიდევ საავადმყოფო მაზრაში 33 საწოლით. გარდა ამისა საექიმო ნაწილის გამგებლობაში არიან 17 რაიონული სამკურნალოები, 14 ამბულატორია ადგილობრივად წარმოება-დაწესებულებებთან, 6 კონსულტაცია, 3 ბაგა და მაზრის 17 საექიმო პუნქტი.

საექიმო ნაწილი, გარდა ზემოხსენებული მოვალეობისა, აწარმოებს კიდევ შინმწოლიარე ავადმყოფთა საექიმო დახმარებას და უბედურ შემთხვევაში სასწრაფო საექიმო დახმარებას. ამ მოვალეობათა ასასრულებლად საექიმო ნაწილის განკარგულებაში იმყოფებიან უბნის მკურნალი ექიმების ინსტიტუტი და სასწრაფო დაამარების სადგური.

სასწრაფო საექიმო დახმარების სადგურმა აღმოუჩინა სასწრაფო დახმარება 2067 კაცს.

მთლად საექიმო ნაწილის მიერ ნაწარმოები მუშაობა ქალაქში და მაზრაში სექტემბრამდე გამოიხატება შემდეგში: მიღებულ იქნა 6710 სტაციონალური ავადმყოფი საავადმყოფოებში; 25.336 ავადმყ. ბინაზე და სამკურნალოებში—261.844 ავადმყ.

ამგვარად ქალაქის ყველა საექიმო დაწესებულებამ ამ ხნის განმავლობაში გაატარა 295.359 ავადმყ. გარდა ამისა ამას უნდა დაემატოს მუშაობა იმ დაწესებულებისა, რომელნიც იმყოფებიან დაზღვეულთა მედ-დახმარების გამგეობლობაში; სახელ დობრ ამბულატორიაში — 48.174 ავადმყოფი პირველჯერ, განმეორებით—215325. რაიონის ექიმების მიერ აღმოჩენათ დახმარება—26.600 ავადმყ. კონსულტაციებში და ბაგაში—8839 და სავარჯიშო დარბაზი „სანიტას"-ში—3145. სულ ერთად—253909 ავადმყოფი, ე. ი მთლად საექიმო ნაწილმა საანგარიშო დროის განმავლობაში აღმოუჩინა დახმარება 549,866.

**პროფილაქტიური მედიცინა.**

პროფილაქტიური მედიცინის ამოცანებს ახორციელებს ჯანგანყოფილების სანიტარული ნაწილი თავისი სამი ქვე-განყოფილებით: ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვისა, სან-განათლებისა და სანიტარულ ეპიდემიოლოგიური.

სკოლის სანიტარულ ექიმების და საბავშვო სახლების ექიმების ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდენ 29 ათასამდე მოწაფე მათ მიერ შემოწმებულა და ანტროპომეტრიულად გაზომილა 26613 ბავშვი. გარდა ამისა მათ მიერ წარგზავნილი იყო სპეციალისტებთან სპეციალური მკურნალობის მისაღებათ 17048 ბავშვი და გამოცალკევებული იყო გადამდებ სენით შეპყრობილი 6.306 ბავშვი.

**სანიტ-ეპიდ. ქვეგანყოფილება.**

საერთო სანიტარული ზედამხედველობის გასაწევათ და სოციალური ჰიგიენისა და პროფილაქტიკის მოთხოვნილებათა ცხოვრებაში გასატარებლად ჯანგანყოფილებასთან არსებობს სანიტარულ ექიმთა ინსტიტუტი.

ქალაქის სანიტარულ-ჰიგიენურ მხრით შესწავლის და გაუმჯობესების მიზნით სანიტარულ ექიმებმა, რომელთა რიცხვი თვითეულ უბანში უდრის 13-ს, დაათვალიერეს ამ საანგარიშო დროის განმავლობაში, ქარხნები, დაწესებულებები, სადგომები, ეზოები, მოედნები და სხ.—62536. ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობა იქონიეს 433 მწვავე გადამდებ ავადმყოფობაზედ. ჩააბარეს 2409 უწყება სანიტარული პირობების დამრღვევთ, სადაც უცხადებენ გაფრთხილებას. შეუყვნეს სანიტარული ოქმები—301 მოქალაქეს.

**ჰიგიენური ლაბორატორია**

საჭმელ და სასმელ სანოვაგეზედ მუდმივ ზედამხედველობას აწარმოებს ქალაქის ქიმიური ლაბორატორია, რომელმაც ამ ხნის განმავლობაში მოახდინა 1493 ანალიზი.

**სადეზინფექციო კამერა.**

კამერამ საანგარიშო ხნის განმავლობაში მოახდინა დეზინფექცია 299 ოთახებისა: 125,364 ცალი ძველი ტანისამოსებისა და 550 ფუთი მჩერებისა. გადაიყვანა საავადმყოფოში 440 მწვავე გადამდები სენით ავადმყ. და გადიტანა პროზექტურაში 152 გვამი.

**სან-განათლების ქვეგანყოფილება.**

სანიტარულ-ჰიგიენურ ცნობების გასავრცელებლად ქალაქსა და მაზრის მცხოვრებთა შორის სან-განათლების ქ | განყოფილებამ გამოსცა 26,000 ცალი სანგანათლების ფურცლები, უმთავრესად მწვავე გადამდებ სენთა აღმოცენა-გავრცელების შესახებ და 6,800 ცალი სანიტარულ-პოპულიარული ჟურნალები, რომელშიაც მოთავსებულია ექიმებისა და პედაგოგებისათვის საჭირო მასალა სისტემატიურად ლექციების წასაკითხავათ როგორც ქალაქში, ისე სოფლებში.

ეს ლიტერატურა განაწილებულია პროპორციონალურად ქალაქსა და მაზრის საჭიროების მიხედვით.

ამასთან ერთად განხორციელებულია სანგანათლების სალექციო პროგრამმა ქალაქის განაპირა რაიონებში და მაზრის სხვადასხვა განსაკუთრებით დაშორებულ უბნებში.

გახსნილია სანიტ. გამოფენა ერთ მოედანზედ, სადაც იმართება ლექციები სისტემატიურად, გარდა ამისა ეწყობა მაზრისათვის ერთი მოძრავი გამოფენა.

ამასთან ერთად იმართება საუბრები მეეზოვეთ და მილიციონერებთან სანიტარულ-ჰიგიენური თემებზედ წინასწარ გამორკვეული პროგრამის მიხედვით.

**პერსპექტივები.**

ამგვარად ჯანგანყოფილება იცავს რა საბჭოთა მედიცინის მთლიანობას, სცდილობს საექიმო დახმარების საქმემ მიიღოს დისპანსერული ხასიათი. სანგანათლებითი მუშაობა გაფართოვდეს და გაღრმავდეს, გამოყენებული იქნეს ადგილობრივი ბუნებრივი სიმდიდრენი ფიზიკური მეთოდებით მკურნალობისათვის (სინათლე, წყალი, ტალახი და სხ.) ამასთანავე ჯანმრთ. განყოფილება თავისი დამკვრელ ამოცანად სთვლის გამოარკვიოს შრომისა და მშრომელთა ცხოვრების სანიტარულ-ჰიგიენური პირობები და გამოიმუშაოს ზომები მათი გასაუმჯობესებლად. ამ უკანასკნელ მუშაობაში პირველი ადგილი ექნება დათმობილი ბავშვთა და მოწაფეთა ჯანმრთელობის დაცვას.

# კოოპერაცია

## ოზურგეთის კოოპერატივის მუშაობა

მენშევიკურ ავანტიურის დროს გაძარცვეს ოზურგეთის კოოპერატივის ზოგიერთი განყოფილებები.

დღეს ოზურგეთის კოოპერატივი ნორმალურად მუშაობს. კოოპერატივი ჯეროვან ყურადღებას აქცევს კულტურულ მუშაობასაც. კოოპერატივი დაეხმარა ბავშვთა თავშესაფარს 200 მანეთით, მან ორი ამხანაგი გაგზავნა კოოპერატიულ კურსებზე.

ოზურგეთის კოოპერატივმა განყოფილებები გახსნა თავის რაიონის თითქმის ყველა სოფლებში. კოოპერატივმა საკმაოდ დაიპყრო ოზურგეთის ბაზარი ქალ. ოზურგეთში მას აქვს გახსნილი წითელი სასადილო.

ჩვენი კოოპერატივის მუშა მოსამსახურეთა შრომის ნაყოფიერება დღითი დღე იზრდება, რაშიც თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღვის როგორც გამგეობას, ისე ადგილკომს.

ე. გ—ია.

# ქრონიკა

— **მძლავრი რადიო თბილისში.** დღეს შესდგება საუწყებათაშორისო თათბირი საოლქო კავშირის შენობაში თბილისში ძლიერი რადიო-სადგურის მოწყობის შესახებ.

— **კერძო რადიო-სადგურები.** კერძო მცირე ძალოვანი მიმღებ რადიო-სადგურების მოსაწყობათ ნებართვა ეძლევათ რიგს გარეში რადიოს მოყვარულთა საზოგადოების წევრებს.

— **ოქტომბრის დღესასწაულებისათვის** ყველა ქართულ ნაწილებში გამოვა საკუთარი კედლის გაზეთები.

— **საექიმო შემმოწმებელი ბიურო.** ჯანსახკომთან არსებულ საექიმო შემმოწმებელ ბიურომ 1 მაისიდან საჭირო დახმარება აღმოუჩინა 93 პირს, აქედან ომის ინვალიდებია 73 კაცი, შრომის—26.

— **ყინულის დამზადება.** ქ. საყინულეს თითო მუშამ იანვარ-აგვისტოში დაამზადა 3.3 4 ფ. ყინული, შარშან კი ამავე ხნის განმავლობაში დამზადებული იქნა თითო მუშისაგან 1,901 ფ. ყინული.

— **სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებაში.** კვირას, 2 ნოემბერს, დილის 10 საათზე სასოფლო სამეურნეო საზოგადოების მორიგ კრებაზე (ჯორჯიაშვილის ქუჩა № 5) აგრონომი დავით სამადაშვილი წაიკითხავს მოხსენებას გვალვასთან ბრძოლის შესახებ. დასწრება ყველას შეუძლია.

— **მიწათ-მოქ. კომისარიატი.** ამ ჟამად აწარმოებს თბ. სასოფლო-სამეურნეო სკოლის შენობის (დიდუბეში) საფუძვლიან შეკეთებას.

— **ოსეთის ცენტ. აღმასრ. კომიტეტმა** დაადგინა მოახდინოს სახელმწიფო დაწესებულებათა რეორგანიზაცია.

— **ა | კ. უმაღლეს ეკ. საბჭოს დადგენილებით** სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში გაუქმებულ იქნა ა | კ. შინა-ვაჭრობის რწმუნებულის სამმართველო.

— **მაზრებში სამკურნალო რაზმების** მოსაწყობათ ჯანსახკომმა დახარჯა 1.751 მან. 67 კაპ.

— **მანქანები ქარხნისათვის.** უმ. სამეურნეო საბჭომ ქუთაისის საფეიქრო ქარხნისთვის გერმანიიდან გამოიწერა ახალი მანქანები.

— **გერმანელი პროფესორი** ლიუდინი უმაღ. სამეურნეო საბჭოს დავალებით, ამჟამად რაჭაში აწარმოებს ჰიდრო-ელსადგურების ასაგებ ადგილების გამოკვლევას რიონზე, ცხენის-წყალზე და რიცეულზე.

— **ქუთაისის თამბაქოს ქარხანა.** ქუთაისის თამბაქოს ქარხანამ სექტემბერში დაამზადა 2539 გირ. თამბაქო, 4,374,000 ცალი პაპიროსი, სულ 31,709 მან. ღირებულების

— **ტყიბულის მაღაროების მუშებისათვის** ადგილობრივად ააშენეს ორი საცხოვრებელი [illegible]

**შემთხვევები.**

— **მკვლელობის განზრახვა.** 30 ოქტომ. ნაშუადღევის 3 საათზე პლეხანოვის პრ. ალექსანდრე ოჩმაკაშვილმა მოკვლის განზრახვით სამჯერ დაუმიზნა რევოლვერი მოქ. ალექსანდრე პავლიაშვილს, მაგრამ რევოლვერი არც ერთხელ არ გავარდა. [illegible] პავლიაშვილი გადაიგზავნა საავადმყოფოში. ოჩმაკაშვილი შეიპყრეს. მიზეზი გამოურკვეველია.

— **ქურდი სტუმარი.** 29 ოქტომ. დესიმონოვის მოედ. № 20 სტუმრათ ყოფნის დროს ისაკა იოსებაშვილმა გაქურდა შუშანიკა ჯაფარიძის ბინა. ქურდი შეიპყრეს.

— **ქურდობა.** 30 ოქტ. დილით ბარბარეს ქ. № 13, გაქურდეს პეტროს საკიანის ბინა. წაღებულია 60 მან. ნივთები. ეჭვით შეიპყრეს ალექსანდრე ხატიაშვილი.

— 29 ოქტ. დილის 11 საათზე ალექსანდროვის ქ. № 41 მორგებული გასაღების საშუალებით გაქურდეს ანდრო ხოფერიას ბინა. წაღებულია 60 მან. ნივთები.

— ამავე დღეს, ლოტკის გორაზე გაქურდეს ანნა მექვაბიძის ბინა.

# ლენინგრადის სასარგებლოდ

ლენინგრადის მუშების დახმარების ფონდში პროფკავშირთა საბჭომ მიიღო.

27 ოქტომბერს კომუნ. უნივერსიტეტის პროლ. სტუდენ. ბიუროსაგან 50 კაპ.

28 ოქტომბერს გემო-კვების კავშირის ბათომის განყოფილ.—243 მ. 99 კ.

29 ოქტომბერს მელითონეთა კავშირის საშუალებით:

საარტილ. საწყ. მუშებისა და მოსამსახურეებისაგან—254 მ. 70 კ.

კერძო სახელოსნოების მუშებისა და მოსამსახურეებისაგან—30.

**სულ—578—69. წინეთ შემოსულთან ერთად 17.626—24.**

# განათლების ფრონტზე

**ბავშვების გაზეთი.**

განათლების კომისარიატმა დაადგინა დაევალოს სოციალურ აღზრდის მთავარ მმართველობის სამხატვრო სექციას, გამოსცეს ბავშვების გაზეთი მხოლოდ ბავშვების მონაწილეობით.

**საბავშვო თეატრი.**

განათ. კომისარიატმა დაადგინა, ეკონომიური კრიტიკული პირობების გამო, წელს საბავშო თეატრი არ გახსნას, სამაგიეროთ შეძლებისდაგვარად დახმარება გაუწიოს სკოლებთან არსებულ საბავშო თეატრებს.

**სკოლების დამხმარე კომიტეტები.**

განათლების კომისარიატმა გადასწყვიტა შეიმუშაოს სკოლების დამხმარე კომიტეტების დებულება.

**სკოლები სოფლის ახალგაზრდობისათვის.**

ახალგაზრდა გლეხობისათვის წერა-კითხვის და აგრონომიული ცოდნის მისაცემათ, განათლების კომისარიატმა გადასწყვიტა მაზრებში გახსნას ახალგაზრდა გლეხებისათვის აგრონომიული სკოლები.

**მეცნიერულ-პედაგოგიური სექცია.**

განზრახულია განათლების კომისარიატთან დაარსდეს მეცნიერულ-პედაგოგიური სექცია.

# მეცნიერება და ტეხნიკა

## „რადიო თვალი"

უკანასკნელ ხანებში ბევრს ლაპარაკობენ პლანეტებს შორის მოგზაურობაზე. ინტერესი ამ საკითხისადმი გააძლიერა ცნობამ, თითქო განზრახული ყოფილიყო ყუმბარის გაგზავნა მთვარეზე. საბჭოთა კავშირში (მოსკოვში) შესდგა „პლანეტებს შორის მოგზაურობის შესაძლებლობის შემსწავლელი საზოგადოება".

გაიმართა მრავალი მოხსენებები და დისპუტები ამ თემაზე, რომლებმაც ცხადყვეს, თუ რამდენად დიდია ფართე მასებში ინტერესი ამ პრობლემისადმი (ამოცანისადმი), რომლის გადაჭრა საშვალებას მისცემს ადამიანს მოშორდეს დედამიწას და გაეშუროს შორეულ ქვეყნებისაკენ.

საინტერესოა მეტად თუ რა როლის შესრულება შეუძლია ამ საქმეში რადიოს.

რასაკვირველია, ადამიანი ჯერ დიდხანს ვერ გაშორდება მიწას, თავისი თვალით ვერ იხილავს სხვა პლანეტების ცხოვრებას. მაგრამ ამერიკელი ინჟენერი მადდენი წინადადებას იძლევა გაიგზავნოს სამყაროს უსაზღვრო სივრცეში „თვალები", რომელიც საშუალებას მოგვცემს ჩვენ, დედამიწაზე დარჩენილებს, დავინახოთ ყველაფერი ის, რასაც შენიშნავენ „თვალები" გაფრენის დროს

ამ ინჟენერმა შეიმუშავა პროექტი (რომლის განხორციელება მისი აზრით შესაძლებელია) ყუმბარის, რომელსაც შეუძლ[illegible]ვა პლანეტებისკენ მოგზაურობა. ყუმბარის შიგნით მოთავსებული იქნება რადიო-ტელესკოპიური აპარატი.

რადიო-ტელესკოპია—საგნების დანახვა



სურათის გადაცემა დედამიწაზე რადიოს საშვალებით.

შორეულ მანძილზე რადიოს საშვალებით—რადიო-ტეხნიკის სულ ახალი დარგია.

მადდენის პროექტის მიხედვით, „თვალების" გასაგზავნათ პლანეტებისკენ, გამოყენებული იქნება ჯენკინსის სისტემის რადიო-ტელესკოპი, რომელიც, ამერიკული პრესის ცნობით, დამაკმაყოფილებლად უჩვენებდა ეკრანზე შორ მანძილზე მოძრაობაში მყოფ საგნებს.

ჯენკინსის აპარატის მთავარ ნაწილს წარმოადგენს პრიზმისებური მბრუნავი ლინზა (შუშის ფირფიტა). სხივი, რომელსაც ისვრის საგანი ეცემა ამ ფირფიტაზე, რომელიც თავის მხრივ გადასცემს მას ფოტო-ელემენტს. აქედან საგნის სურათი გადადის რადიო-გადამცემ აპარატში რადიო-მიმღები სადგურის ეკრანზე ხედავენ იმის სურათს (მოძრავს), რაც გზაში ხვდება „რადიო-თვალებს".

ყუმბარა მოძრაობს მაშხალის პრინციპის მიხედვით. მასში მოთავსებულია საწყობი ვაზნებით და მექანიზმი, რომელიც ავტომატიურათ დებს ლულაში ვაზნებს. ვაზნის აფეთქება წინ ისვრის ყუმბარას და ასე მოძრაობს ის, სანამ ვაზნების მარაგი არ გამოილევა.

ჩვენს სურათზე ნაჩვენებია, თუ როგორ გადასცემს ასეთი ყუმბარა რადიოს საშუალებით დედამიწის სურათს სხვა პლანეტებისკენ გაფრენის დროს (ქვევით მარჯვნივ კუთხეში—რადიო-მიმღები სადგური დედამიწაზე ეკრანით რომელზეც მოსჩანს „რადიოთვალიდან" გადმოცემული დედამიწის სურათი)

ზევით კუთხეში მარჯვნივ ნაჩვენებია მადდენის ყუმბარა შიგნიდან: 1. დედამიწის სურათი მიდის რადიო-ტელესკოპიურ აპარატში, 2. მოტორი, 3. მბრუნავი ფოტოგრაფიული ფირფიტა, 4. ფოტოელემენტი 5 აკუმულიატორები, 6. ანტენა, 7 ლულა 8. ლულაში ვაზნების მიმცემი აპარატი, 9. ვაზნები, 10. იზოლიატორი, 11. რადიო-გადამცემი აპარატი (სურათების გადასაცემად დედამიწაზე).

მადდენი ამტკიცებს, რომ მისი პროექტის ტეხნიკურად განხორციელება შესაძლებელია.

# მუშათა ცხოვრება

## თვით უკანონოება ჩაიდინა და ჩვენ გვაყვედრის.

(რკ. გზ. პროფკავშირის და შრომის ინსპექტორის საყურადღებოდ).

რკ. გზ. გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. იაბლონოვსკიმ რკინისგზელთა მე-5 ყრილობაზე ლითონის ჩამომსხმელი მუშები დიდის საყვედურით მოგვიხსენია იმის გამო, რომ ვითომდა ჩვენ რკ. გზ. სალაროდან გაგვეტანოს უკანონოდ ხუთი თვის ორ საათის ნარდ სამუშაოს საშუალო პროცენტები. მანვე სასტიკად მოიხსენია ის მუშებიც, ვინც ჩვენ მიერ არჩეული იყვნენ ამ საქმის მოსაგვარებლად.

ამხ. იაბლონოვსკის საყვედური მთლიანად აშენებულია გაუგებრობაზე და ამიტომ ყველას გასაგონად ვაცხადებთ შემდეგს: 1924 წ. 16 თებერვლიდან ჩვენ, ლითონის ჩამომსხმელ მუშებს, როგორც ფრიად მავნე დარგში მომუშავეთ, შეგვიმცირეს სამუშაო დღე 8 საათიდან 6 საათამდე. ფაქტიურად მაინც 8 საათს ვმუშაობდით და სწორედ ამიტომ ზედმეტ ორ საათის ნამუშევრის ჯილდო მოვითხოვეთ, რაც ჩვენ მოგვისპეს უკანონოდ. მექვაბეებს და მჭედლებს ასეთებს აძლევდენ ხოლმე.

შრომის კომისარიატმაც კანონიერად სცნო ჩვენი მოთხოვნილება, მაგრამ „დ. ბ. 6"-მა სხვადასხვაგვარ მანიპულიაციებით ნარდი სამუშაოს პროცენტები მაინც მოგვისპო, ვითომ და ამით დიდ რამეს შემატებდა რკინისგზას.

კიდევ ერთხელ ვაცხადებთ, რომ მისი საყვედური ჩვენ მიმართ და მისი საქციელი უკანონოა და უსაფუძვლო და უნდა იქნეს გამოსწორებული.

**ხელს აწერს 76 მუშა.**

## აბაშის ჰიდრო-ელსადგურის მუშებში.

(ჩვენი პროვინციელ მუშკორისაგან)

აღნიშნულ მუშებში მუშაობა ნორმალურად მიმდინარეობს. მუშაობა სწარმოებს არტელური სისტემით. ხელფასი ეძლევათ სამუშაოს ერთეულების მიხედვით. არხის გაყვანა ღირს კუბიკ. საჟენი კლდიანი გრუნტის ლაღუმის სამუშაო ათი მანეთი, ხოლო ქვიანი—5 მან. 50 კ. წვრილქვიანი—5 მან. მუშა იღებს რვა საათის სამუშაო დღეში 1 მანეთიდან 2 მანეთამდე და 60 კაპ. 1 მანეთამდის. ეს ხელფასის ორგვარობა იმით არის გამოწვეული, რომ პირველი მუშები უფრო ძლიერები, მცოდნე და მუყაითი არიან, ხოლო მეორენი იმდენად არ არიან. უკანასკნელ დროში კლდიანი გრუნტის მუშაობის ზედაფენში ხელფასი შემოკლებული იქნა და 10 მანეთიდან 7 მანეთამდის დაყვანილი. მართალია ზედაფენზე მუშაობა უფრო ადვილია, ვინემ ქვედა ფენზე, მაგრამ დაკლება მაინც შეუძლებელი იყო, რადგანაც ეს ისედაც მცირე ხელფასია მუშებისათვის, რომელნიც საშუალოდ მანეთნახევრასაც ვერ აკეთებენ დღიურად. ახ ალმა ადგილკომმა მაინც მეტი უნადი და გამჭრიახობა უნდა გამოიჩინოს მუშათა საქმეში.

აქვე უნდა აღნიშნო, რომ შრომის ნაყოფიერების ზრდა თუ სადმე არის საჭირო, აი აქ არის. აღმშენებელთა კავშირის გამგეობამ, ადგილკომმა და მთელმა სადგურის ადმინისტრაციამ შრომის ნაყოფიერების გაზრდას აქ მთავარი ყურადღება უნდა მიაქციონ და მუშათა ინტერესების დაცვასთან ერთად მეტი გააკეთონ.

მუშკორი უჩა.

## გაზ. „ზარია ვოსტოკას" სტამბაში

ა. წ. 30 ოქტომბერს მოხდა მუშა-მოსამსახურეების საერთო კრება, რომელზედაც დაესწრო 100-დე კაცი. დღის წესრიგში იდგა ერთი საკითხი: ოქტომბრის რევოლიუციის 7 წლის თავის დღესასწაულის შესახებ.

კრებას ხსნის პასუხ. მგ. მდ. ამხ. იორდანიშვილი.

კრება თავმჯდომარედ ირჩევს ამხ ბადალოვს და მდივნად ამხ. მეგრელაძეს.

მოხსენა გააკეთა ამხ. არჩილ რუხაძემ. მან აღნიშნა და განმარტა ოქტომბრის რევოლიუციის მნიშვნელობა და უსურვა მუშათა კლასს წინსვლა.

მოხსენების შემდეგ კრებამ გამოიტანა რეზოლიუცია, რომელშიაც ის ფიცსა სდებს ყოველმხრივ დაიცვას საბჭოთა კავშირი შინაგან და საზღვარ-გარეთელ ყველა ჯურის მტრებისაგან.

მუშკორი ელვა.

## წყალსადენის მუშებში

ამ წლის 30 ოქტომბერს შესდგა წყალსადენის მუშა-მოსამსახურეთა კრება. მოხსენებლად გამოვიდა ამხ. ფარნიევი. მან თავის ვრცელ მოხსენებით აღნიშნა ოქტომბრის რევოლიუციის შვიდი წლის თავი, ამ ხნის განმავლობაში თავდადებული, ურყევი და მტკიცედ სვლა კომუნისტურ პარტიის მუშათა და გლეხთა დიქტატურით, კომუნიზმისკენ. კრების მიერ გამოტანილ იქნა სათანადო რეზოლიუცია, სადაც მუშები აღთქვამენ თავდადებულ ბრძოლას ოქტომბრის მონაპოვარის შესანარჩუნებლად და დიადი მიზნის, კომუნიზმის, განსახორციელებლად. ამის შემდეგ გაირჩა საკითხი დამხარე სალაროს შესახებ, რისთვისაც არჩეულ იქნა გამგეობა სამი კაცისაგან შემდგარი.

მუშკორი ა. განიძე.

## სხვა და სხვა

(ჩვენ რკინისგზელთა ცხოვრებიდან).

— **„შმო"-ს ორგანიზაცია.** ბათომის კვანძის რკ. გზ. მუშების საერთო კრებამ დაადგინა ჩაეწერონ ახლად დაარსებულ შრომის მეცნიერულ ორგანიზაცია „შ. მ. ო"-ს უჯრედში.

— **საულტეხილო უბნების ელექტროფიკაცია.** ბათომის კვანძის მუშების საერთო კრებამ თანაგრძნობა გამოაცხადა საულტეხილო უბნების ელექტროფიკაციისა.

## რკინისგზის პროფკავშირებში

— **შ. მ. ო. მუშებში:** ბათომის კვანძის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ დაადგინა ყოველმხრივ დახმარება გაუწიოს „შრომის მეცნიერულ ორგანიზაციის" (შ. მ. ო.) გაძლიერებას მუშებში.

— **რკ. გზ. სკოლების მოსწავლეთა გასინჯვა.** საქართველოს რკ. გზ. ხაზზე ჩატარდა მოსწავლეთა გასინჯვა მალარიის თვალსაზრისით. სულ გასინჯა 3071 მოწაფე.

— **მუსიკალური წრე.** რკ.-გზ. მუშათა ფაკულტეტთან დაარსდა მუსიკალური წრე, რომელშიაც ირიცხება 25 კაცი წრეს ხელმძღვანელობს ლოტბარი იოვიძე.

— **ძმური დახმარება.** სად. თელავის, მუკუზანის, წინანდალისა და ვაჩნაძიანის რკ.-გზ. მუშა მოსამსახურეებმა ლენინგრადის დაზარალებულ მუშებს სასარგებლოდ გაიღეს 93 მან. 86 კაპ

ინფ. ა—ძე.

# სასოფლო-მეურნეობის გაუმჯობესება *)

II

როგორც წინა წერილში *) გვქონდა აღნიშნული, სასოფლო მეურნეობაში დღეს ისეთი პირობები შეიქმნა, რომ სესხის გარეშე არ შეუძლია არსებობა მეურნეობის არც ერთ დარგს, გარდა პურის და სიმინდის კულტურისა. სოფლად თითქმის ვერ შევხვდებით ისეთ მეურნეს, რომელიც ამჟამად ახალ ვენახის ბაღს აშენებდეს, ჩაის პლანტაციას აკეთებდეს და ხეხილის რგვას მისდევდეს. დესეტინა ვენახისთვის მიწის გადაბრუნება რამოდენიმე ასი მანეთი დაჯდება, ხეხილის ბაღის გაშენება აუარებელ ხარჯებს თხოულობს, და ეს მაშინ, როცა არც ვენახი და არც ხეხილი 7—8 წლის განმავლობაში პატრონს შემოსავალს თითქმის არ მისცემს, ხოლო დამატებითი ხარჯებს კი დიდს მოითხოვს. თუ შესაფერისი თანხა არ დაურჩა მეურნეს, ის არამც თუ გააფართოვებს თავის კულტურულ მეურნეობას, პირიქით, რაც აქვს, იმასაც შეამცირებს.

კერძო ფულის შოვნა ამჟამად ერთის მხრივ მეტად ძნელია, ხოლო მეორეს მხრივ მიუღებელიც არის, რადგანაც უკანასკნელ შემთხვევაში სოფლის მეურნე ძალაუნებურად ჩავარდება ჩარჩ-სპეკულიანტების ბრჭყალებში. მაშასადამე, ერთად-ერთი გამოსავალი აქ უეჭველად სახელმწიფოს მიერ გაცემულ სესხში უნდა ვეძიოთ. მაგრამ სახელმწიფოს დახმარება სესხით, რასაკვირველია, განსაზღვრულ პირობებში უნდა მოხდეს, ე. ი. იმ შემთხვევაში, თუ მეურნე თვითონაც იჩენს სურვილს დახარჯოს საკუთარი თანხა შრომისა და ფულის სახით. მეურნეს იაფი სესხი უნდა მიეცეს მხოლოდ მაშინ, თუ ხარჯების ერთ მოზრდილ ნაწილს თვითონ ფარავს. წინააღმდეგ შემთხვევაში უნუგეშო მეურნეს დახმარება ფულით მხოლოდ გააუარესებს მის მდგომარეობას, რადგანაც ის ვერ შესძლებს დანიშნულებისამებრ მოიხმაროს სესხი, ფულს სხვა საჭიროებას მოანდომებს და ვალს ზედ დაედება ახალი ვალი.

მიზანშეწონილი იაფი სასოფლო-სამეურნეო სესხი გაანაყოფიერებს სოფლის ეკონომიურ ცხოვრებას, ხელს შეუწყობს საწარმოო ძალების ზრდას და გახდება ხალხის სამეურნეო მოღვაწეობის გამაძლიერებელ ერთ-ერთ ფაქტორად.

ჩვენში ინტენსიურ მეურნეობის განვითარება კი აუცილებლათ მიზნათ უნდა იქნას დასახული. მიწის ნაციონალიზაციას, რომელმაც მიწა ჩამოაშორა პარაზიტულ ელემენტებს და იგი მშრომელ გლეხკაცობას გადასცა, უეჭველად უნდა მოჰყვეს სასოფლო-მეურნეობის ინტენსიფიკაციისაკენ მიმართულ ზომათა მთელი რიგი, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს მიწის ნაციონალიზაციის შუა გზაზე გაჩერება იქნებოდა უდავოთ უნდა იქნას აღიარებული ის გარემოება, რომ საქართველოში მიწა ცოტაა, და ამისთვის ერის შრომის სავსებით გამოყენება შეიძლება მხოლოდ მიწების ინტენსიური დამუშავებით. აი, აქ სწორედ სახელმწიფოს მიერ მიწოდებული იაფი სასოფლო-სამეურნეო სესხი უეჭველად გაადვილებდა ამ მიზნის განხორციელებას. ამისთვის საკითხი იაფი სასოფლო-სამეურნეო სესხის გაცემის გამარტივებისა დღის წესრიგში უნდა დაისვას და ცხოვრებაში რაც შეიძლება დაუყოვნებლივ გატარებული იქნეს.

გადავიდეთ ეხლა მონოპოლიებზე.

თითქმის ხუთი წელიწადია, რაც მონოპოლიები ტარდება ჩვენში და ამ ხნის განმავლობაში საკმაო მასალა დაგროვდა იმისთვის, რომ გავარჩიოთ მისი სუსტი და კარგი მხარეები.

ზოგიერთი ფიქრობს, რომ მონოპოლია ღუპავს სამონოპოლიო დარგებს და ასუსტებს საქართველოს ეკონომიურ ცხოვრებას. ეს აზრი უფრო იმათ წრეებშია გაბატონებული, ვინც სრული თავისუფალი ვაჭრობის იდეას აღიარებს.

საბჭოთა სახელმწიფო, რასაკვირველია, ამ იდეას ვერ გაიზიარებს. სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, დღეს დედამიწის ზურგზე არ არის ისეთი სახელმწიფო, სადაც თავისუფალი ვაჭრობა ამა თუ იმ სახით შეზღუდული არ იყოს.

ჩვენს პირობებში სრულიად თავისუფალი ვაჭრობა ნიშნავს ხალხის სიმდიდრის კერძო პირების მიერ დატაცებას და უცხოეთში გატანას. მოკლეთ რომ ვსთქვათ—ეს რესპუბლიკის სიკვდილი იქნებოდა რამოდენიმე ასი და შეიძლება ათასი პირის საკეთილდღეოთ. მთავრობა კი ვალდებულია ხალხის სიმდიდრე დაიცვას ხალხისავე საკეთილდღეოთ. ასე, რომ მონოპოლიების შემოღება უეჭველად დადებითი მოვლენაა. მან აქა-იქ უკვე პრაქტიკული შედეგიც გამოიღო. თუ ჭიათურის მრეწველობა მალე აღორძინების გზას დაადგა და შავი ქვის გატანამ უცხოეთის ბაზარზე დღითი-დღე იმატა, ეს უეჭველად მონოპოლიას უნდა მიეწეროს.

ამგვარად, მონოპოლიების შემოღება აუცილებელი იყო და დღესაც არის. მის გაუქმებაზე, ჩვენის აზრით, ლაპარაკი არ შეიძლება. საჭიროა მხოლოდ სისწორით გავითვალისწინოთ ამ ხუთი წლის გამოცდილება და ყოველივე ნაკლი მონოპოლიების პრაქტიკულად გატარების საქმეში თავიდან ავიშოროთ. ნაკლი კი ამ საქმეს უეჭველად აქვს, განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოების მიმართ.

თუ გვსურს ამ ნაკლის აშორება, უნდა მოვიგონოთ, რა მიზნით იყო ჩვენში შემოღებული მონოპოლიები. მონოპოლიების შემოღება პირდაპირი შედეგი იყო ბლოკადის მოხსნის; საქართველოში მენშევიკების დროს ანტანტის სახელმწიფოთა ინტერვენციით გაიხსნა შავი ზღვა და შესაძლებელი გახდა უცხოეთთან ვაჭრობა. ჩვენს ქვეყანას შესესიენ უცხოეთის სპეკულიანტები, რომელთაც ჩვენი ფულის კურსის უვარგისობით გამოწვეული წარმოუდგენელი სიაფე დახვდათ. დაიწყო ქვეყნის სიმდიდრის უცხოეთში გაზიდვა; თუ რა განსხვავება იყო აქაურსა და უცხოეთის ფასებს შორის, ამის დასამტკიცებლად მოვიყვანთ აბრეშუმის პარკის ფასებს. მაშინ უცხოელი ვაჭრები ფუთ ხმელ პარკის ფასად ბათომში 2500—3000 მანეთს იძლეოდენ მაშინ, როდესაც მილანის და მარსელის ფასი უდრიდა 1300—1400 ფრანკს, რაც მაშინდელ კურსით ჩვენს ფულზე 26—28 ათას მანეთს აკეთებდა.

მაშასადამე, მონოპოლიის შემოღება აუცილებელი იყო საკუთარი სიმდიდრის შესანარჩუნებლად.

როგორც ვსთქვით, იმ დროს სავალიუტო საქონელი ძალიან დაბალ ფასებში სალდებოდა. ფუთი საუკეთესო თამბაქო იყიდებოდა 250—300 მანეთად, მატყლი 200—250 მან., პარკი 1200—1400 მ. და ასე ბოლომდე.

მონოპოლიების გატარება მინდობილი ჰქონდა მაშინ დაარსებულ მომარაგების სამინისტროს, რომელიც სამონოპოლიო საგნებზე ფასების დაწესების დროს ხელმძღვანელობდა მხოლოდ ადგილობრივი ფასებით და სრულებით ანგარიშს არ უწევდა ახალ სეზონის თვითღირებულების ფასებს. მომარაგების სამინისტრო დაეჩვია ჩალის ფასად საქონლის ხელში ჩაგდებას და მისი ევროპაში გასაღებით დიდი მოგების მიღებას.

პარკის ოპერაციამ მას მისი არსებობის პირველ წელსვე დიდი მოგება მისცა. ამ გარემოებამ სამინისტროს თავბრუ დაახვია და ფასების განსაზღვრის დროს ის სცდილობდა რაც შეიძლება ნაკლები მიეცა საქონლის პატრონისთვის. მართალია, იგი ყველას ჰპირდებოდა საქონლის რეალიზაციის შემდეგ მოგების ერთი ნაწილის უკან დაბრუნებას, მაგრამ, საუბედუროთ, ეს მოგების ნაწილი არც ერთ მწარმოებელს თვალითაც არ უნახავს.

ჩვენში საქონლის მწარმოებელთა 99 პროც. სასოფლო-მეურნეობაში წვრილი მწარმოებლებია, რომელთაც არ შეუძლიანთ დიდხანს საქონლის გაჩერება. ეს განსაკუთრებით ითქმის მაშინ, როდესაც ის მეურნეობის ერთ რომელიმე დარგს მისდევს, როცა იგი არის, ვთქვათ, მეცხვარე, ან თამბაქოს პატარა პლანტაციის პატრონი. თავის საწარმოო და პირადი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ის იძულებულია მალე გაყიდოს საქონელი და რის მიღებაც შეიძლება—ერთად მიიღოს. აი სწორედ ამაზე იყო აგებული უწინ ჩარჩების მუშაობა სოფლად. მათ მშვენივრად ჰქონდათ შესწავლილი ჩვენი სოფელი და მისი მდგომარეობა. მოდიოდენ ფულით იქ მაშინ, როცა სოფლის მეურნეს იგი ძალიან ესაჭიროებოდა და ჩალის ფასად იგდებდენ ხელში მის ნაწარმოებს. მონოპოლიამ ეს ჩარჩები ჩამოაშორა სოფელს, მაგრამ ის ფუნქცია, რომელსაც ჩარჩის კაპიტალი ასრულებდა, მივიწყებული დარჩა მაშინ. ცარიელ ადგილის დატოვება კი ეკონომიურ ცხოვრებაში ყოვლად შეუძლებელია.

მაშინ სახელმწიფო დროზე ვერ მიეშველა ფულით სოფლის მწარმოებელს. მას არც უნარი, არც ფული და არც ისე კარგათ მოწყობილი აპარატი ჰქონდა, რომ ყველას და ყველგან გასწვდომოდა. აქედან წარმოსდგა მწარმოებელთა ჩივილი უფულობაზე და მათი მართლაც და გაჭირვებული მდგომარეობა. 1919—1920 წლეებში არსებულ დაბალ ფასებმა და უფულობამ სრულებით დააფრთხო მწარმოებელი. ის გულით აღარ ეკიდებოდა თავის ხელობას და სხვა დარგში (სიმინდის თესვა და სხვა) გადაჰქონდა მოქმედების ცენტრი.

ჩვენ ზემოთ დავინახეთ, რომ შექმნილ ეკონომიურ პირობებში მაღალი კულტურის წარმოება მეურნესთვის ეკონომიურად ისედაც არ არის სახეირო. თუ ამას დაემატება კიდევ მისი ნაწარმოების წლობით გაჩერება, როგორც ეს 1919—1920 წლებში ხდებოდა, დაბალი ფასების დაწესება, უფულობა და სხვა, ის სრულებით გაანებებს თავს შეჩვეულ შრომას და სხვა დარგში გამოიყენებს თავის სამუშაო ძალას. ეს კი ქვეყნის ნივთიერ დასუსტებას და დეგრადაციას მოასწავებს.

მონოპოლიის მიზანი უნდა იყოს არა სახელმწიფო ფისკი - მოგება, არამედ წარმოების გაძლიერება და სავალიუტო საქონლის მიღება თუ ამ გზას ჩვენ ავშორდით და მოგება უმთავრეს მიზნათ დავისახეთ, საქართველოს ეკონომიური ცხოვრების პირობებში მონოპოლია ზიანს მოგვიტანს და მისი შედეგი იქნება არა რესპუბლიკის ნივთიერი განმტკიცება, არამედ მისი დასუსტება და სიმდიდრის შემცირება.

ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, სახელმწიფოს მთელი ზრუნვა უნდა გამოიხატოს მონოპოლიურ დარგების ხელის შეწყობაში და ამ მიზნით სამონოპოლიო საგნებისთვის საუკეთესო ბაზრის გამონახვაში; ის უნდა სცდილობდეს ამ საქონლის ხელსაყრელ პირობებში რეალიზაციაზე და მწარმოებელის ხარჯზე რაც შეიძლება ნაკლები მოგების აღებაზე.

მონოპოლია წვრილ მწარმოებელისათვის ეკონომიურად ხელსაყრელი უნდა იყოს და ფსიქოლოგიურათაც მისაღები. ამისათვის იმ წესით მისი განხორციელება, როგორც დღეს ხდება, მიუღებელია; ფასებს არ უნდა აწესებდეს ის უწყება, რომელიც სამონოპოლიო საქონლის მყიდველად გამოდის და თვით ფასების დაწესება სულ სხვა წესით უნდა ხდებოდეს. ახლო წარსულში სამონოპოლიო საგნების ფასი კანონდებოდა თვითღირებულების მიხედვით. ანგარიშობდენ რამდენი უჯდება მწარმოებელს ფუთი თამბაქო და მატყლის დამზადება. ამგვარად ფასის განსაზღვრა ყოვლად მიუღებელია. არავინ არ ჰყიდის საქონელს თვითღირებულების კვალობაზე. საქონელი ყოველთვის ბაზრის ფასებში იყიდება, ხოლო ამ უკანასკნელს განსაზღვრავს მოთხოვნილებისა და მიწოდების შორის არსებული დამოკიდებულება.

სამონოპოლიო საქონელზე ხელოვნურად ფასების დაწევამ ძირი გამოუთხარა ჩვენში სოფლის მაღალ კულტურას. შეუძლებელია დავაჯეროთ სოფლის მწარმოებელი ჩვენი მოქმედების სამართლიანობა-სარგებლიანობაში, თუ ის არ მიიღებს თავის ნაწარმოების მთელ ღირებულებას, რომელსაც ძელდაუტანებელი ბაზარი იძლევა.

სახელმწიფოს არ უნდა ესაჭიროებოდეს წვრილ მწარმოებლის ხარჯზე დიდი მოგების მიღება. ის გაცილებით მეტს მოიგებს, თუ მწარმოებლები მეტ სავალიუტო საქონელს შექმნიან და ამით ქვეყანას გაუადვილებენ საერთო ეკონომიურ მდგომარეობას. ამისათვის მწარმოებელმა ნაწარმოების მთელი ფასი უნდა მიიღოს, რასაკვირველია, საჭირო ხარჯების გამოკლებით; სახელმწიფო აქ მოგებაზე არ უნდა ფიქრობდეს. მისი მოგება სამონოპოლიო საქონლის დაგროვება იქნება.

ის უნდა ზრუნავდეს მხოლოდ ამ საქონლისათვის უკეთესი ბაზრის გამოძებნის შესახებ, რათა მეურნეობის ინტენსიური მაღალი კულტურა უფრო მომგებიანი დარგი გახდეს და თვითეულის პირადი დაინტერესება გაძლიერდეს.

თვითეულ სამონოპოლიო დარგს ცალკე უნდა შესწავლა. ყველა დარგს შაბლონიურად—ერთი საზომით ვერ მივუდგებით. ჩვენ ვფიქრობთ, რომ თუ მონოპოლია სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოებზე ზემოაღნიშნულ პირობებში განხორციელდება—იგი უეჭველად გამოიწვევს წარმოების ზრდას.

ი.

---

*) იხ. კომუნისტი №247 (1102)

# ხელოვნება

## ქართული თეატრი

### „ლატავრა“.

30 ოქტომბერს რუსთაველის თეატრში პირველათ დადგმულ იქნა ალ. შანშიაშვილის ორიგინალური პიესა—„ლატავრა“.

„ლატავრა“ ქალია. იგი წარმოადგენს ხალხის თავისუფლების სიმბოლოს. ვილაცა მპყრობელ ენგიჩარს სწადია მისი ხელში ჩაგდება. თავგამოდებული ხალხი კი არ ანებებს თავის დიდებას და ღვთაებას. ამ ბრძოლაში ყველაზე თავგამოდებული არიან სამნი ძმანი—გურამ, რატი და ბექარი. გამარჯვების შემდეგ—„ლატავრას“ სიყვარული ჩააგდებს მათში შურს და ერთმანეთის მოსისხლე მტრათ გარდაიქცევიან. ამითი სარგებლობს ენგიჩარი და ტყვეთ იგდებს ლატავრას. მაგრამ მისი გული მაინც ვერ მოინადირა ვერავითარი საშუალებით და თვითონვე ვარდება სასოწარკვეთილებაში, ბოლოს ამხედრებული ხალხი ანთავისუფლებს ლატავრას.

ყველა ამ გარდასავალს განუყრელ ბოროტ სულად თან დასდევს ინკუბუს. იგი არის ბოროტების მთესველი ყველგან და ყოველთვის და იმისი ცდა ამაოდ თითქმის არასდროს არ რჩება. საერთოდ მთელი პიესა შეიძლება დახასიათდეს ბოროტისა და კეთილის ბრძოლით.

ეს ნაწარმოები სიმბოლიური ხასიათისაა. სცენასა და აუდიტორიას შორის უცხოობაა: ვერ იქმნება მთლიანი სული, ერთიანი განცდა. ამისი მიზეზი თვით ნაწარმოების ხასიათის არსებაშია. მესამე და მეოთხე მოქმედებაში კი დრამატიული გარემოება უფრო ძლიერად მეტყველობს და პიესასაც აქ ეძლევა უფრო მეტი ინტერესი.

პიესის მეორე ხარისხოვან ხვეულებში ეტყობა ერთგვარი სიბამუეე, თუ გნებავთ—აბნევაც: რესპუბლიკა და მეფობა. ოპოზიცია და გაზეთები ქმნის ერთგვარ უადგილობას და გამოურკვევლობას.

პიესა მოკვეთილად არის დაწერილი და რამდენადაც აუდიტორიის გემოვნება შეიფერებს ამ ხასიათის ნაწარმოებს—იგი უეჭველად საინტერესოა ჩვენ თეატრალურ შემოქმედებაში.

დადგმის მხრივ რეჟისურას ეტყობა დაუზოგაობა თავისი ძალღონისა და მხატვრული უნარისა. მთელი სცენიური წყობანი და განათება საუცხოვო იყო ყველა მოქმედებაში. ნაკლს წარმოადგენდა ხალხის სიმცირე მასსიურ სცენებში.

თამაშობა: ყველაზე საყურადღებო და ძნელი როლი არის ინკუბუს. მას ასრულებდა—უ. ჩხეიძე. ეს ახალგაზრდა ძალა თანდათან ყალიბდება ნამდვილ დახელოვნებულ მსახიობად, მისი ნიჭი ეტყობა ჯერ მხოლოდ განვითარების პროცესშია და ბევრ შესაძლებლობას წარმოადგენს. იგი ინკუბუსის სახით მან მოგვცა დახვეწილი, დემონიური სული და მოქნილი, მოკვეთილი სხეულობა. ასეთ დამთავრებულ როლში ჯერ არ გამოსულა იგი. დაფოლადებული ხმა და მკაფიო გამოთქმა უფრო აძლიერებს მის სცენიურ ღირსებას.

ლატავრა—ვ. ანჯაფარიძე. ამ ნიჭიერ მსახიობის ტრაგედია მდგომარეობს მის გარეგან უარაქათობაში. სცენისთვის კი ეს დიდი ნაკლია. ხანდახან თავისი ნიჭიერებით ფარავს ამ ნაკლს, მაგრამ ყოველთვის კი არა. ასევე იყო ამ საღამოს, რადგან ლატავრა როგორც სულიერათ აგრეთვე გარეგნულად [illegible] არსებაა. სხვაფრივ კი, რაც მსახიობის ნიჭზე იყო დამოკიდებული, ღირსეულად იქნა შესრულებული ეს როლი.

რატი—გ. დავითაშვილი. ვაჟკაცი მებრძოლი, უგონოთ შეყვარებული, თავისი წადილის უდრეკელი მიმდევარი, ცხოვრებისა და მოვლენათა საბედისწერო ხლართებში ტრაგიკულად გაბმული—ყველაფერი ეს საუცხოვოდ ეხერხება მსახიობს.

ბექარ—პ. კობახიძე. ახალგაზრდა სტუდიელი პირველ შემთხვევაზე მისთვის პასუხსაგები როლია. კარგათ და ეტიზაარაად შესრულა, მაგრამ გარეგნობა საკმარისად ვერ უწყობს ხელს რაინდული როლებისთვის.

ენგიჩარ—ხორავა. მთლიანობა, სითამამე და სიმტკიცე აშკარად ახასიათებდა მის თამაშს მასაც ეტყობა სცენიური წრთობა და გაზრდა წარსულთან შედარებით.

მწიგნობარს—ჭილაიას აკლდა დარბაისლობა. ასწრაფებული იყვნენ მჭედელი—შ. ჩხეიძე და ხელოსანი—სოლაკაურიც.

მოსანი—ბერიაშვილი უძლური იყო თავისი ხმით.

სხვა ყველა მოთამაშენი შესაფერისი ხელის შემწყობნი იყვნენ ანსამბლისა.

ლელი.

## სახელმწიფო ოპერა

### „ურიის ქალი“

რახილის პარტიაში გამოვიდა ნიჭიერი მომღერალი ბოგოლეპოვა; ამ პარტიაშიც მსახიობმა შეყვარებულ და ტანჯულ ახალგაზრდა ქალის რეალური სახე მოგვცა. შესრულების ვოკალური მხარე ყველგან არ სდგას ამოცანის სიმაღლეზე. მომღერალის ხმა ყოველთვის არ შეეფერება დრამატიული სოპრანოს მოთხოვნილებებს, ამიტომ ყველა პათეტიური ადგილები მკრთალი გამოვიდა.

ელეაზარის პარტიას მღეროდა მოსინი. ეს პარტია საუკეთესოდ უნდა ჩაითვალოს მსახიობის რეპერტუარში. მოსინმა ებრაელ ფანატიკოსის ნამდვილი სახე მოგვცა. საუცხოვო იყო ყველა ვოკალური ადგილების შესრულება.

თავის ადგილზე იყო პრინც ლეოპოლდის პარტიაში მომღერალი კულაგინი. მსახიობმა დასძლია ვოკალური ტეხნიკა და მაღალი ტესიტურა, რომელსაც ეს პარტია მოითხოვს.

კარგი იყო კარდინალ დე-ბრონის პარტიაში ისეცკი.

მეტათ მუსიკალურათ შესრულა ევდოკიას პარტია გაბაშიძემ.

ბალეტი საინტერესოთ არის დადგმული. კარგათ ცეკვავენ ბაბუციანი, კაზინეცი და გულულოვი; ეს უკანასკნელი შესამჩნევათ მიიწევს წინ, კარგათ იცეკვეს ტარანტელა ერგეევმა და რატუშენკომ.

ახალ ბალერინას ფეოდოროვას ჯერ არ გამოუჩენია თავი; ის ცოტას ცეკვავდა.

კარგია გუნდიც.

პ. ბ.

---

**დღეს, შაბათს, 1 ნოემბერს** პირველად ამ სეზონში ოპერა პუჩინის „ტოსკა“ მონაწილეობენ: ბოგოლეპოვა, სტრუკოვ-ბარატოვ, ალექსაშინი, დემიანენკო, ქურხული, კურბატოვი. დირიჟორობს სახ. არტ. ივ. ფალიაშვილი.

---

## ელისაბედ კაპპელის კონცერტი

კონცერტს წინ უძღოდა დიდი რეკლამა. კაპპელის ადარებდენ მეცხრამეტე საუკუნის საქვეყნოთ სახელგანთქმულ მომღერალ ქალს ადელინა პატტის.

უნდა ითქვას, რომ ელისაბედ კაპპელი მისი მეტად მძლავრი კოლორატურულ სოპრანოთი უდიდესი მოვლენაა თანამედროვე მუსიკალურ ქვეყანაში.

მომღერალ ქალს აღტაცებაში და გაკვირვებაში მოჰყავს საზოგადოება თავისი ხმის სიძლიერით, დიაპაზონით, და კოლორატურული სოპრანოს ყოველგვარი სხვა ვოკალური აქსესუარებით.

განსაცვიფრებელი სისრულით და დამთავრებულობით იყო შესრულებული არდიტის უძნელესი ვალსი, კოლორატურული არიები ოპერა „პურიტანები“-დან და „ტრავიატა“-დან, იშვიათი სისწორით შეასრულა მომღერალმა ალიაბიევის პოპულიარული რომანსი „ბულბული“, სადაც ბევრია ტეხნიკური სიძნელეები, მაგრამ ლოცვა ოპერა „ტოსკადან“ მკრთალად იყო შესრულებული შესრულებას აკლდა განწყობილება და გამსჭვირვალე ფრაზირობკა.

მეტად კარგად ასრულებს მომღერალი ებრაელთა სიმღერებს, როგორც ლირიულს, [illegible] ოვაციებით შეხვდა სავსე დარბაზი.

მუსიკოსი.

---

— **ამხ. ტროცკი ეკრანზე.** დობრო[illegible]ის შინაარსიან სურათში, „თვალი თვალის წილ და კბილი-კბილის წილ“ რომელიც გადაიღეს კისლოვოდსკში, მონაწილეობს ამხ. ტროცკი.

— **ახალი კინო-მრეწველობა.** თბილისში ამჟამად ეწყობა ახალი კინო-მრეწველობის სააქციონერო საზოგადოება.

— **მუშათა მწერლობა ფართოვდება.** ამ დღეებში დაიბეჭდა და გამოვიდა თბილ. საქონლის სადგურის მუშის ამხ. პროკოფი ჩხიკვაძის რევოლიუციონური პიესა—„უდაბნოც სტირის“.

(ტრაგ. 5 მოქ. ბაქოს 26 კომუნარების ცხოვრებიდან).

### კინო.

— „არფასტო“— „დაკარგული განძი“, პირველი და მეორე სერი.

— „მინიონ“—„მეგობარი თუ არამზადა“.

— „კინო-პალას“— „სიყვარულისა და ბოროტმოქმედების დღიური“.

— „სამალიოტ“—„შავი ეშმაკი“.

## საჭიროა მიწის რეფორმის გატარება

### ავნევ-მუხის რაიონი (სამხრეთ-ოსეთი)

არც ერთს კუთხეს საქართველოში იმდენი მსხვერპლი არ გაუღია საბჭოთა ხელისუფლებისთვის ბრძოლის დროს, რამდენიც სამხრეთ ოსეთმა. მენშევიკების მიერ ოსი მოსახლეობა მასიურად იქნა არეკილი და უსარჩოდ ჩრდილოეთში გადახვეწილი. მთელი კუთხე მიეცა ცეცხლს და მახვილს და ათწლობით დაგროვილი ხალხის ქონება და სარჩო-საბადებელი იქნა დარბეული და გაძარცული. ხალხის ასეთმა ტანჯვა-წვალებამ უნაყოფოდ არ ჩაიარა. მენშევიზმური ბატონობა დაეცა და ოსეთის ხალხი ეღირსა იმ წყობილებას, რომლისათვისაც ამდენი სისხლი დაღვარა. გლეხური ხელისუფლების პირველი ამოცანა უნდა ყოფილიყო ამ მრავალტანჯულ კუთხეში აღედგინა დანგრეული მეურნეობა, რის წინასწარ პირობას წარმოადგენდა მიწის რეფორმის ზედმიწევნით სისწორით გატარება და ახალი წესით მიწად მფლობელობის მოწესრიგება.

საინტერესოა გამოვარკვიოთ, რა გაკეთდა ამ მხრივ სამხრეთ ოსეთში.

ა/ წ. აგვისტოს შუა რიცხვებში მომიხდა სამხრეთ ოსეთის ავნევ-მუხის რაიონის მოვლა და დავრწმუნდი, რომ მიწის რეფორმას კერძოდ და საბჭოთა კანონმდებლობას არც კი შემოუშუქებიათ. მიწის კერძო საკუთრება აქ ისევ ხელუხლებელია. საუკეთესო ღირსების მიწის ნაჭრები ხელთ აქვთ არამშრომელ ელემენტებს, რომელნიც კვლავ ეწევიან ამ ადგილების საშუალებით გლეხების ექსპლოატაციას. კვლავ ჰყიდიან და ყიდულობენ თითქოს დედამიწის ერთს მეექვსედზე არაფერი არ შეცვლილიყოს და ხალხი კვლავ სისხლიან ნიკოლოზის დროს ცხოვრობდეს. საქმის ვითარება რომ ასეთია, მე ამას დავადასტურებ ფაქტებით, რომლის ჭეშმარიტებაში მე დავრწმუნდი ჩემი პირადი დაკვირვებით და ადგილობრივი მშრომელი მოსახლეობის დაკითხვით. ავალაპარაკოთ ფაქტები.

მაგ. სოფელ ავნევში მიწის რეფორმა არა თუ არ გაუტარებიათ, მის შესახებ კრინტიც არავის დაუძრავს.

აქ ისევ ძალაშია ძველი მიწათმფლობელობა, ყიდვა-გაყიდვა და ექსპლოატაცია. სოფელ ავნევის მცხოვრებს [illegible] ტურა გაბარაევმა, რომელსაც ზომაზე გაცილებით მეტი მიწა აქვს, მასისხლად მიჰყიდა სოფელ მუხაში მცხოვრებ ღარიბ გლეხს ნიკო ხოდელს მიწის ნაჭერი. სოფელ დიდი [illegible] მა მიჰყიდა ორი ნაჭერი მიწა ამავე სოფლის გლეხს სტეფანე გოგიჩაშვილს. დიდი მუხის მცხოვრებმა გიორგი ბესტაევ ავნეველმა გლეხისგან იყიდა მიწის მოზრდილი ნაჭერი, რომლისთვისაც მისცა ნაღდ ფულად 150 მანეთი, ხოლო ვალად დაუდო კიდევ 150 მანეთი. მიწის ეს ნაჭერი გაყიდვამდე დაუმუშავებლად იყო მიტოვებული. ამ მიწით სარგებლობს მისი მფლობელი არავის არ ანებებდა და არც თვითონ ხმარობდა. გიგო ბესტაევმა დიდი მუხის მცხოვრებ კოქაევისაგან ფულით შეიძინა სახნავი მიწა, რის შესახებაც მას გამყიდველისაგან მიუღია ნასყიდობის ბარათი. ასეთ მოვლენას აქვს ადგილი არა მარტო ერთს და ორს სოფელში, არამედ მთელს რაიონში, სადაც გლეხობამ აღც კი იცის, რას ნიშნავს საბჭოთა ხელისუფლებისგან გამომუშავებულ მიწის ნორმა.

მიწის ყიდვა-გაყიდვას ეწევიან არა მარტო ადგილობრივი გლეხები, არამედ ისეთი პირებიც, რომელთაც მიწის მუშაობასთან არავითარი კავშირი არა აქვთ და სარგებლობენ დღეს გაუქმებული საკუთრების ძველი უფლებით. მაგ. თბილისის მცხოვრებს, სახელმწიფო ბანკის მოსამსახურეს გიორგი ჯავახიშვილს რაღაც მანქანებით მიუთვისებია ს. დიდიმუხის და ავნევის საზღვარზე მდებარე სარწყავი მიწის ნაკვეთი, რომელიც მიუყიდია [illegible] ბესტაევისათვის; ამ უკანასკნელს სხვა სადარდებელი რომ არ ჰქონია, ჩალის ფასად გაუყიდია მარჩენალი ხარები და აღებული ფული თავისი ხელით უკლებლად მიურთმევია ბატონ ჯავახიშვილისათვის თბილისში. მიწით ვაჭრობის ეს ძველი თავადაზნაურული ჩვეულება გრძელდება სამხრეთ-ოსეთში დღეს—საბჭოთა ხელისუფლების დროს!

სამხრეთ-ოსეთში სწარმოებს არა მარტო მიწით ვაჭრობა, უცვლელად არის დარჩენილი მიწით ექსპლოატაცია—ღალის აღება.

აქ ბევრი გლეხი, რომელსაც იმდენი მიწა აქვს, რომ ვერ ერევა, ვერ ამუშავებს. ეს გარემოება ადვილად ახსნილია, რადგან, როგორც ვთქვით, აქ მიწის ნორმაზე სიტყვაც არ თქმულა.

ამავე დროს უმიწაწყლო გლეხები ადგილობით სულს ლაფავენ, და ძულებული არიან ხმის ამოუღებლად ნიკოლოზის დროინდელ პირობებით ამუშაონ მიწა და მემამულე გლეხებს მისცენ თავის ნამუშევრის ნახევარი, ზოგიერთ შემთხვევაში კი მესამედი. გლეხების ასეთი ექსპლოატაცია უადგილობის ნიადაგზე არ არის იშვიათი გამონაკლისი, ამ მოვლენას შეხვდებით ყოველ ნაბიჯის გადადგმაზე. მიწის რეფორმის გაუტარებლობა უმთავრესად აიხსნება იმ გარემოებით, რომ ეს კუთხე მეტად ჩამორჩენილია, ხოლო ცენტრიდან კი არავითარი ყურადღება არ ექცევა.

როდესაც მე გლეხობას აუხსენი მთავრობის სახელით განუცხადე რომ მიწის ყიდვა-გაყიდვა სასტიკათ აკრძალულია და ამ კანონის დამრღვევი სასტიკათ ისჯება-თქო, ღარიბ გლეხობის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. როგორც აღმოჩნდა ეს ამბავი—პირველი გაგონება იყო მათთვის. შემდეგ მე განუმარტე მიწის რეფორმის შინაარსი და წესი მიწის ახალი მოწყობის შესახებ. აღფრთოვანებული ამ „ახალი“ ამბით ღარიბი გლეხობა მოითხოვდა მიწის კომისიის შექმნას თვითეული კომლის მიწის რაოდენობის გამოსარკვევად და რეფორმის ჩასატარებლად.

გლეხებს იმედი მიეცათ, რომ კულაკებს ჩამოერთმევათ ნორმაზე მეტი მიწა და გადაეცემა უღარიბეს გლეხობას.

მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატმა აუცილებლად მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს ამ კუთხეს, საჭიროა დაუყოვნებლივ გაგზავნოს თავისი რწმუნებული, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევს ადგილობრივ კომისიას მიწის რეფორმის გატარების საქმეში.

გარდა ამისა საჭიროა გამოირკვეს მიწის გარშემო გაჩაღებული ბოროტ-მოქმედება და დამნაშავენი პასუხისგებაში იქნენ მიცემული, რათა ერთხელ და სამუდამოთ აილაგმონ გათავხედებული კულაკები.

ი. ტატაევი.

---

*) ამ კორესპონდენციაზე ვაქცევთ მიწად-მოქმედების კომისარიატის ყურადღებას.

რედ.

# წერილები პროვინციიდან

## შირაქის გლეხობის გაჭირვება

ბევრი რამ აკლია შირაქელ გლეხებს. შირაქი, არ არის შესაფერისად დამუშავებული. შირაქში აგრონომს ერთხელაც არ ჩამოუვლია და არ მიუცია გლეხებისათვის ახსნა-განმარტება. გლეხებმაც არ იციან მიწის უკეთესად დამუშავების წესი. რაც შეეხება სამეურნეო იარაღებს, გლეხები უკვე სარგებლობენ სათიბი, სამკალი და სალეწი მანქანებით. [illegible] ური გლეხობა ძალიან დაინტერესებულია მიწის მანქანებით დამუშავებით.

შირაქში ვინც ყოფილა, ხშირად დაინახავდა, რომ მინდორში ფშაველების, მთიულების და მოხევეების ქალები, გუთანში შებმულ ხარებს ელალებიან (მეხრეობენ). [illegible] ეჭირავთ გუთანი (გუთნის დედობენ), შემდეგ მინდორში ღამე ხარკამეჩს აძოვებენ, დღე ძროხაში დადიან და სხვ... აი, ასეთია აქაური ქალების ცხოვრება.

აქაური გლეხობის შემოსავლის წყაროს შეადგენს მხოლოდ და მხოლოდ ხვნა-თესვა. ყოველივე მათი მოთხოვნილების დაკმაყოფილება დამოკიდებულია მოსავალზე. ამას გარდა მათ არავითარი შემოსავალ ს წყარო არ მოეპოვებათ. თუმცა შირაქი მესაქონლეობითაც განთქმულია, მაგრამ ესეც ადგილობრივ მცხოვრებლებისათვის არ არის ხელსაყრელი. აქ საქონელი მხოლოდ ზამთრობით არის დაბინავებული და, რადგან ზაფხულობით ძლიერი სიცხე იცის და ამასთანავე ერთად უწყლო ადგილია, ამის გამო იქ ზაფხულში საქონლის ცხოვრება შეუძლებელია. ამიტომ შირაქის ადგილობრივი გლეხების საქონელი, უწყლობისა და დიდი სიცხეების გამო, ხშირად ვერა სძლებს და იხოცება. ხშირი მოვლენა არის აგრეთვე „საქონლის ჭირის“ და ციმბირის წყლულის გავრცელება სოფლებში. ამასაც ხელს უწყობს გლეხების შეუგნებლობა და უსწავლელობა. როდესაც თავს იჩენს საქონლის ავადმყოფობა, ისინი მას ყურადღებას არ აქცევენ, ექიმის ნაცვლად სოფლის ექიმბაშებს მიმართავენ, რომლებიც ათასგვარი ოინბაზობით და შელოცვებით ატყუებენ მათ.

გარდა ამისა, რომ შირაქელები ეკონომიურად დაქვეითებული არიან, ისინი ჩამორჩენილი არიან სწავლა-განათლების მხრივაც. არ არსებობს სამკითხველოები, სხვა კულტურული დაწესებულებები და დრამატიული წრეები. არსებობს მხოლოდ ორი სკოლა, რომელიც გასაბჭოების შემდეგ დაარსდა და ისიც კერძო სახლებში არის მოთავსებული.

რა თქმა უნდა, ასეთ ჩამორჩენილ სოფლებში დიდი მუშაობა არის საჭირო, რომ ხალხმა გამოიღვიძოს.

მაგრამ შირაქელების კულტურული გათვითცნობიერებისათვის საჭიროა მათთვის ხელის შეწყობა, რომ ისინი ეკონომიურად ფეხზე წამოდგენ, მოღონიერდენ.

ამისათვის პირველ რიგში საჭიროა შირაქის მორწყვა, აქ სარწყავი არხის გაყვანა. ეს ძლიერ შეუწყობდა ხელს შირაქის ეკონომიურად აყვავებას. გლეხობა წელში გაიმართება, გვალვა და დიდი სიცხეები მათ ველარ შეაშინებს.

შირაქის ველის მორწყვა არა მარტო შირაქელებისათვის იქნება ხელსაყრელი, არამედ მთელი იმ მეცხვარე და მესაქონლე ხალხისთვის, რომლებიც ზამთრობით იყრიან შირაქში თავს. ამასთანავე ერთად შესაძლებელი გახდება, სხვადასხვა მაზრებიდან, მიწის სივიწროვის გამო, გლეხების შირაქში გადმოსახლება.

გლეხი: ი. ნაკვეთაური.

## პოლიტ-განმანათლებელი მუშაობა გორის მაზრაში

თანახმათ პოლიტ-განათლების მთავარ სამმართველოს გეგმისა 1923 წ., უნდა გახსნილიყო წ. კ. უ. სალიკვიდაციო 71 სკოლა.

წერა-კითხვა უნდა შეესწავლა 2,130 გლეხს, ფაქტიურად კი გაიხსნა 105 სკოლა და წერა-კითხვა შეისწავლა 3,000 გლეხმა. ქოხ-სამკითხველოები გახსნილია 35. თეატრ-კლუბები—24, მაღალი ტიპის სკოლა ქ. გორში,—1, პოლიტ-ანბანის სკოლა—2 ხაშურში და გორში, სამაგალითო საჩვენებო სკოლა—1.

ფართო გლეხურ მასსებში აგიტაცია-პროპაგანდის ერთ საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს სოფლად ქოხ-სამკითხველოების გახსნა-დაარსება. არც ერთ დაწესებულებაში არ დადის გლეხი ისეთი ხალისით, როგორც სამკითხველოში. ასეთი სურვილი და მისწრაფება ჩვენს გლეხს ეხლა [illegible] აქვს. სამწუხარო ის არის, რომ ასეთი სამკითხველოები ცოტა გვაქვს. საჭიროა ყოველ სოფელში იყოს გახსნილი, ზოგიერთ სოფელში სრულიად არ არის გახსნილი სამკითხველოები.

სამკითხველოები ღებულობენ სხვადასხვა გაზეთებს. ზოგ სამკითხველოს ყავს შეფი, ზოგსაც ჟურნალ-გაზეთებს აწვდის პოლიტ-განათლების განყოფილება თეატრ-კლუბები არის გახსნილი—24 და ამ თეატრებში სწარმოებს მუშაობა სისტემატიურად ზაფხულობით და შემოდგომით.

მუშაობას 1924—25 წლებში აქვს დაკვრითი ხასიათი, თანახმად პოლიტ-განათლების მთავარ სამმართველოს გეგმისა. როგორც ამა სამოსწავლო წელში, ისე ოქტომბრის რევოლიუციის მე-10 თავამდე მუშაობის წარმოებითი გეგმა უნდა განხორციელდეს შემდეგნაირად: ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავამდე დარჩა სამი სამოსწავლო წელი აღნიშნული გეგმა გათვალისწინებულია შემდეგი სახით: საერთო რიცხვი გორის მაზრის მოსახლეობისა უდრის 190,834. მათში წერა-კითხვის უცოდინარე 18—40—წლამდე არის—47.807 კაცი. ამის და მიხედვით 1924—25 წელში უნდა შეისწავლოს წერა-კითხვა 12.400 კაცმა. რისთვისაც უკვე თანდათანობით იხსნება ლიკსკოლები—რიცხვით 410. სალიკვიდაციო სკოლების გარდა, უნდა გაიხსნას მაზრაში სამი სკოლა. მცირე მცოდნეთა, პოლიტ-ანბანის სკოლები—2 და ერთი მაღალი ტიპის სკოლა.

ახალი გეგმის მიხედვით, მაზრაში უნდა გაიხსნას წელს 67 ქოხ-სამკითხველო.

კლუბთეატრები მოკლებულნი არიან დასის გამოცდილ ხელმძღვანელებს.

საჭიროა გორის სახალხო სახლს სამი გამოცდილი მსახიობი მაინც მიეცეს.

ხ—ძე.

## საჭიროა კოოპერატივმა მოაწყოს ფურნე

### ბაკურიანის თემი

სწავლა-განათლ. საქმე თემში გვარიანად არის დაყენებული: გვაქვს სკოლა, არსებობს კლუბი და სამკითხველო. კლუბში თვეში ორჯერ იმართება წარმოდგენები ადგილობრივი ძალებით და სამკითხველოსაც წესიერად მოუდის ყველა გაზეთები. აქვე არსებობს მთლიანი კოოპერატივი, რომელიც ძალიან ეხმარება გლეხობას და გლეხებიც ნდობით ეპყრობიან მას. სასურველი იქნებოდა თუ იგი მოაწყობდა პურის გამოცხობის საქმეს და კერძო ვაჭრებს განდევნიდა ამ სფეროდან.

## პრიუტის საექიმო პუნქტს უყურადღებოდ

(სამაზრო ჯანმრთელობის განყოფილების ყურადღებოთ)

პრიუტის თემი ერთ-ერთ დიდ თემს წარმოადგენს მანგლისის რაიონში. თემი შესდგება 19 სოფლისაგან. საექიმო პუნქტი აქ დიდი ხანია არსებობს. 22 ოქტომბერს პუნქტის გამგემ ამხ. ოვსეპიანცმა მიიღო ერთი თვის შვებულება და გაემგზავრა თბილისში. ამხ. ოვსეპიანცმა რამოდენიმეჯერ აღძრა შუამდგომლობა ჯანმრთელობის გან. წინაშე. სანამ მისი შვებულების დრო მოახლოვდებოდა, მის მაგიერ ერთი თვით გამოეგზავნა ექიმი, მაგრამ განყოფილებამ უპასუხა: დაკეტე პუნქტი და წადიო. 4 დღე არის პუნქტი დაკეტილია და აუარებელი ავადმყოფი გლეხობა მიდის და კითხულობს ექიმს, მაგრამ ავადმყოფის მშველელი არავინ არის და ბრუნდებიან უკან იმედგაცრუებული ავადმყოფები.

მანგლისი დაშორებულია პრიუტზე 24 ვერსით, თბილისი კი 36 ვერსით. აუცილებელი საჭირო არის ერთი თვის ვადით დაინიშნოს საექიმო პუნქტს ექიმი, სანამ შვებულებიდან დაბრუნდებოდეს ძველი ექიმი. ჯანმრთელობის განყოფილებამ ამ საქმის მოწესრიგებას უნდა მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება.

ი. ღლონტი.

## მოსავალი ძონძირ-ისულის თემში

(სენაკის მაზრა)

სიმინდის აღება უკვე დამთავრდა. ხანგრძლივმა წვიმებმა ხელი შეუშალა მოსავლის აღებას.

სიმინდის მოსავალმა აქ მოლოდინს გადააჭარბა. პირველ ხანებში მოუსავლიანობის შიში დიდი იყო. იყო ხანგრძლივი გვალვა. თესვის კამპანია ერთდროულათ არ ჩატარებულა.

ივლისის თვიდან გაგრძელებულმა კარგმა ამინდებმა შექმნა მოსავლისათვის კარგი პირობები. როგორც ადრე ნათესმა, ისე გვიან დათესილმა სიმინდმა კარგი მოსავალი მოიტანა გლეხობა კმაყოფილია მოსავლით.

გლეხობის მეტ ნაწილს სარჩოზე ზედმეტიც ბლომათ აქვს.

პროგრესი.

## კულტურული მუშაობა სოფლად

### ს. ჯუნჯუათი (გურია)

ს. ჯუნჯუათი დაშორებულია ქალ. ლანჩხუთზე ორი ვერსით. ის კარგა მოზრდილი სოფელია.

ჯუნჯუათს მდ. ორაგვე ყოფს ორ ნაწილათ: დაბლა ჯუნჯუათი ანუ მერე და მაღლა ეწერი.

ხსენებულ სოფლებში არის შემდეგი დაწესებულებები: ორი 4 წლ. შრომის სკოლა და ქოხ-სამკითხველოები, რომელშიაც ყოველდღე მოდის ჟურნალ-გაზეთები.

დაბლა მერეში არის ეკლესია, რომელიც გადაკეთებულ იქნა კლუბათ. იქ ხშირათ იმართება წარმოდგენები. მაღლა ეწერზედ არსებობს სცენისმოყვარეთა წრე, რომელიც ამ ზაფხულში ხშირათ მართავდა წარმოდგენებს უფასოთ, ვინაიდან შემჩნეული იყო, რომ ღარიბი გლეხობა ფასიან წარმოდგენებს ვერ ესწრებოდა. ადგილობრივი კომკავშირი და უპარტიო ახალ-გაზრდობა ხელს უწყობენ მშრომელი გლეხობის კულტურასთან დაახლოვებას. ერთი თვის უკან აქ გაიმართა საღამო, რომლის შემოსავალი გადაიდო ადგილობრივ კულტურულ დაწესებულების სასარგებლოთ.

ამ სოფლებში გაყვანილია ფართო შარაგზები. მხოლოდ აქ არ არსებობს კოოპერატივი, საჭიროა აქ გახსნას განყოფილება ლანჩხუთის კავშირმა, რითაც ხალხი ძალიან კმაყოფილი იქნება.

გ. ქვიანელი.

## განათლების საქმე გორის მაზრაში

გორის მაზრაში არსებობს ორი ტეხნიკუმი (ერთი პედაგოგიური და ერთი სამრეწველო ეკონომიური), სამი 9 წლედი, თერთმეტი შვიდწლედი და 113 ოთხწლედი. მასწავლებელთა რიცხვი ამ ჟამად 324-ია.

ჯგუფთა რიცხვი მიმდინარე წელში მთელს მაზრაში 553-ია. (მათ შორის წელს გახსნილია ახალი, ადგილობრივ ხარჯზე 20 ჯგუფი). მიმდინარე სამოსწავლო წელში მოწვეულია 59 ახალი მასწავლებელი. ყველა სკოლებს თითქმის საკუთარი შენობა აქვს; 40 პროც. ამ შენობათა შეკეთებულია; სათბობ მასალების დასამზადებლად, სახელმძღვანელოების და საჭირო სასწავლო ნივთების შესაძენად მიღებულია სასწრაფო ზომები. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ სამაზრო განათლების ინსპექციის ინიციატივით და სამაღმასკომის უხვი დახმარებით განათლების საქმე გორის მაზრაში დაყენებულია კარგ ნიადაგზე.

მოგზაური.

## რა ესაჭიროება ლიის რაიონს

(ზუგდიდის მაზრა)

ლიის რაიონი ძევს ზუგდიდის მაზრის ჩრდილოეთ ნაწილში, სვანეთის საზღვარზე. რაიონი უფრო მეტად მთიანი ადგილია.

ნიკოლოზის მთავრობა რაიონის კულტურულ საჭიროებებს არ აქცევდა ყურადღებას. აქა-იქ იყო გახსნილი სკოლები, ზოგან ერთკლასიანი, ზოგან კი ორკლასიანი, მაგრამ ეს სკოლები ვერ აკმაყოფილებდენ მცხოვრებლების კულტურულ მოთხოვნილებებს და ლიის რაიონი ჩამორჩა კულტურულ სფეროში მაზრის სხვა რაიონებს.

სამაზრო აღმასკომს აქვს ხე-ტყის სახერხი ქარხანა, რომელიც მუშაობს.

ამჟამად რაიონში გახსნილია ორი 7 წლედი, მაგრამ ეს სკოლები ვერ აკმაყოფილებენ რაიონის მოთხოვნილებებს, თუმცა პირველდაწყებითი სკოლებიც ბევრია რაიონში. ზუგდიდის სამაზრო განათლების განყოფილებამ ეს მხედველობაში უნდა მიიღოს და დ. ლიაში 9 წლიანი სკოლა მაინც გახსნას. ეს აუცილებელი საჭიროებას წარმოადგენს რაიონისათვის.

გარდა ამისა რაიონს ესაჭიროება საექიმო პუნქტი. მართალია არსებობს საფერშლო პუნქტი, მაგრამ მას არ შეუძლია ამდენი ხალხის დაკმაყოფილება. საჭიროა აგრეთვე საავადმყოფოს, და აფთიაქის გახსნა ლიაში.

ლიის რაიონის გლეხობა დაიმედოვნებულია, რომ განათლების და ჯანმრთელობის განყოფილებები მიაქცევენ მათ საჭიროებებს ყურადღებას და დააკმაყოფილებენ მათ სურვილს.

ენგურისპირელი.

## საღამო რაიგლეხკომის სასარგებლოთ

### ქ. ზესტაფონი

25 ოქტომბერს ზესტაფონში გაიმართა დიდი საღამო.

წარმოდგენილი იყო „შენი ჭირიმე“ შ. დადიანის—3 მოქ. პიესა კ. ცერცვაძის რეჟისორობით; ბალეტს ხელმძღვანელობდენ ცეკვის მასწავლებლები ს. რცხილაძე და ხუციევი.

საღამომ დასტოვა მოგება სულ 527 მან. 22 კაპ.

წარმოდგენის დროს დარბაზში ტევა არ იყო, თუმცა წვიმიანი დღე დიდათ უშლიდა ხელს მომსვლელ საზოგადოებას.

შემოსავალი გადაეცა რაიგლეხკომს.

შ. ხვიჩული.

# ბავშვთა კომუნისტურ ორგანიზაციის მორიგი ამოცანები

## ს. ბ. კ. ორ. ცენტრალურ საბჭოს პლენუმისათვის

ლენინის სახელობის ბავშვთა კომუნისტური ორგანიზაცია გარდაიქცა საზოგადოებრივი ყურადღების მთავარ ობიექტათ. მთელი საბჭოთა რესპუბლიკების მასშტაბით კომპარტია ენერგიულად შეუდგა ნორჩ პიონერების ორგანიზაციის შესახებ მე-13 პარტყრილობის დადგენილების ცხოვრებაში გატარებას. ნორჩ პიონერების ორგანიზაცია ზრდის ახალ თაობას, ახალ ადამიანს ახალი ბუნებით.

პარტიამ უნდა გაუწიოს დახმარება ახალგაზრდათა კომკავშირს პიონერების ორგანიზაციის ხელმძღვანელობით. მისთვის პედაგოგიური (საჭიროა ვსთქვათ, კომუნისტ-პედაგოგიური ძალებით, უმთავრესათ) ძალების გადაცემით და მატერიალურ საშუალებათა გაუმჯობესების სახით.

რამდენად ჩვენ დაბლა ვეშვებით მასსობრივათ, იმდენად უფრო ფართე უნდა იყოს სოციალური ბაზა, ნორჩ პიონერების ორგანიზაცია უნდა იყოს უფრო მასსიური.

ის ნაკაზი, რომელიც მისცა კომპარტიებს უზენაესმა ორგანომ, მე-13 პარტყრილობამ; ყრილობის შემდეგ ბავშვთა კომუნისტური ორგანიზაცია იზრდება, როგორც რიცხვობრივათ, აგრეთვე თვისობრივათ. დღეს მთელ საკავშირო მასშტაბით პიონერთა ორგანიზაციის რიცხვმა მიაღწია 400.000 პიონერამდე. ორგანიზაციის გასაფართოებლად აღებულია მტკიცე კურსი; სრულიად რ. ა. ლ. კომკავშირის მე-6 ყრილობის დავალებით განზრახულია მუშათა ბავშვების 100 პროცენტით და გლეხთა ბავშვების ნაწილის ჩათრევა ბავშვთა კომორგანიზაციებში.

[illegible] ლენინის სახელობის [illegible] ორგანიზაციამაც [illegible] ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ამ საერთო 400.000-იან პიონერების, პატარა რევოლიუციონერების მრავალრიცხოვან რაზმში.

საქართველოს ბავშვთა კომუნისტურ მოძრაობამ ფეხი შესდგა განვითარების ახალ პერიოდში; ის თანდათან იზრდება და ითრევს თავის რიგებში ბავშვთა ფართე მასას. მაგრამ ჯერ ის კიდევ ვერ აერთიანებს თავის რიგებში მნიშვნელოვან პროცენტს საქართველოს ბავშვთა საერთო რიცხვიდან. ბავშვთა ფართე მასაში დიდია ლტოლვა ორგანიზაციულ გაერთიანებისაკენ,—პიონერების ორგანიზაციაში შესასვლელათ. ამავე დროს ბავშვთა კომ. ჯგუფების ხელმძღვანელ ორგანოების მიერ აღებული არის კურსი (უმთავრესად პროლეტარულ ბავშვთა). ამავე დროს, ჯერ კიდევ, ბავშვთა კომ. ორგანიზაციაში არ არიან ჩათრეული მთელი მუშათა ბავშვები. სოფლად გლეხების ბავშვებში, მეტადრე ზაფხულის ხანაში, როდესაც ქალაქის კოლექტივებმა გააბეს ნაწილობრივი კავშირი სოფელთან—გაიზარდა დიადი ინტერესი და მთელს საქართველოს ზოგიერთ კუთხეებში ბავშვები ინსტრუქტორათ დგებიან გაერთიანების გზაზე.

ბავშვთა კომუნისტური ორგანიზაცია მოწყობილია, როგორც ამას აღნიშნავს ა. ლ. კ. კ. მე-6-ე ყრილობა და მე-13-ე პარტყრილობა, პირველ და მე-2-ე საფეხურის სკოლებში რევოლიუციონური სულის შესატანად, განსამტკიცებლად. ჯერჯერობით ამ მხრივ ბევრი არაფერი გაკეთებულა.

ბავშვთა კომუნისტური ორგანიზაცია [illegible] შინაგანი [illegible] მუშაობა მიმდინარეობს შედარებით ნაყოფიერად, მაგრამ ჯერ კიდევ მას არ აქვს მიცემული სისტემატიური და გეგმიანი ხასიათი.

**1. ნორჩ პიონერების ორგანიზაცია უნდა გარდაიქცეს მასიურ ორგანიზაციათ.**

პიონერების ორგანიზაცია არ უნდა გარდაიქცეს „ვიწრო კლასიურ“ ორგანიზაციათ, არამედ მან უნდა ჩაითრიოს მუშაობაში მთელი ნორჩი თაობა. საჭიროა რათა პიონერების სოციალური ბაზა ფართოვდებოდეს მომავალში არა მარტო მუშურ ელემენტების შვილების, არამედ გლეხობისა და მოსამსახურეების ბავშვების ხარჯზეც. ამას გვეუბნებიან ჩვენ საქართველოს მე-7-ე და სრულიად რუსეთის ა. ლ. კ. კ. ყრილობები. ნორჩ პიონერების ორგანიზაცია მე-8 ყრილობამდე უნდა გაიზარდოს 30.000-მდე.

**2. როგორ უნდა ხდებოდეს ზრდა.**

უპირველესათ ყოვლისა სანამდე ჩვენ გადავიდოდეთ (პროფკავშირების) ორგანიზაციაში არა მუშური ელემენტების ბავშვების ფართო მიღებაზე, საჭიროა რათა ცენტრებში (ქალაქებში) ჩამოვაყალიბოთ საბავშვო სახლებში, ბაღებში და თავშესაფარებში და ფაბრიკა-საქარხნო სკოლებში მყოფ ბავშვების ორგანიზაციები, ჩავაბათ მასში მუშათა ბავშვების 100 პროც. მომავალში აუცილებლათ საჭიროა რათა კოლექტივების ჩამოყალიბების დროს მივიღოთ მხედველობაში არა მარტო საწარმოო, არამედ საშკოლო პრინციპზე აგების აუცილებლობაც (სოფლად).

**3. სოფლად მუშაობა უნდა გახდეს ერთ მთავარ [illegible] ამოცანად** ჩვენი მომავალ მუშაობაში. დღემდე სოფლათ მუშაობა ჯერ კიდევ არ გაგვიჩაღებია. საქართველოში, როგორც სასოფლო-მეურნეობის ქვეყანაში, არ შეიძლება პიონერების ორგანიზაციის უმთავრესი მნიშვნელობა არ გამოიხატოს გლეხურ ბავშვების ორგანიზაციულათ დარაზმვაშიც (სოფლებში, ქალების კოლექტივების ექსკურსიის მოწყობის შემდეგ, ბავშთა შორის გაიზარდა მისწრაფება და ინტერესი ორგანიზაციაში მუშაობის). ფეხტიტველა ბავშვებს დაუნახავთ კისერზე შემოხვეულს პიონერის კასინკას და ნიშანს,—სიამაყით ამბობენ: „მე პიონერი ვარ“. ამ ფაქტს უნდა გაუწიოთ ანგარიში, თანდათან უნდა ჩამოვაყალიბოთ ქალაქის ახლო-მახლო სოფლებში კოლექტივები. კოლექტივების ჩამოყალიბებას რომ მიეცეს შინაარსიანი ხასიათი, პირველ რიგში ჩვენ უნდა მოვფინოთ კოლექტივები ისეთ ადგილებში, სადაც ძლიერები არიან ა. ლ. კ. კ. და კომპარტიის უჯრედები.

**4.** კოლექტივის ინიციატივის ამაღლება ერთ მთავარ საყურადღებო ამოცანადაა წამოჭრილი მომავალში. კოლექტივის მუშაობაში ცოცხალი შინაარსის შეტანისაგან არის დამოკიდებული ბავშვთა კომუნისტურ მოძრაობის მიზანშეწონილი ზრდა და განვითარება. კოლექტივის მთელი მუშაობა უნდა შეუდუღდეს ნორჩ ლენინელთა საერთო საზოგადოებრივ პოლიტ-აღმზრდელობით მუშაობას და თვითეული ნაბიჯი პიონერების ორგანიზაციის არის: დემონსტრაციები, ალლუმები, საუბრები, საკლუბო მუშაობა და სხვა [illegible].

**5. როგორ უნდა ვაწარმოოთ მუშაობა აქტივში.** კოლექტივების წევრების თვითმოქმედება, აქტივობა დამოკიდებულია კოლექტივის ხელმძღვანელ ზე. დღემდე კოლექტივებში იგზავნებოდენ კომკავშირის პასიური წევრები, თუმცა პრაქტიკულ მუშაობის დროს მათ შეიძინეს შესაფერი გამოცდილება ბავშვთა ფსიხოლოგიისადმი შესაფერი მიდგომით. უნდა გავაფართოვოთ ახ. კომკავშირელთა კადრი ბავშვთა კომჯგუფებში. ახ. კომ. კ. ორგანოები უნდა შეეცადონ მუშკების მობილიზაციის დროს იხელმძღვანელონ იმ დებულებით, რომ კომჯგუფებში გადაგზავნილ მომუშავე კომკავშირელი მოკლებული არ უნდა იყოს პედაგოგიურ გამოცდილებას და აქტიობას.

მაშ როგორი მიმართულება უნდა მიეცეს აქტივს?

საჭიროა ნორჩ ლენინელთა მონაწილეობის გაფართოება ორგანიზაციულ მუშაობაში—საჭიროა, რათა კოლექტივის აქტივმა თავის მუშაობა გაშალოს რაიონის, მაზრის და რესპუბლიკის მასშტაბითაც კი

**6. საუბრების ჩატარებას უნდა მიეცეს სისტემატიური ხასიათი.**

საუბრების წარმოება ძირითადი მომენტია კომჯგუფების სოციალურ აღზრდის სფეროში. ნორჩ ლენინელთა შორის მომავალში ერთიან პიონერულ დღეებში უნდა ვატარებდეთ ახალ-ახალ საუბრებს. საუბრები უნდა იყოფოდეს: კალენდარული შრომის, ფიზაღზრდელობითი, ჰიგიენური, ანტირელიგიოზური, ინტერნაციონალური, კომკავშირის და ბავშვთა მოძრაობის ისტორიის შესახებ და სხვა. თამაშობანი და ვარჯიშობანი უნდა შედიოდენ, როგორც ერთი ელემენტთაგანი, ნორჩ ლენინელთა საერთო საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აღზ. მუშაობის მთლიანობაში.

**საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აღზრდელობითი მუშაობა ბავშვთა კომჯგუფებში.** ბავშვთა კომჯგუფების [illegible] სრულიად საკავშირო [illegible] ლად. ძირითად მომენტად უნდა ჩაითვალოს ბავშვთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური აღზრდა. ნორჩ ლენინელთა ორგანიზაციამ მხურვალე მონაწილეობა უნდა მიიღოს მუშათა და ახალგაზრდათა დღესასწაულების ჩატარებაში; ეს კი ხელს შეუწყობს მათში საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრების განვითარებას.

**7. ფიზიკური აღზრდა.** ფიზიკური აღზრდა, სპორტისკენ გადახრა ახასიათებდა საერთო აღმზრდელობითი მუშაობას 1923 წელში. სამაგიეროთ დღეს, როცა კლასობრივ აღმზრდელობითი მუშაობა ძლიერდება, ხელმძღვანელებში არის ტენდენცია ფიზიკური აღზრდის ელემენტების სრულ გაბათილებისა ენ. ფიზ-აღზრდასაც უნდა მიექცეს შესაფერი ყურადღება. სპორტის ის ელემენტები, რომლებიც შეუფერებელი არიან ბავშვებისათვის, განიდევნოს და ისეთები, რომლებიც ხელს უწყობენ ბავშვის ნებისყოფას და ჰარმონიულად განვითარებულ სხეულის განმტკიცებას—ასეთების გავრცელებას.

**საკლუბო მუშაობა** უნდა გადაიქცეს იმ მთავარ ცენტრად, რომელშიაც, როგორც ფოკუსში, უნდა მოსჩანდეს ნორჩ პიონერების სხვადასხვა მიღწევები. პოლიტ-განათლების მთავარ სამმართველოს საშუალებით უნდა მოწყობილ იქნეს კლუბები რესპუბლიკანურ მასშტაბით ბავშვთათვის შესაფერი მასალით. ამ წრეებში მუშაობაში უნდა ჩავითრიოთ საბავშვო სახლების ხელმძღვანელები და სახალხო მასწავლებლები.

**აღზრდა შრომის პრინციპზე.** ნორჩ ლენინელთა შრომისადმი შეჩვევა სოციალურ აღზრდის ერთი ამოცანათაგანია. ამისათვის კი საჭიროა პიონერთა კოლექტივების ექსკურსია სხვადასხვა წარმოებებში, რათა იქ გავაცნოთ ბავშვები იარაღებს, მუშის ყოფა-ცხოვრებას, შრომის ისტორიას და სხვას. კლუბებში სახელმწიფოებრივ ორგ. დახმარებით უნდა იქნეს მოწყობილი სახელოსნოები, სადაც პიონერები შეისწავლიან სხვადასხვა ნივთების დამზადებას.

ალ. [illegible]

# პროვინციის ქრონიკა

— **მეფუტკრეობის კურსები.** ზაფხულის განმავლობაში მიწ.-მოქ. კომისარიატის მიერ გორში, ლეჩხუმში, ზესტაფონში, ლანჩხუთში და სამტრედიაში მოწყობილ იყო ორ-სამკვირეული მეფუტკრეობის კურსები.

— **კოოპერაცია.** გორის მუშათა მთლიანი კოოპერატივი დიდ დახმარებას უწევს თავის წევრებს სალ და დაკლებულ ფასებში საქონლის მიწოდებით.

— **მალიარიის წინააღმდეგ.** სენაკის სამალიარიო სადგური ამჟამად აწარმოებს გაძლიერებულ ბრძოლას მალიარიის წინააღმდეგ.

— **ლენინგრადის სასარგებლოდ.** სენაკის სამაზრო აღმასკომთან შესდგა კომისია ლენინგრადის სასარგებლოდ შემოწირულებათა შესაგროვებლად.

— **აბაშის** გლეხკომმა გახსნა საკუთარი სასადილო და ფურნე.

— **გურჯაანში** უკვე დაიწყო მუშაობა წყალსადენის გამოსაყვანად. შეძენილია საჭირო ცემენტი და სხვა მასალები.

— **გომის გლეხკომმა** საკუთარი სასადილოდან მოგებულ ფულიდან ადგილობრივ სკოლის ასაგებათ გადასდო 1.000 მან.

— **მუხრანის სარაიონო გლეხკომს** ამჟამად აქვს 100 ფ. სიმინდი, 53 ვედრო ღვინო, 2 წისქვილი, ფურნე, სასაკლაო-საყასბოთი.

— **ტელეფონი შორაპნის მაზრაში.** შორაპნის აღმასკომმა გადაწყვიტა ახლო-მახლო რაიონებში გაიყვანოს ტელეფონის ქსელი.

— **წერა-კითხვის უცოდინართა ლიკვიდაციისათვის.** 1 ნოემბრიდან სოფ. საგარეჯოში ობ. პოლიტგანათლება ხსნის წერა-კითხვის უცოდინარობის და მცირე წ.-კ. ცოდნის სალიკვიდაციო სკოლებს.

— **მოუსავლიანობით დაზარალებულნი.** სიღნაღის მაზრაში, ამჟამად სწარმოებს მოუსავლიანობით დაზარალებული გლეხების აღრიცხვა.

— **ქიათურის მილიციის** შორაპნის მაზრის აღმასკომმა დაადგინა მოუმატოს ჯამაგირებზე ათ-ათი მან.

— **მასწავლებელთა კონფერენციები.** ახალქალაქის აღმასკომის განათლების განყოფილებამ შეიმუშავა გეგმა, სადაც ნათქვამია, რომ ყოველ სამ თვეში ერთხელ მოიწვიოს მაზრის მასწავლებელთა კონფერენციები.

— **გომბორის სახ. მეურნეობაში.** წელს მოიკრიფა 44 ათასი ფუთი მსხალი და ვაშლი.

— **თელავის ელექტრო-სადგური.** თელავის ელექტრონის სადგური უკვე საფუძვლიანად შეაკეთა მაზრის აღმასკომმა. შეკეთებამდი ქალაქი 2 კვირა უსინათლოთ იყო დატოვებული. ეხლა-კი სადგურმა დაიწყო ნორმალური მუშაობა.

— **თელავის მეეზოვეთა დაზღვევა.** თელავის მეეზოვენი დააზღვევა სოც-დაზღვევის სალარომ და მათ [illegible]

„კომუნისტი“

მიიღება ხელისმოწერა ნოემბრისათვის
მუშა-მოსამსახურეებისათვის, წითელ-არმიელებისა და მოსწავლე ახალგაზრდობისათვის თბილისში და პროვინციაში გაგზავნით გაზეთი ღირს:
1 თვით 65 კაპ., წლის ბოლომდი—1 მან. 10 კაპ.

| თბილისში (ბინაზე მიტანით) | |
|---|---|
| 1 თვით . . | 85 კ. |
| წლის ბოლომდი | 1 „ 60 „ |

| პროვინციაში (გაგზავნით) | |
|---|---|
| 1 თვით . | 85 კ. |
| წლის ბოლომდე | 1 „ 60 „ |

ყველა ხელისმომწერნი მიიღებენ უფასოთ „კომუნისტი“-ს ორკვირეულ სალიტერატურო სახვადრო დამატებას „ნიადაგს“

## პარტიული და საბჭოთა კალენდარი

### პ ა რ ტ ი უ ლ ი

— ორშაბათს, 3 ნოემბერს, საღამოს 5 საათზე საქ კომპარტიის ცკას შენობაში შესდგება მორიგი სხდომა ცკას კოოპერატიული კომისიისა.

რადგან დღის წესრიგში დასმული კითხვები ფრიად მნიშვნელოვანია, ამიტომ კოოპერატიული კომისიის ყველა წევრებისთვის გამოცხადება სავალდებულოა.

კომისიის მდივანი ც ი ხ ე ლ ა შ ვ ი ლ ი.

---

— ქალაქის რაიკომის ქალთა განყოფილება იუწყება: შაბათს, 1 ნოემბერს, დღის 3 საათზე რაიკომის შენობაში შესდგება

**ქალაქის რაიონის ქალთა-ორგანიზატორების თათბირი**

დასწრება ყველასათვის სავალდებულოა.

ქალთა განყ. გამგე ო ვ ი ა ნ ი.

---

— დღეს, 1 ნოემბერს, დილის 10 საათზე ს. კ. პ. თ. კ. სამდივნოში შესდგება

**თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა**

თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის ყველა წევრებისა და კანდიდატებისათვის დასწრება სავალდებულოა.

თ. კ. მდივანი რ უ ბ ე ნ ი.

---

— საქართველოს ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირის თბილისის კომიტეტი იუწყება, რომ კვირას, 2 ნოემბერს დილის 10 საათზე შესდგება საქართველოს ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირის

**თბილისის კომიტეტის პლენუმი**

სავალდებულოა თბილისის კომიტეტის ყველა წევრების და კანდიდატების დასწრება.

საქ. ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირის თბილისის კომიტეტის მდივანი: მ ე ტ ო ნ ი ძ ე.

---

— **კავკასიის წითელდროშოვან არმიის** სამხედრო სანიტარო და სათევზაო საზოგადოების პრეზიდიუმის მიერ დანიშნულია საზოგადოების საბჭოს საგანგებო კრება ამა წლის 4 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე საზოგადოების შენობაში (პლეხანოვის პრ. № 149) გამოცხადება სავალდებულოა წითელდროშოვან არმიის სანადირო-სათევზაო ნაწილების ყველა წარმომადგენლებისათვის და საბჭოს ყველა წევრებისათვის. საზოგადოების ყველა წევრებს შეუძლიათ დასწრება სათათბირო ხმით.

კრება კანონიერი იქნება მიუხედავათ წევრთა რაოდენობისა.

---

— **არსენალის რაიკომი** წინადადებას აძლევს ქვემო ჩამოთვლილ ამხანაგებს, რომელთაც განცხადება მისცეს პარტიაში შესვლის შესახებ, გამოცხადდენ კვირას, 2 ნოემბერს, დილის 10 საათზე რაიკომში, არსრაიკომის პრეზიდიუმის სხდომაზე.

1. აგალაროვ ლევან, 2. ალიმოვ პაველ, 3. აეეტისოვ სტეფან, 4. ახალაძე მიხ., 5. აგულოვ ლუკა, 6. აფრასაბოვ რომან, 7. აეაკოვ არარატ, 8. ანტონიუკ იოსებ, 9. აკოფოვ დავით, 10. არუშანოვ ვლად., 11. აღაბაბოვ მუშეგ. 12. ბუჯიაშვილი მიხ., 13. ბანცაძე ალ., 14. შუინოვ სტეფან, 15. ბანკოვსკი ალექსი, 16. ბაქრაძე ილარიონ, 17. ბალდასაროვ ყაზარ, 18. ბეგიზაშვილი გიორგი, 19. ბელი ნიკოლაი, 20. ბეკოევ დიმიტრი, 21. ბაჩიშვილი გიორგი, 22. ვარლამოვა მარია, 22. ვაშაკიძე არტემ, 24. გოლკოვ ილია, 25. ვაჩაძე დავით, 26. დურჩუბელია ალექ., 27. გალუსტოვა ნინა, 28. გოგიტაშვილი ივან, 29. გუდიაშვილი ილია, 30. ეულელი ალექ. 31. ევიუაზაროვ იოსებ, 32. ილიენკო ნადეჟდა, 33. კუბიაშვილი ივან, 34. კრაინოვა ნატალია, 35. კოზლოვ ივან, 36. კერესელიძე ივან, 37. კოსტიუკოვ ტიმოფ, 38. ყვავილაშვილი კოატ., 39. ყაზაროვ არტაშეს, 40. მურადოვ ამაიაკ, 41. მიროლაძე ალექ. 42. მატვეევ ვლად., 43. მიკირტუმოვ ლევ., 44. მანუკიან ანუშავან, 45. მირონოვ ფიოდორ, 46. მარუთიოვ იშხან, 47. მარუევიჩ მიხ. 48. მიკირტუმოვ ლევ., 49. მარტიროსოვა ანასტ., 50. მელიქ-ნაზაროვ ლევან. 51. ნიკურაძე კოსტ., 52. ნოცუბიძე ევგ. 53. ნერინგ ფეოდ. 54. ნერსესიან მესროპ. 55. ომიაძე ვასილი, 56, ორლინოვ მიხ., 57. ფიცრიშვილი თამარა, 58. ფირცხალავა ონისიმ, 59. პეტრიაშვილი დარია, 60. პოლშინ ფილიპ, 61. სკორინ პანტელ, 62. სარქისიან ერვანდ, 63. ტერ-არაქელოვ გრანტ, 64. ტრაიმან კონდრატი, 65. ტერ-სააკიან ხრისტოფ., 66. თანდილოვა ანნა, 67. ჩერნიავსკი ევტიხი, 68. ჩუბინიძე აკაკი, 69. ჩიკვაიშვილი მილორსი, 70. პეიშვილი შალვა, 71. შიოიან ამაიაკ, 72. შელეგია ილია, 73. შენგელია ვლად. 74. იარალოვ გიორგი, 75. სიმონოვ პაველ. 76. ბერეზინ კონსტ., 77. სიდოროვ ვასილი, 78. შპილევოი ანდრეი. 79. შრაიდე ემანუილ, 80. გაბიდულიან ხალიულა, 81. კრასნობრიცეკი სიმონ, 82. კოლესნიკოვ ანდრეი, 83. ლაშკევიჩ ალექ., 84. კუზნეცოვ ვასილი, 85. ვიშნევეცკი კონსტ., საორგ. განყ. გამგე მელაძე

---

— ს. კ. პ. თბილისის კომიტეტის აგიტპროპი იუწყება: შაბათს 1 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე ცენტრალურ პარტკლუბის შენობაში შესდგება იმ აგიტატორებისა და პროპაგანდისტების თათბირი, რომელნიც აღრიცხვაზე არიან აყვანილი რაიკომის მიერ.

გამოცხადება სავალდებულოა შემდეგი ამხანაგებისთვის:

**არსრაიკომიდან:** 1. შატიროვი, 2. გოგიშვილი, 3. ნადირშინ, 4. არაბიჯიან, 5. კალანდაძე, 6. კეკელია, 7. გაბილავა, 8. შაფათავა, 9. პერეპლიოტჩიკოვ, 10. სოლოვიოვ. 11. სტუპნიკოვ, 12. მდივანი, 13. გორდელაძე, 14. ვერმეიჩიკოვ, 15. კამალოვა, 16. პანუხავა, 17. პოლოსოვ, 18. კელოვ, 19. უზარ, 20. ლალაჩიძე, 21. ბოლქვაძე, 22. გვაზავა, 23. მენაბდე, 24. აბუთიძე, 25. კუჩუხიძე, 26. ქზეიშვილი, 27. ჯანაშია, 28. ჩხეიძე, 29. მიქაძე, 30. ნოცუბიძე, 31. გოგუაძე, 32. სულავა, 33. ნიკოლავა, 34. სელკანია, 35. გაბუნია, 36. მესტიაშვილი, 37. გრიგორიან, 38. ქერიძე, 39. ჯულელი, 40. მელუა, 41. საბაშვილი, 42. ჩიხლაძე ლაოდიკ, 43. ნარჩემაშვილი 44. სპირიდონოვ, 45. კამარაული, 46. ივანოვ, 47. მოვსესოვ, 48. აგამალოვ, 49. სარქისოვ.

**ლენინის რაიონიდან:** 1. ცინცაძე ივან, 2. მელნიკოვ ვასილი, 3. კალანდია ხოსიმ, 4. შარეევ-კურასოვ ლავრენტი, 5. იაბლონოვსკი-ბოლესლავ.

**ქალაქის რაიკომიდან:** 1. გოპაძე შალვა, 2. გორშაშვილი მიხეილ, 3. ხაჩატუროვ აბრამ, 4. პერიხანიან გიორგი, 5. გეურქოვ არტაშეს, 6. ერმოლაევ პეტრე, 7. ჩიხლაძე შილა, 8. ივანოვ ვასილი, 9. რუსტანოვიჩ გრიგორი, 10. პრიშემიცკი ნიკოლაი, 11. ტოკარენკო მიხ. 12. ლისიცინ პეტრე, 13. კუმეშვილი ალექ. 14. ვანინი მიხეილ, 15. ნიორაძე მიხეილ, 16. ბოგუა ვიქტორ, 17. ბელოზეროვ ბორის, 18. სეროპიან ქრისტოფ., 19. დავიდოვ მარკ.

თ. კ. აგიტპროპის გამგე პენიაკოვი.

### ცენტრალურ პარტიულ კლუბში.

— შაბათს, 1 ნოემბერს, კინო „სურამის ციხე“. დასაწყისი საღამოს 8 საათზე, კომუნისტების ოჯახობისთვის შესვლა თავისუფალია.

— კვირას, 2 ნოემბერს, **ამხ. რუბენის** მოხსენება „ჩვენი ტაქტიკის შესახებ მენშევიზმთან ბრძოლაში“. მოხსენების შემდეგ—კაძათი, შესვლა მხოლოდ პარტბილეთებით დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

— ცენტრალურ პარტკლუბში ეწყობა ანტისარწმუნოებრივი პროპაგანდის წრე. ხელმძღვანელი—ამხ. მედვედევი. წრეში წევრებათ მიიღებიან: კომპარტიის წევრები და კომკავშირის აქტივისტები.

პროგრამა: ა) სარწმუნოების ისტორია, ბ) პარტია და სარწმუნოება, გ) ანტისარწმუნოებრივი პროპაგანდის მეთოდები.

— პირველი საორგანიზაციო კრება—ხუთშაბათს, 6 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე—კლუბის შენობაში.

კლუბის გამგეობა.

### პ რ ო ფ ე ს ი უ ლ ი

— ორშაბათს, 3 ნოემბ. საღ. 7 ს. დანიშნულია უცხო ენების მასწავლებელთა ჯგუფის კრება.

— ოთხშაბათს, 5 ნოემბერს, საღ. 6 ს. დანიშნულია ტანვარჯიშობის მასწავლებ ლთა და სკოლის ექიმთა საერთო კრება.

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ე ბ ი

კვირას, 2 ნოემბერს შუადღის 12 საათზე ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში დანიშნულია გარდაცვალებიდან ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი სიღნაღის მაზრის აგრონომის თანაშემწის

**ილია ზაქარიას ძის ნაცვლიშვილის**

სულის მოსახსენებლად. რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გულით დამწუხარებულნი მეუღლე ელისაბედ სვიმონის ასული შატბერაშვილი-ნაცვლიშვილისა, სიდედრი ანნა ივანეს ასული შატბერაშვილის, დები: პელაგია ზაქარიას ასული ბერძნიშვილისა, ანასტასია ზაქარიას ასული ვაჩნაძისა, თამარ ზაქარიას ასული გელოვანისა, ნინო ზაქარიას ასული ნაცვლიშვილი, ძმა ექიმი გიორგი ზაქარიას ძე ნაცვლიშვილი და დეიდაშვილი ნინო სარდიონის ასული ციციშვილი.

---

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ქეთევან დავითის ასული, შვილები: მიშიკო და დათო, ძმა სამსონ ამბაკოს ძე, დედა სოფიო იოსების ასული, თამარ მიხეილის ასული და გიორგი დავითის ძე ჯანდიერები, ძმისწული: ნინო, დისწულები: მარიამ და ელენე და სიძე ილია სიხარულიძე ვაუწყებთ ნათესავთ და მეგობართ, რომ კვირას, 2 ნოემბერს დღის პირველ საათზე ვერის წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზე დანიშნულია ორმოცი დღის პანაშვიდი ჩვენთვის დაუვიწყარი აგრონომი

**ერმალოზ ამბაკოს ძე ჩხატარაიშვილის**

მოსახსენებლად 1—1 2603

---

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე ელისაბედ და შვილები: კოლია, იაკობი, ლიდა, ვასიკო, ქეთო, მიშა, და ვალიკო აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

**ივანე პაატას ძე კოსტავა**

რომლის გამოსვენება და დაკრძალვა მოხდება კვირას 2 ნოემბერს ნინოშვილის ქუჩა № 102 2—1 2608

---

**სახელმწიფო ოპერა**

დღეს,, 1 ნოემბერს

**„ტოსკა“**

3—3 ნ. № 110

---

**სახელმწიფო დრამა**

დღეს, 1 ნოემბერს

**„მათრახის პანაშვიდი“**

კვირას, 2 ნოემბერს

**„მალშტრემ“**

6—5 ნ № 104

---

## „რევოლიუციის მატიანე“

**ჟურნალი „რევოლიუციის მატიანე“ №№ 4—5 (9—10) გამოვიდა და ამ დღეებში დაურიგდება ხელის მომწერლებს**

**შინაარსი:** 1) პირველი რევოლიუციის 20 წლის თავისთვის (მაზრკომებს და ოლქკომებს ცირკულიარული წერილი). 2) ს. თალაკვაძე 1905 წლისა. 3) 1905 წელი ივერიაში (ცნობები მუშათა და გლეხთა მოძრაობიდან, შავი რაზმის გარშემო, სომეხ-თათართა ხოცვა-ჟლეტა, მთავრობის რეპრესიები და სხ.,) 4) მ. პოკროვსკი ჩვენი პირველი პროლეტარული რევოლიუციის 20 წლის თავი. 5) სერაფიონ ლომიძე—ზოგიერთი მოგონებანი რევოლიუციონური მოძრაობიდან (1903—05). 6) ს. თალაკვაძე—პირველი მარქსისტი თეორეტიკი საქართველოში 90 წლების დასაწყისში. 7) „უთავბოლობის“ ნაყოფი (კრიტიკული შენიშვნები) ფ. შემოქმედელისა (ფ. მახარაძე), დაწერილი 1892 წ. ვარშავაში. 8) ზ. ჩიქვილაძე—თბ. სასულიერო სემინარია მე-80 წლ. 9) ჟანდარმერიის „საიდუმლო თანამშრომელნი“. 10) იასონ ჯორბენაძე—წარსულის ერთი ეპიზოდი (პროვოკატორ, სევ. ბახტაძე). 11) მოგონებანი: კ. ცინცაძისა, ს. თოდრიასი, ს. ლომთათიძისა, გ. ლაფანაშვილისა, სოფრომ მგალობლიშვილისა—სოც. რევოლ. მოძრაობა საქართველოში 1870—1880 წ. და ამხ. კაპო დ. ი. შერმანისა. 12) ავტობიოგრაფიები მიხა ჩოდრიშვილისა და ნოე ლევავასი. 13) რევოლიუციის მსხვერპლნი: შალიკო ასკურავა, ამბაკო სამანიშვილი, ნესტორ კალანდარიშვილი, გარსო და გრიშა მამაცაშვილები, სპირიდონ დვალი, ირაკლი დუმბაძე, იუსტინე გოგოძე, ტიტე მშვიდობაძე. 14) პარტიული არქივი—კომუნისტების მუშაობა მენშევიკების ბატონობის დროს; რ. ს. დ. მ. პ. მოხსენება ამსტერდამის საერთაშორისო სოც. კონგრესისადმი, 15) ბიბლიოგრაფია. 16) ტრიბუნა—არაქელა ოქუაშვილი—პირველი მაისობა თბილისში. 17) სურათები: 1905 წ. ჩვენში (იმ დროინდელ გაზეთებიდან) 1. ცემა-ტყეპა, 2. გარბიან, 3. საპყრობილესაკენ. 4. შეპყრობილი წითელი რაზმელები, 5. დაბა-სოფლებს სწვავენ; ხალხი იხიზნება, 6. პერ-მარილი, 7 დამსჯელი რაზმის უფროსი. იცკა რიყანაშვილი, კოტე ცინცაძე, შალიკო ასკურავა, ამბაკო სამანიშვილი, ნესტორ კალანდარიშვილი, გარსო და გრიშა მამაცაშვილები, სპირიდონ დვალი, ირაკლი დუმბაძე.

**წიგნი შეიცავს 450-მდე გვერდს და ცალკე ნომერი ღირს 1 მან. 50 კაპ.**

3—3 ნ. 112

---

## საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობა

## ბ ა ლ ა ნ ს ი

**აქტივი** — 1924 წ. 1-ლი ოქტომბრისათვის — **პასივი**

| აქტივი | | | |
|---|---|---|---|
| 1. ნაღდი საშვალებანი | | | |
| 1) კასა | 7.664 | 70 | |
| 2) სახელდ. ანგ. ბანკებში | 13.696 | 64 | 21.351 34 |
| 2. ფას-ანი ქაღალდები სხვადასხვა | | | 846 71 |
| 3. საქონელი | | | |
| 1) საწყობი | 81.257 | 22 | |
| 2) მაღაზიებში | 572.463 | 76 | |
| 3) საკომისიოთ გაცემული | 24.459 | 35 | |
| 4) „ მიღებული | 8.848 | 32 | |
| 5) გირაოს ქვეშ | 212.897 | 13 | |
| 6) სამნეო ნაწილში | 6.969 | 64 | |
| 7) შესანახად გაცემული | 80.000 | — | |
| 8) გადასამუშავებლად | 2.580 | 39 | |
| 9) გზაში | 29.481 | 78 | 1.018.957 59 |
| 4. მოძრავი ქონება | | | 28.338 66 |
| 5. დებიტორები | | | |
| 1) სხ. და სხ. პირნი და დაწ. | 114.188 | 60 | |
| 2) ანგარიშ ქვეშ მყ. პირნი | 25.346 | 95 | |
| 3) მიღებული თამასუქები | 7.423 | 15 | |
| 4) დახურდავებული „ | 265.000 | — | |
| 5) პროტესტქმნილი „ | 828 | 12 | 412.786 82 |
| 6. განყოფილებები: | | | |
| 1) მოსკოვის | 561.992 | 54 | |
| 2) ბაქოსი | 376.361 | 18 | |
| 3) ქუთაისის | 58.473 | 08 | |
| 4) სიღნაღის | 84.066 | 81 | 1.080.893 61 |
| 7. გარდამავალი თანხები | | | 6.723 23 |
| 8. სხვადასხვა ხარჯები | | | |
| 1) მიმდინარე | 170.317 | 24 | |
| 2) საორგანიზაციო | 14.027 | 10 | |
| 3) კურსის განსხვავება | 6.992 | 45 | 191.336 79 |
| ბალანსი . . . . | | | 2.761.244 75 |

| პასივი | | |
|---|---|---|
| 1. საპაიო კაპიტალი | | 615.593 86 |
| 2. კრედიტორები | | |
| 1) სხ. სხ. პირნი და დაწეს. | 294.347 53 | |
| 2) კომიტენტები | 13.325 94 | |
| 3) გაცემული თამასუქები | 544.633 18 | |
| 4) სპეც. ანგ. ბანკებში | 200.851 52 | |
| 5) ბანკ. განაღდ. თამასუქ. | 265.000 | 1.318.158 17 |
| 3. განყოფილებები | | |
| 1) მოსკოვის | 232.133 15 | |
| 2) ბაქოსი | 277.470 25 | |
| 3) ქუთაისის | 3.902 31 | |
| 4) სიღნაღის | 17.613 | 531.118 71 |
| 4. შემოსავალი | | |
| 1) სხ. და სხ. | 51.726 27 | |
| 2) საქონლის გაყიდვის | 244.642 74 | 296.369 01 |
| ბალანსი . . . . | | 2.761.244 75 |

გამგეობის თავმჯდომარე ნ. ამირაღოვი.
საფინანსო საანგარიშო განყოფილების გამგე კ. ცისკარიძე.
მთავარი ბუღალტერი კლ. თალაკვაძე.

ნის. 124. 1—1.

---

**დღეს 1-ლ ნოემბერს საღ. 7 საათზე**

დ ა ნ ი შ ნ უ ლ ი ა

**თბილისის მთლიან მუშათა კოოპერატივის რწმუნებულთა საგანგებო კრება**

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. მოხსენება გამგეობისა და სარევიზიო კომისიის.
2. არჩევნები გამგეობისა და სარევიზიო კომისიის.

ყველა რწმუნებულთა და კანდიდატების გამოცხადება სავალდებულოა. იმ შემთხვევაში, თუ დანიშნულ დროზე არ შეიკრიბება წესდებით საკმაო რიცხვი, მეორე კრება შესდგება იმავე დღეს, საღამოს 8 საათზე. გამგეობა. 1—1 126

---

**სასწრაფოთ საჭიროა**

**რკინის 5“ წყალსადენი მილები.**

მიმართეთ შავი ქვის სამმართველოს (რუსთაველის პრ. № 23)

2—1 ნ. 128

---

ელექტრონით და სინათლით

**ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო**

საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი

**მიხეილ გედევანიშვილის** სახელობის

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ

მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.

№ 2095—25—10

---

## ბ ა ნ კ ი

### სა ბჭ. კავშირის საგარეო ვაჭრობისთვის

**„რუსეთის კომერციული ბანკი“ თბილისის განყოფილება**

## „როსკომბანკ“

კეცხოველის ქ. (ყოფ. ლორის-მელიქოვის) № 6 (მეორე სართული, ყოფ. თბილისის სათავადაზნაურო საადგილ-მამულო ბანკი)

## იხსნება 1924 წ. 1 ნოემბერს

**ბანკი ფინანსიურ დახმარებას აძლევს საგარეო (საექსპორტო და საიმპორტო) და საშინაო ვაჭრობას და აწარმოებს შემდეგ ოპერაციებს:**

1. ვექსელების და ვალების ვალდებულებათა აღრიცხვა.
2. სესხის გაცემა: ა) საქონლისა და საქონლის დოკუმენტების გირაოს ქვეშ. ბ) ფასიანი ქაღალდების, უცხოეთის ვალიუტის, ძვირფასი ლითონების, ტრატტების და დევიზების გირაოს ქვეშ.
3. ყიდვა და გაყიდვა, დავალების თანახმად, საქონლისა და სხვა ნივთებისა.
4. ყიდვა და გაყიდვა ბანკის ხარჯზე ფასიანი ქაღალდებისა, უცხოეთის ვალიუტისა, ტრატტებისა, დევიზებისა და ძვირფასი ნივთებისა.
5. ფულის გადაგზავნა და კრედიტივები საბჭოთა კავშირის ქალაქებში და საზღვარგარეთ.
6. საკომისიო ოპერაციები ვექსელების, ვალდებულებების, უცხოეთის ტრატტების, საქონლის და ყოველგვარ სხვა დოკუმენტების და ძვირფასი ნივთების გამოხსნისა.
7. ანგარიშების გასწორება რუსეთში და საზღვარგარეთ მესამე პირების ანდა დაწესებულებების ხარჯზე.
8. ფულების მიღება და გაცემა ანაბარებზე და მიმდინარე ანგარიშებზე.
9. ნივთების მიღება შესანახავად, და აგრეთვე წესდებით ნებადართული სხვა საბანკო ოპერაციები.

ნ. 109 3—2

---

**გ ა მ ო ვ ი დ ა**

**პროკოპი ჩხიკვაძის**

პ ი ე ს ა

## „უდაბნოც სტირის“

ტ რ ა გ ე დ ი ა

5 მოქმედებათ

1—1 2609. (ბაქოს 26 კომისრების ცხოვრებიდან)

---

**მედიცინის დოქტორი**

**ა. ა. მონსე**

მოზრდილების და ბავშვების შინაგან და ნერვიული სისტემის სნეულებათა მკურნალობა

**ელექტრო-სინათლით ■ ■ ■ ■ სამკურნალო კაბინეტი**

მიღება: დილით 10—12 საათ. საღამოთი 5— 7 საათ.

(გარდა კვირა დღისა პლეხანოვის პრ. (ყოფ. მიხეილოვის) № 111 ბ. № 2

ქვ.№ 2531—25—7

---

**მედიცინის დოქტორი**

ბერლინის უნივერსიტეტისა

**გ. გ. მეგრაბიანცი**

გულის, ფილტვების ავადმყოფობა და ტუბერკულიოზი. მალარიის სპეციალური ექიმობა 914 შეშხაპ. ფილტვების, გულის და სხვა ორგანოების განსჭვრეტა, სურათის გადაღება და ექიმობა

**რენტგენის სხივებით**

მიღება ყოველდღე 9—1 საათამდის და საღამოს 6—8 საათ. ბებუთოვის ქუჩა № 23.

ქ. 2507 13—6

---

ე ქ ი მ ი

**ს. ა. გალუსტიანცი**

**შინაგანი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი; ქრონიკული და მწვავე 000 ტრიპერი, სიფილისი 000**

ავადმყოფების მიღება დილის 25—4 საათ. და 4—7 საათ. ქალების მიღება 2—4 საათ. ელისაბედის ქ., 77 მეორე სახლი კირკის კუთხიდან.

25—25 ქ. № 2320

---

**დაკარგე** სარეგისტრაციო ბარათი № 15060 გრიგოლ კალანდაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 2595. 1—1.

---

**დაკარგე** საბუთები 1) პროფ-კავშირის წიგნაკი № 413592, 2 პირადობის მოწმობა № 36852. 3) სამხედრო პირ. წიგნაკი № 2433, 4) კომ. პარტიის საკანდიდატო მანდატი № 2748 ალექსანდრე თომას-ძე გულედავას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 2595 1—1.

---

**დაკარგე** პირადი წიგნაკი № 3183 [illegible] ჩაითვალოს გაუქმებულათ. 2596 1—1.

---

**დაკარგე** მიწა - ტყის კავშირის პროფ კავშირის წიგნაკი № 257 დ. ი სამადაშვილის სახელზე; ჩაითვალოს გაუქმებულათ. 2597 1—1.

---

**დაკარგე** რკ. გზის კავშირის წიგნაკი № 43.930 გაბრიელ გლიაშკის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 2598 1—1.

---

**დაკარგე** პასპორტი სამსონ მჟავანაძეს სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 2600 1—1

---

**დაკარგე** გალაქტიონ მაისურაძისაგან შავის სანატორიუმისთვის გადმოცემული სხვადასხვა ნივთების ნასყიდობის ანგარიშები. მიხა გავაშელზე თბილისში. მნახველს ვთხოვ მოიტანოს ქუთაისის ავტო-გარაჟში—ან და თბილისის საფინანსო განყოფილებაში მიხა გავაშელთან, რისთვისაც მიიღებს სათანადო ჯილდოს არტემ დგვარელი. 2602 1—1

---

**დაკარგე** კავშირის წიგნაკი № 1581 პირადობის მოწმობა მიცემული ცაგერის ალმასკოპის მიერ ივანე სილაგაძის სახელზე, ჩაითვალოს გაუქმებულათ. 2607 1—1

---

**დაკარგე** მოწმობა № 464 ბეგლარ მაღლაკელიძეს სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 2602 1—1

---

**დაკარგე** სურათი წიგნაკით დავით პაპინაშვილის სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულათ. 2605 1—1

---

**დაკარგე** დაზღვევის წიგნაკი მიცემული 1923 წ.—ტფილისის დაზღვევის სალაროდან პ. ჩიქოვანის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 607 1—1

---

**დაკარგე** რკინის გზის მიმოსვლის მოწმობა № 47 61 ალექსანდრე ლაკავას სახელზე. და სალომე ივანეს ასულის მოწმობა № 47267. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 2606 1—1

---

**დაკარგე** რეგისტრაციის ფურცელი ვასილ დავითისძე ჩარიაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 2611 1—1

---

**დაკარგე** საბინაო დავთარი, პროფ-უტის ქ. № 29, მეორე სამილიციო უბანი ჩაითვალოს გაუქმებულათ ანნა იმედაშვილისა.

---

**დაკარგე** ბეჭდვითი კავშირის საწევრო წიგნაკი პავლე ტარასისძე მაჭავარიანის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 2597 1—1

---

**დაკარგე** პირადობის მოწმობა ნატალია კლიმიაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 2599 1—1

---

**დაკარგე** უნივერსიტეტის მატრიკული № 1758 ეკატერინე ვლადიმერის ასული ჟუჟუნაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 2609 1—1

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 35

## საქ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

## საქართველოს სამკურნალო საგნების სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს შესახებ

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს ამასთანავე დართული დებულება საქართველოს სამკურნალო საგნების სახელ. ვაჭრობის სამმართველოს შესახებ.

2. წინა მუხლში აღნიშნული დებულების შემოღებისათანავე გაუქმებულად ჩაითვალოს საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1924 წლის აპრილის 4 თარიღითა და მე-11 №-ით გამოცემული დადგენილებით დამტკიცებული დებულება „საქართველოს სამკურნალო საგნების სახელმწიფო ვაჭრობის“ შესახებ.

**საქ. სოც. საბჭ. რესპ.**
**სახალხო კომისართა საბჭოს**
**თავმჯდომარის მოადგილე ა. გეგეჭკორი.**
**საქ. სოც. საბჭ. რესპ.**
**სახალხო კომისართა საბჭოს**
**საქმეთა მმართველი ალ. სალარიძე.**

**1924 წ. 30 ოქტომბერი.**
**ტფილისი—სასახლე.**

---

# დებულება

## საქართველოს სამკურნალო საგნების სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს შესახებ

### I ზოგადი დებულებანი.

1) სამკურნალო-სასანიტარო დაწესებულებათა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მცხოვრებთათვის სამკურნალო საგნების მისაწოდებლად საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან მოეწყო „სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის სამმართველო“, რომელიც მოქმედებს ამა დებულების თანახმად, ალებ-მიცემობისა და კომერციული ანგარიშის საფუძველზე.

შენიშვნა: სამკურნალო საგნებად იგულისხმება ყოველგვარი სამკურნალო საშუალება, ხელსაწყო, ჰოსპიტალის მოწყობილობა, სადიეტო პროდუქტი, მინერალური წყალი, პარფიუმერიისა და კოსმეტიკის საგნები და სხ.

2) „საქართველოს სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის სამმართველო“ თავისი ვალდებულებისათვის პასუხს აგებს მხოლოდ იმ ქონების ფარგალში, რაც მის თავისუფალ განკარგულებაშია, და შეიძენს იურიდიული პირის ყველა უფლებას დღიდან მისი რეგისტრაციისა.

სახელმწიფო ხაზინა პასუხს არ აგებს „საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის სამმართველოს“ ვალებისათვის.

3) მედიკამენტების ცალობით ვაჭრობის უფლება საქართველოს ტერიტორიაზე ეკუთვნის მხოლოდ „საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის სამმართველოს“ და მის ქვემდებარე ორგანოებს.

შენიშვნა: საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ფარგალში მედიკამენტების ცალობით ვაჭრობის აკრძალვა არ შეეხება იმ აფთიაქებს, რომლებიც „საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის სამმართველომ“ გადასცა, ან მიაქირავა ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს, ან სხვა ორგანოს განსაკუთრებული ხელშეკრულებით.

4) „საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის სამმართველო“ ჰფლობს, სარგებლობს და განაგებს საქართველოს ჯანმრთელობის კომისარიატის მიერ მისთვის გადაცემულ ქონებას და აფთიაქებს და აწარმოებს თავის ოპერაციებს იმ კანონების საერთო საფუძველზე, რაც უკვე მოქმედობს და რაც შეიძლება მომავალში გამოიცეს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკაში.

5) „საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის სამმართველოს“ დამოკიდებულება საქართველოს სამკურნალო-სასანიტარო დარგში მომუშავეთა კავშირთან მოწესრიგდება მომქმედი და ამ საგანზე შემდეგში სპეციალურად გამოცემული დადგენილებით.

### II. დაარსება და რეგისტრაცია.

6) „საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის სამმართველოს“ სამყოფელი ადგილი არის ქ. თბილისი, ხოლო განყოფილება შეიძლება გახსნილ იქნეს როგორც საქართველოს და სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის სხვადასხვა ქალაქში, ისე საზღვარგარეთაც; ამასთანავე „საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის“ ადგილობრივი ორგანო თითოეულ შემთხვევაში გაიხსნება სამმართველოს განსაკუთრებული დადგენილებით და ჯანმრთელობის სახალხო კომისარის დამტკიცებით.

შენიშვნა: „საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის სამმართველოს“ და მისი განყოფილებანი აწარმოებენ თავიანთ სავაჭრო ოპერაციებს, თანახმად 1-ლი მუხ. და მისი შენიშვნისა, მარტოოდენ სამკურნალო საგნებით.

7) საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარი გადასცემს „საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის სამმართველოს“ მთელ ქონებას, რაც მის განკარგულებაშია და საწყობებში და აფთიაქებში ინახება; გადასაცემი ქონება აღწერილი და შეფასებულ უნდა იქნეს არსებული საბითუმო-საბაზრო, ჩერვონეცზე გამოანგარიშებულ, ფასების მიხედვით.

შენიშვნა: ჯანმრთელობის სახალხო კომისარის მიერ „საქ. სამკ. საგნების სახელ ვაჭრობის სამმართველოსათვის“ გადაცემული ქონების ის სასაქონლო-საბრუნავი ფონდი, რაც აღნიშნულია შვაბესა და ფერეინის საბითუმო პრეისკურანტებში, შეფასდება 1914 წ. პრეისკურანტების საბითუმო ფასებისამებრ ჩერვონეცზე გადატანით; იმ შემთხვევაში, უკეთუ შვაბესა და ფერეინის პრეისკურანტების ფასებში განსხვავება აღმოჩნდება, მიღებულ უნდა იქნეს უმცირესი ფასი.

8) დებულება ესე, იმ ქონების აღწერილობისა და შეფასებასთან ერთად, რაც შეადგენს „საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის სამმართველოს“ პირვანდელ კაპიტალს, წარედგინება საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად.

9) საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ამა დებულების დამტკიცების შემდეგ, ჯანმრთელობის სახალხო კომისარი დანიშნავს მმართველს და მის მოადგილეს და გადასცემს სამმართველოს ქონებას განსაკუთრებული აქტით და აღწერილობით.

სამმართველო შეამოწმებს აღწერილობას და შეფასებას და შეადგენს შესავალ ბალანსს სათანადო ოქმითურთ.

10) ქონების მიღების შემდეგ, სამმართველოს განცხადებით, ორი კვირის განმავლობაში მოხდება „საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის სამმართველოს“ რეგისტრაცია.

11) დაწესებულება, რომელიც რეგისტრაციას აწარმოებს, რეგისტრაციის მოხდენის შემდეგ, გამოაქვეყნებს „საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის სამმართველოს“ ხარჯით ოფიციალურ ბეჭდვითი ორგანოში ამ რეგისტრაციას. განცხადებაში აღნიშნული უნდა იქნეს:

ა) „საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის სამმართველო“-ს სახელწოდება და სამყოფელი ადგილი.

ბ) საწარმოს საგანი.

გ) შესავალი ბალანსი.

12) „საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის სამმართველოს“ დებულებისა და საწესდებო კაპიტალის ცვლილება იმავე წესით დამტკიცებულ, რეგისტრაციაში გატარებულ და საჯაროდ გამოცხადებულ უნდა იქნეს.

### III ქონება პასუხისმგებლობის წესი

13. „საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის სამმართველოს“ პირვანდელ კაპიტალად ჩაითვლება საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარის მიერ აღწერილ გადაცემული და ჩერვონცებად შეფასებული სამკურნალო საგნები.

შენიშვნა: „საქ. სამკ საგნების სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს“ დაეკისრება აგრეთვე საფარმაციო განყოფილების ყველა მოვალეობა მის ლიკვიდაციამდე.

14) „საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის სამმართველოს“ პირვანდელი კაპიტალი გაიყოფა.

ა) ძირითად და

ბ) საბრუნავ კაპიტალად.

ძირითად კაპიტალად ჩაითვლება მაღაზიებისა, საწყობებისა და აფთიაქების მოწყობილობა და, საერთოდ, არა გასაყიდი ქონება.

საბრუნავ კაპიტალად ჩაითვლება ფული, ფასიანი ქაღალდები და აგრეთვე ქონება, რაც შეადგენს „საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის სამმართველოს“ სავაჭრო საგანს.

15) „საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის სამმართველოს“ ქონებაზე რაიმე გადასახდელის მიქცევისათვის დაცულ უნდა იქნას შემდეგი წესები:

ა) იმ ქონებაზე, რომელიც, მე-14 მუხლის თანახმად, საბრუნავ კაპიტალს ეკუთვნის, გადასახდელი შეიძლება მიქცეულ იქნეს იმავე წესით, როგორც კერძო პირის ქონებაზე.

ბ) იმ ქონებაზე, რაც ძირითად კაპიტალს ეკუთვნის, იქნება იგი „საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის სამმართველო“-სათვის გადაცემული (მის დაარსების დროს), თუ შემდგომ შეძენილი, გადასახდელი შეიძლება მიქცეულ იქნეს მხოლოდ იმ წესით, რაც აღნიშნულია საქ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 22 მუხლში და მის შენიშვნაში.

შენიშვნა: მუხლ. „ბ“ პუნ. აღნიშნული ქონების უვარგისი ან მოძველებული ნაწილის გასხვისება მოწესრიგდება განსაკუთრებული წესებით, რასაც გამოსცემს საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარი.

### IV. საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის სამმართველოსათვის ფინანსიურად ხელის შეწყობა.

16) სახელმწიფოს მიერ საქ. სამკ. საგნების სახელ ვაჭრობის სამმართველოსათვის ფინანსიურად ხელის შეწყობა სწარმოებს საერთო წესისამებრ, იმავე სახით, როგორც სახელმწიფო ტრესტებისათვის ფულადი სალსარის მიცემა. ფულადი სალსარის სხვა რამ ღირებულებით შეცვლა შეიძლება საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის სამმართველოსთან შეთანხმებით იმ პირობით კი, რომ ეს ღირებულება აუცილებლად გატარებულ იქნეს როგორც ფულადი სალსარი.

17) გრძელვადიანი სესხი მიეცემა საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის სამმართველოს მთავრობის მიერ, საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარის წარდგენით, რაც გატარებულ უნდა იქნეს საქართველოს ეკონომიურ საბჭოში. ეს სესხი გადაეცემა საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის სამმართველოს პირობით, რაც აღნიშნულ უნდა იქნეს ამ საგანზე სპეციალურად დადებულ ხელშეკრულებაში და დაებრუნება უშუალოდ სახელმწიფო ხაზინას.

გრძელვადიანი სესხის აღება სხვა საკრედიტო დაწესებულებისაგან შეიძლება საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარის ნებართვით და ეს სესხი აღინიშნება ბალანსში ცალკე მუხლად.

18) საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის სამმართველოს შეუძლია აიღოს მოკლევადიანი სესხი როგორც სახელმწიფო, ისე არა სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულებებისაგან იმ საფუძველზე, რაც კერძო პირისათვის არსებობს, ხოლო ყოველი სესხი აღინიშნება ბალანსში ცალ-ცალკე სათანადო მუხლად.

### V. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატისა და საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის სამმართველოს უფლება-მოვალეობანი.

**ა) საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი.**

19) საქ. ჯანმრთელობის სახალხო კომისარის გამგებლობის საგანს შეადგენს:

ა) ნებართვის მიცემა, სათანადო კანონების დაცვით, ძირითადი კაპიტალის ნაწილთა შეძენისა და იჯარით გაცემისათვის; აგრეთვე ძირითადი კაპიტალის იმ ნაწილების გასხვისებისა და დაგირავებისათვის, რის გასხვისება და დაგირავება სამოქალაქო კანონებით აკრძალული არ არის და აგრეთვე ნებართვის მიცემა საწარმოთა გაერთიანებისათვის და განსაზღვრა იმისა, თუ რა წესით უნდა იქნენ დაფარული ნაგებობათა შეძენით ან საწარმოთა გაერთიანებით გამოწვეული ხარჯი.

შენიშვნა: კერძო შემთხვევაში საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარს შეუძლიან გადასცეს ესა თუ ის თავისი უფლება საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის სამმართველოს, სათანადო ინსტრუქციების გამოცემის წესით.

ბ) დანიშვნა - გადაყენება მმართველისა და მისი მოადგილისა, სარევიზიო და სალიკვიდაციო კომისიების წევრთა.

გ) დამტკიცება და გადაყენება მთავარი ბუღალტერისა მმართველის წარდგენით.

დ) დამტკიცება და შეცვლა სამმართველოსა და მთავარ ბუღალტერისათვის გამოცემულ ინსტრუქციებისა—მომქმედი კანონებისა და ამა დებულების ფარგლებში.

ე) განხილვა და დამტკიცება ხარჯთ-აღრიცხვისა და აგრეთვე მომავალი საოპერაციო წლის სამოქმედო გეგმისა, დამტკიცება გასული წლის ანგარიშისა და ბალანსისა.

ვ) ამა დებულებისა და დაწესებითი თანხის შეცვლისა და საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის სამმართველოს ლიკვიდაციის საკითხების გადაჭრა; ამ საკითხების შესახებ გამოტანილი დადგენილებანი უნდა წარედგინოს საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს.

ზ) ნებართვის მიცემა სამმართველოსათვის სინდიკატში და სხვა სავაჭრო შენაერთში შესასვლელად.

თ) სამმართველოსათვის ნებართვის მიცემა სესხის ასაღებად, თანახმად ამა დებულების მე-17 მუხლისა.

20) საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის სამმართველოს სათავეში სდგას მმართველი და მისი მოადგილე, რომელთაც დანიშნავს ერთი წლის ვადით და სამსახურიდან დაითხოვს საქ. ჯანმრთელობის სახალხო კომისარი.

მმართველი მოქმედობს საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისრის ხელმძღვანელობით, ამ უკანასკნელის მიერ დამტკიცებულ ინსტრუქციის თანახმად.

მმართველს და მის მოადგილეს გასამრჯელოს დანიშნავს ჯანმრთელობის სახალხო კომისარი საქართველოს მედიკო-სანიტარულ დარგში მომუშავეთა პროფესიონალურ კავშირთან შეთანხმებით.

21) საანგარიშო წლის დამთავრებისას და ბალანსის წარმოდგენის შემდეგ საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარი გადასინჯავს სამმართველოს შედგენილობას და განსაზღვრავს მის შედგენილობას მომავალი საოპერაციო წლისათვის. საოპერაციო წლის განმავლობაში მმართველი და მისი მოადგილე შეიძლება გადაყენებულ იქნენ საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარის მიერ მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ სარევიზიო კომისია ან სასამართლოს ხელისუფლება აღმოაჩენს, რომ ის არ შეეფერება დაკისრებულ მოვალეობას, უყაირათოა ან ჩაიდინა სხვა რამ დანაშაულობრივი მოქმედება.

**ბ) სამმართველო.**

22) მმართველმა, მისმა მოადგილემ და ცალკე წარმოებათა გამგეებმა თავიანთ მოვალეობის აღსრულების დროს უნდა გამოიჩინონ მუკაითი მეურნის წინდახედულება და პასუხს აგებენ დისციპლინარულ და სისხლის სამართლის წესით და აგრეთვე ქონებრივად როგორც მათთვის ჩაბარებული ქონების მთლიანობისათვის, ისე საქმის მომჭირნეობით წარმოებისათვის.

23) საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის სამმართველოს ყველა პრინციპიალური და დიდი პრაქტიკული მნიშვნელობის განკარგულებისათვის შედგენილ უნდა იქნეს ჟურნალი მმართველის ხელმოწერით.

24) მმართველი ხელმძღვანელობას უწევს საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის სამმართველოს ყველა ოპერაციას, განაგებს ყველა საქმეს და იმ ქონებას, რაც მის განკარგულებაშია, რაშიაც უნდა გამოიხატებოდეს და სადაც უნდა იყოს იგი და არის საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის სამმართველოს წარმომადგენელი სასამართლოში და მის გარეშე.

მმართველი დასდებს ყოველგვარ გარიგებას, რაც შედის საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის სამმართველოს ოპერაციის ფარგალში, სხვათა შორის გასცემს და თვით აიღებს სანარდო სამუშაოს და გაყიდვით მიწოდებას, გამოითხოვს რა ჯანმრთელობის სახალხო კომისრის ნებართვას მხოლოდ იმ შემთხვევაში, რაც გარკვეულად აღნიშნულია ამ დებულებაში და სახელმწიფოს სანარდო მუშაობისა და გაყიდვით მიწოდების დებულებაში და აგრეთვე სამმართველოსათვის დამტკიცებულ ინსტრუქციაში.

25) კერძოდ, სამმართველოს უფლებას შეადგენს:

ა) საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის სამმართველოს დაწესებულებათა ორგანიზაცია, მისი სტრუქტურისა, შტატებისა, საქმის წარმოებისა, ბუღალტერიისა და სალაროს მოწყობა, აგრეთვე შედგენა ბალანსისა, ხარჯთ-აღრიცხვისა, წარმოებითი გეგმისა და მოქმედებითი გეგმისა.

ბ) სამსახურში საჭირო პირთა მიწვევა და დათხოვნა, ამ საგანზე არსებული კანონმდებლობათა მიხედვით ჯამაგირის დანიშვნა მათთვის.

გ) ქონებისა და საქონლის ყიდვა-გაყიდვა როგორც ნაღდ ანგარიშზე, ისე ნისიად და გაცვლით; დაქირავება საწყობებისა, ბინებისა და სხვა სადგომებისა.

დ) საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის სამმართველოს ქონების დაზღვევა.

ე) სხვადასხვა ვადიანი ვალდებულების მიღება და გაცემა, რაც შეეფერება საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის სამმართველოს მიზნებს.

ვ) საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის სამმართველოს სახელით პირობისა, აქტისა და ხელშეკრულების დადება.

ზ) მიმდინარე ანგარიშების და კრედიტის გახსნა, სესხის აღება და, საერთოდ, ყველა იმ ოპერაციის განხორციელება, რაც დაკავშირებულია ფინანსიურ და ფულის ბრუნვასთან.

თ) სამმართველოს და ყველა მისი დაწესებულებების აპარატის შესანახად ყოველგვარი ანგარიშის გასწორება.

ი) გაცემა სათანადო მანდატისა, მოწმობისა, რწმუნებულობისა და ყოველგვარი დოკუმენტისა საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის სამმართველოს სახელით.

კ) სამუშაოს და მოვალეობათა განაწილება მმართველისა და მის მოადგილეს შორის.

ლ) ყოველ სამ თვეში თავის მოქმედების ანგარიშისა და სავაჭრო ბალანსის წარდგენა ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატში სარევიზიო კომისიის დასკვნით.

მ) სარჩელის აღძრა და პასუხისგება სასამართლოში მმართველის ან მისი მოადგილის სახით, თანახმად მისთვის მიცემულ განსაკუთრებულ რწმუნებულობით, ან რწმუნებულთა მეშვეობით, რომელთაც მიეცემათ საერთო ან სპეციალური რწმუნებულის ქაღალდი.

შენიშვნა: 1) თამასუქს, ჩეკს, ფულის ვალდებულებას და ყოველგვარ მატერიალურ აქტს ხელს აწერს მმართველი ან მისი რწმუნებით მისი მოადგილე; ამასთანავე ფულის საბუთებს ადასტურებს ხელის მოწერით მთავარი ბუღალტერი. წლიურ ანგარიშს ხელს აწერენ მმართველი და მთავარი ბუღალტერი.

შენიშვნა: 2) მმართველის არ ყოფნისა და ავადმყოფობის დროს ყველა მის უფლებებით სარგებლობს მისი მოადგილე.

26) საქ სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის სამმართველოს ფუნქციებს განახორციელებენ მისი ცალკე ნაწილები კუთვნილებისამებრ; ამ ნაწილებს განსაზღვრავს და მათ ორგანიზაციულ სტრუქტურას, მუშაობის პირობების მიხედვით, დააწესებს და შესცვლის საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის სამმართველო.

საქ. სამკ. საგნების ვაჭრობის სამმართველოს სამსახურში მყოფ ყოველ თანამშრომელს აქვს სახელმწიფო სამსახურის ყველა უფლება.

27) საქ. სამკ. საგნების სახელმწ. ვაჭრობის სამმართველოს უფლება აქვს იქონიოს უშუალო დამოკიდებულება [illegible] და ცენტრალურ სახელმწიფო დაწესებულებასა და თანამდებობის პირთან. გარდა ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტისა, სახალხო კომისართა საბჭოსი და ეკონომიურ საბჭოსი, რომლებთანაც ურთიერთ მიმართვა უნდა მოხდეს ხოლმე ჯანმრთელობის სახალხო კომისარის მეშვეობით; ამასთანავე სამმართველოს შეუძლიან აღძრას ესა თუ ის საერთო ან პრინციპიალურ მნიშვნელობის საკითხი სახალხო კომისარიატებისა და სხვა სახელმწიფო დაწესებულებათა წინაშე მხოლოდ საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის დასტურით და მეშვეობით.

28) საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის სამმართველოს აქვს დაწესებულის სახის ბეჭედი.

29) საოპერაციო წელიწადი იწყება ოქტომბრის 1-დან და თავდება სექტემბრის 30-ს.

სამმართველო შეადგენს მოქმედების ანგარიშს არა უგვიანეს ორი თვისა საოპერაციო წლის გასვლის დღიდან და წარუდგენს საქართველოს ჯანმრთელობის კომისარს დასამტკიცებლად.

ანგარიშის დამტკიცების შემდეგ, ბალანსი და მოგება-ზარალის ანგარიში გამოქვეყნდება ოფიციალურ ბეჭდვითი ორგანოში და ეცნობა სათანადო (თანახმად არსებულ კანონდებულებათა) დაწესებულებას.

30) წლიურ მოქმედების ანგარიშის შედგენის დროს აუცილებლად უნდა მოხდეს ხოლმე საინვენტარო აღწერა მთელი ქონებისა და შეფასება ჩერვონცებად და აგრეთვე ბალანსის შედგენა ჩერვონცებად.

31) ბალანსის შედგენისათვის დაცულ უნდა იქნეს შემდეგი წესები:

ა) ფასიანი ქაღალდები და საქონელი უნდა აღინიშნოს ბალანსში არა უმაღლეს ბირჟის ფასებისა, ხოლო, უკეთუ ეს ფასები აღემატება ნასყიდობის ან დამზადების ფასებს, არა უმაღლეს ამ ფასებისა.

ბ) ის ქონება, რომელსაც არა აქვს ბირჟის ან ბაზრის ფასი, აღინიშნება არა უმაღლეს ნასყიდობისა ან დამზადების ფასისა.

გ) ქონება, რაც შედის ძირითად თანხის შედგენილობაში, მიუხედავად მისი ღირებულების თანდათანობით შემცირებისა, აღინიშნება ნასყიდობის ან დამზადების ფასად, ან-და იმ ფასად, რომლითაც იგი მიიღო საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის სამმართველოს დაარსების დროს, ხოლო იმ პირობით, რომ გაცვეთით გამოწვეული შემცირება ღირებულებისა აღინიშნოს ამ ქონების ღირებულების განსაზღვრული პროცენტის ყოველწლიური გადარიცხვით ქონების დასაფარავად კაპიტალში.

32) გარდა იმ შემთხვევათა, რაც გათვალისწინებულია საერთო კანონდებულებათა და ამა დებულებაში, არც ერთ სახელმწიფო დაწესებულებას და თანამდებობის პირს არა აქვს უფლება ჩაერიოს საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის სამმართველოს ადმინისტრაციის სამეურნეო-საადმინისტრაციო და საოპერაციო მოქმედებაში.

### VI. სარევიზიო კომისია.

33) საქ. სამკ. საგნების სახელმწ. ვაჭრობის სამმართველოს სარევიზიოდ ჯანმრთელობის სახალხო კომისარი მოაწყობს სარევიზიო კომისიას სამი წევრისაგან: ორი წევრი დაინიშნება საუწყებო-საკონტროლო ორგანოს თანამშრომელთაგან, ხოლო მესამეს ჰგზავნის საქ. სამკ. სასანიტარო დარგის მომუშავეთა კავშირი.

გარდა ამისა ჯანმრთელობის სახალხო კომისარს აქვს უფლება მოახდინოს საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის სამმართველოს მოქმედების გამოკვლევა საამისოდ დანიშნულ რწმუნებამოსილ პირთა მეშვეობით.

34) სარევიზიო კომისიის მოვალეობას შეადგენს: პერიოდულ ანგარიშებისა და ბალანსების შემოწმება. რაც გათვალისწინებულია ამა დებულებით, დასკვნის მიცემა ხარჯთ-აღრიცხვის პროექტებისა და მუშაობის გეგმის შესახებ და აგრეთვე წლიურ ანგარიშების შესახებ მთლიანად.

აღნიშნული მოვალეობის განსახორციელებლად სარევიზიო კომისიის წევრებს უფლება აქვთ მოითხოვონ დავთრები, გასამართლებელი საბუთები, ხელშეკრულებანი, მიწერ-მოწერა, შეამოწმონ სალაროს და ქონების მდგომარეობა, გამოკითხონ მმართველ პირთ და მათ თანამშრომლებს ყველა იმ საკითხების გამო, რაც აღიძვრის ანგარიშებისა და საბუთების განხილვის დროს.

35) ჯანმრთელობის სახალხო კომისარის დავალებით და საკუთარი თაოსნობით სარევიზიო კომისია მოახდენს უეცარ რევიზიას და გამოკვლევას.

36) სარევიზიო კომისიას არა აქვს წინასწარი კონტროლის უფლება და არც იმის უფლება, მისცეს სამმართველოს, მისი მოთხოვნით ან უამისოთ, წინასწარი დასკვნა საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის სამმართველოს ამა თუ იმ ღონისძიებისა და წინადადების შესახებ.

37) სარევიზიო კომისიას შეუძლიან სათანადო შემთხვევაში თავისი მოვალეობის განსახორციელებლად მოიწვიოს მცოდნე პირები (ექსპერტები-სპეციალისტები).

38) საქ. სამკ. საგნების სახელმწ. ვაჭრობის სამმართველო მოვალეა აღმოუჩინოს სარევიზიო კომისიას ყოველგვარი დახმარება დაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად.

39) სარევიზიო კომისიის წევრები პასუხს აგებენ დისციპლინარული და სისხლის სამართლის წესით თავის მოვალეობის არა სათანადო აღსრულებისა და დაუდევრობისათვის, კერძოდ ანგარიშებისა და ბალანსების შესახებ დასკვნის მიცემის დროს.

40) სარევიზიო კომისია თავის მოქმედებაში იხელმძღვანელებს განსაკუთრებულ ინსტრუქციას, რომელსაც დაამტკიცებს საქართველოს სახალხო ჯანმრთელობის კომისარი.

### VII. ამორტიზაცია, სათადარიგო კაპიტალი, მოგების განაწილება.

41) ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ინსტრუქციის თანახმად, ყოველწლიურად მოხდება ამორტიზაცია იმ ქონებისა, რომელიც შედის ძირითად კაპიტალში. ნაგებობათა პირვანდელი ღირებულებიდან გადაირიცხება 5 პროც., ხოლო სხვა ქონებისა 10 პროც.

42) მთელი მოგება დარჩება საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის სამმართველოს და მოხმარდება სამკურნალო დახმარების გაძლიერებას, გაუმჯობესებას და გაიაფებას.

43) სათადარიგო კაპიტალის დანიშნულებაა როგორც ზარალის დაფარვა, ისე საწარმოოთა გაფართოება.

როდესაც სათადარიგო კაპიტალი პირვანდელი კაპიტალის ნახევარს გაუთანასწორდება, საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარი აღძრავს საკითხს, დებულების შეცვლის წესით, პირვანდელი კაპიტალის სათანადოთ გადიდების შესახებ სათადარიგო კაპიტალის ნაწილის პირვანდელ კაპიტალში გადარიცხვით.

### VIII. გადასახადები, ფასები და დაკვეთა.

44) საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის სამმართველო დაიბეგრება ყოველგვარი გადასახადით, სხვათა შორის საშემოსავლო გადასახადითაც, კერძო საწარმოოს თანაბრად, უკეთუ კანონით სხვა რამ არ არის დაწესებული.

45) აფთიაქებიდან მედიკამენტები გაიყიდება საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მიერ დაწესებული ნიხრით. დანარჩენი საქონელი—სამმართველოს მიერ დაწესებულ ნიხრით.

46) სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით, საქართველოს ეკონომიური საბჭოს წარდგენისამებრ, შეიძლება, ჯანმრთელობის სახალხო კომისარის მეშვეობით, განსაკუთრებული დაკვეთა საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის სამმართველოს ნაწარმოებთა ბაზრის ფასზე ნაკლები ფასით, ხოლო არა ნაკლებ თვითღირებულებისა საშუალო მოგების დამატებით.

განსაკუთრებული დაკვეთის დროს საქ. სამკ. საგნების სახელმწ. ვაჭრობის სამმართველოს დაევალება დასდოს სათანადო ხელშეკრულება იმ სახელმწიფო ორგანოსთან, რომლისთვისაც მოხდა განსაკუთრებული დაკვეთა, ხოლო უკეთუ სახელმწიფო ორგანო არ შეასრულებს ასეთი ხელშეკრულობით გათვალისწინებულ ფულად ვალდებულებას, ამ შემთხვევაში მთლად პასუხისმგებელია სახელმწიფო ხაზინა.

47) უკეთუ განსაკუთრებული დაკვეთის წესით საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის სამმართველოს მიერ გაცემულ საქონლისათვის სათანადო სახელმწიფო ორგანომ ვერ შეიტანა გადასახდელი ხელშეკრულობით დაწესებულ ერთ-ერთ ვადაზე, საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის სამმართველოს უფლება ეძლევა უარი სთქვას დანაკვეთის შემდგომ მიწოდებაზე და გადაახდევინოს ხსენებულ ორგანოს ზარალი საერთო წესისამებრ.

შენიშვნა: 1) ამა მუხლით გათვალისწინებული დაკვეთის უფლება განსაკუთრებულ შემთხვევაში ეძლევა საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს.

შენიშვნა: 2) უკეთუ გარიგება სახელმწიფო დაწესებულებასთან მოხდება, განსაკუთრებული დაკვეთა შეიძლება მხოლოდ საბიუჯეტო დანიშნულებათა ფარგალში.

48) ყიდვა-გაყიდვის დროს საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის სამმართველო ვალდებულია სხვა თანაბარ პირობებში უპირატესობა მიანიჭოს სახელმწიფო ორგანოს და კოოპერატიულ შენაერთს, რომელიც კონტრაგენტად გამოდის.

### ლიკვიდაცია.

49) საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის სამმართველოს ლიკვიდაცია მოხდება საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის დადგენილებით, რაც საქართველოს უმაღლესი ეკონომიური საბჭოს მეშვეობით უნდა წარედგინოს დასამტკიცებლად სახალხო კომისართა საბჭოს შემდეგ შემთხვევაში:

ა) უკეთუ პირვანდელი კაპიტალი შემცირდა 2 | 5-დით და არ იქნა საჭიროდ მიჩნეული ან მისი შევსება სხვა წყაროებიდან, ან პირვანდელი კაპიტალის შემცირება ამა დებულების მე-12 მუხლის მიხედვით.

ბ) უკეთუ საქ. სამკ. საგნების სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს საბრუნავი სალსარი საკმარისი არ იქნება მოთხოვნილი ვალების გადასახდელად.

გ) უკეთუ საქ. ჯანმრთელობის სახალხო კომისარი სცნობს, რომ საქ. სამკ. საგნების სახელ. ვაჭრობის სამმართველოს შემდგომი არსებობა მიზანშეუწონელია.

50) ლიკვიდაციას მოახდენს საქ. ჯანმრთელობის სახალხო კომისარის მიერ დანიშნული სალიკვიდაციო კომისია საქ. სამკურნალო-სასანიტარო დარგში მომუშავეთა კავშირის და ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის წარმომადგენელთა მონაწილეობით იმ ვადაზე, რომელსაც განსაზღვრავს ჯანმრთელობის სახალხო კომისარი, ხოლო არა უგვიანეს ნახევარი წლისა პუბლიკაციის დღიდან.

დადგენილება ლიკვიდაციის მოხდენისა და სალიკვიდაციო კომისიის დაარსების შესახებ გამოქვეყნდება არსებული წესით, ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონება გადავა ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის განკარგულებაში და იქნება ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის აღნუსხვაზე.

შენიშვნა: უკეთუ საქ. სამკ. საგნების სახ. ვაჭრობის სამმართველოს ლიკვიდაცია მოხდა 49 მუხლ. „ბ“ პუნქტის თანახმად, კრედიტორების თხოვნით სასამართლოს შეუძლია დანიშნოს სალიკვიდაციო კომისიის შედგენილობაში მათი ინტერესების წარმომადგენელი.

საქართველოს საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე—**ა. გეგეჭკორი.**

საქ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი—**ალ. სალარიძე.**

1924 წ. 30 ოქტომბერი.
თბილისი—სასახლე.

1—1 ნოე. № 121